

453

ლ. ნაბიერიძე

დარკვეთის  
მრავალფენიანი  
ესი

„მეცნიერება“  
1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,  
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

იხს  
საქართველოს  
ლ. ნაზიანი

ლ. ნაზიანი

**დ ა რ კ ვ ე თ ი ს**  
**მ რ ა ვ ა ლ უ ე ნ ი ა ნ ი ე ს ი**

-453-



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1978

ქვედა ხანა სპორული კვლევა

ნაშრომი წარმოადგენს დასავლეთ ამიერკავკასიის მრავალფენიანი ძეგლის პირველ პუბლიკაციას. მონოგრაფიაში დახასიათებულია დარკვეთის ეხის უძრავი კულტურული ფენებიდან მომდინარე სხვადასხვა ეპოქის ნაშთები (გვიანი მეზოლითი — ადრებრინჯიო). მოპოვებული ახალი მასალებისა და ადრეარსებულის გათვალისწინების საფუძველზე დახასიათებულია დასავლეთ ამიერკავკასიის პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ცალკეული ეტაპები — გვიანი მეზოლითი, ადრენეოლითი, ენეოლითი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დასავლეთ ამიერკავკასიაში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და მასზე გადასვლის პროცესის ჩვენების პირველ ცდას.

ქვემოთაა  
ჩვენებები

## წინასიტყვა

პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის ადრეული საფეხურების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლებს. განსაკუთრებით დიდია მათი მნიშვნელობა სუსტად გამოვლენილი ნეოლით-ენეოლითური კულტურების კვლევაში. ნეოლით-ენეოლითური კულტურების წარმომავლობის, ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხები დღემდე ცუდადაა შესწავლილი მთელ კავკასიაში. აღნიშნული საკითხების კვლევა უნდა ეყრდნობოდეს კარგი სტრატოგრაფიის მქონე მრავალფენიან ძეგლებს. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს კავკასიის არც ერთი მრავალფენიანი ძეგლის სრული პუბლიკაცია, რამაც უთუოდ იქონია გავლენა ამ საკითხების დამუშავებაზე. ასეთ ვითარებაში დარკვეთის მრავალფენიანი ეხის მასალების შესწავლამ და გამოქვეყნებამ შესაძლოა თავისი წვლილი შეიტანოს აღნიშნული საკითხების გაშუქებაში.

მრავალფენიანი ძეგლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ჩვენი მთავარი მიზანი იყო კარგი სტრატოგრაფიის მქონე ძეგლების ძიება, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის საშუალებას მოგვცემდა. იმის გამო, რომ უძრავი ფენები უფრო მეტად მოსალოდნელი იყო მღვიმეებსა და ეხებში, ვიდრე ღია სადგომებზე, ჩვენი ყურადღება მიიპყრო მდ. ყვირილის ხეობამ და მისმა მღვიმეებმა. ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი მონაწილეობა ს. ჯანაშიას სახ. სახელწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი). აღნიშნული ექსპედიცია ჭიათურის რაიონში სტაციონალურ გათხრებთან ერთად ქვის ხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით დაზვერვით სამუშაოებსაც აწარმოებდა. დაზვერვების დროს არაერთი ძეგლი იქნა ნაპოვნი და შემოწმებული, დაწყებული მუსტიედან — ადრებრინჯაოს ხანამდე. ჩვენი მიზანი იყო გათხრისათვის ისეთი მრავალფენიანი ძეგლის შერჩევა, რომელშიც დაცული იქნებოდა ნეოლით-ენეოლითური ფენები.

ამ მხრივ ყურადღება მიიქცია აღნიშნული ექსპედიციის მიერ ადრე მიკვლეულმა დარკვეთის კლდოვანმა ეხმა, ზედაპირზე და გვერდით გაშიშვლებაში საინტერესო მასალა შეიკრიბა, ამიტომ ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის დ. თუშაბრამიშვილის რჩევით და ხელმძღვანელობით დავიწყე მათ მიერ აღმოჩენილი ძეგლის გათხრა. დარკვეთის ეხი ითხრებოდა სხუთი საველე სეზონის (1968—1972 წწ.) განმავლობაში.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება დარკვეთის მრავალფენიანი ეხის მონოგრაფიულ შესწავლას.

ნაწრომი შესრულდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ძეგლის გათხრისას და ნაწრომზე მუშაობისას დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაისტორიული ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგეს დ. თუშაბრამიშვილს.

ნაწრომზე მუშაობისას ხელის შეწყობისათვის მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო აწ განსვენებული ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ყოფილი გამგე ალ. კალანდაძე.

ეხის გეგმა, ფენათა სტრატეგრაფიული ჰორიზონები შეადგინა არქიტექტორმა ო. თორთლაძემ. საილუსტრაციო მასალა შეასრულეს ან. ამბრიაშვილმა და გ. კიკალიშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ყვირილის ხეობა არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო რეგიონია. იგი უძველესი დროიდან მჭიდროდ იყო დასახლებული პირველყოფილი საზოგადოებებით. ყვირილისა და მისი შენაკადების ხეობების მრავალრიცხოვანი მღვიმეები და ეხები მდიდარია ქვისა და ენეოლითის ხანის სხვადასხვა ეპოქის ნაშთებით, ხოლო მდინარეთა ველებზე, ბორცვებზე, ტერასებსა და მაღლობებზე აღმოჩენილია ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის ბრწყინვალე ძეგლები.

ყვირილის ხეობის სიძველეებით დაინტერესება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში დაიწყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაინტერესებას არ ჰქონია სისტემატური და მეცნიერული ხასიათი. მას იჩენდნენ ძირითადად არქეოლოგიით დაინტერესებული მოყვარულები და არა მეცნიერები — სპეციალისტები. უნდა ითქვას, რომ ამ დაინტერესებულმა პირებმა გარკვეული როლი შეასრულეს ძეგლების აღმოჩენაში და მასალების შეგროვებაში.

ამგვარ აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის კიათურის რაიონის ს. რგანის მღვიმეში აღვლობრივი მცხოვრების პ. მოსაშვილის მიერ ფაუნისტური მასალების შეგროვება, ხოლო მისი აღმოჩენის საფუძველზე 1884 წელს სამთო ინჟინრის ბერნაცკის<sup>1</sup> მიერ ამავე მღვიმეში ჩატარებული გათხრები. ეს, მართალია, არ იყო მეცნიერული კვლევა-ძიება, მაგრამ ამგვარმა სამუშაოებმა თავისებური ნიადაგი შეამზადეს მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

ყვირილის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების მეცნიერული შესწავლის ისტორია ძირითადად ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი მოიცავდა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარს და ხასიათდებოდა ძირითადად ახალი ძეგლების ძიებითა და გამოვლენით, იშვიათ შემთხვევაში კი ცალკეულ ძეგლთა შესწავლით. მეორე ეტაპი დაიწყო 50-იანი წლებიდან. მას უკავშირდება ყვირილის ხეობის ზემო წელის სისტემატური, გეგმავზომიერი და მრავალმხრივი კვლევა-ძიება. ამ პერიოდში აუცილებლობად იქცა ძეგლების მონოგრაფიული შესწავლა და მათთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების კვლევა.

ყვირილის ხეობაში არქეოლოგიური ძეგლების პირველი მეცნიერული კვლევა-ძიების დაწყება უკავშირდება პოლონელი მეცნიერის ს. კრუკოვსკის სახელს. მან 1916/18 წლებში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა კიათურის რაიონის მთელ რიგ მღვიმეებში: გვარჯილას-კლდეში, ბნელ-კლდეში და

<sup>1</sup> Б е р н а ц к и й А. Ископаемые остатки пещерного человека и пещерных животных на Кавказе. «Кавказ», № 25, 17/II, 1884.

ბერნაცკის მიერ გათხრილ მღვიმეშიც. საცდელი გათხრები მის მიერ ჩატარებული იქნა აგრეთვე გუნდაეთის ტერიტორიაზე მდებარე მღვიმეებში: საძროხინაში, საჭინკიაში, ჩელთის თავში, ხერგულის-კლდეში (ვაჭვეთან) და თარო-კლდეში (მუჭრუთთან). აღნიშნულ მღვიმეებში მან ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურისათვის დამახასიათებელი მასალები მოიპოვა. გვარჯილას-კლდის მასალები მან გვიანი მადლენის ეპოქით დაათარიღა<sup>2</sup>.

საქართველოს პალეოლითის შესწავლაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ს. ზამიატინს. 1934/36 წლებში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ენთოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი მისი ხელმძღვანელობით სამუშაოებს აწარმოებდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთისა და ყვირილის ხეობის ზემო წელზე. მისი მუშაობის შედეგად აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა ზედა პალეოლითის რიგი ძეგლებისა. ს. ზამიატინმა დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების შესწავლის საფუძველზე მოგვცა მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას<sup>3</sup>.

1940 წელს თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის ექსპედიციამ ჭიათურის რაიონის ს. მღვიმეში გათხარა კლდოვანი ეხი „დალი“ — აქ მოპოვებული ზედაპალეოლითური მასალა ნ. ბერძენიშვილის (კილაძე) მიერ მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი<sup>4</sup>.

ამის შემდეგ ყვირილის ხეობის ზემო წელი თითქოს დავიწყებას მიეცა. აქ არაერთი სამუშაოები არ მიმდინარეობდა ქვის ხანის ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით. ხანგრძლივი შუალედის შემდეგ 1953 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გვარჯილას-კლდეში ჩატარა საკონტროლო გათხრები. აქ მოპოვებული მრავალრიცხოვანი მასალა ადრე მოპოვებულ კრუკოვსკისეულ მასალებთან ერთად მონოგრაფიულად შეისწავლა დ. თუშაბრამიშვილმა. მან ეს ძეგლი მადლენის ბოლო პერიოდს მიაკუთვნა<sup>5</sup>.

აღნიშნული კვლევა თავისებურ მოსაზრებებელ სამუშაოს წარმოადგენდა იმ სისტემატური და ფართო ხასიათის კვლევა-ძიების გაშლისათვის, რასაც 1958 წელს ხელი მოჰკიდა შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის (ხელმძ. აღ. კალანდაძე) სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის პალეოლითურმა რაზმმა დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით.

ყვირილის ხეობის პირველყოფილი კულტურის ძეგლების შესწავლაში დაიწყო მეორე, თვისობრივად ახალი ეტაპი. პერიოდულ მუშაობას ყვირილის ხეობაში დაუპირისპირდა სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათის კვლევა-ძიება.

<sup>2</sup> С. К р у к о в с к и й, Пещера Гварджила-Клде в Ргани, Изв. Кавказского музея, т. 10, вып. 3, 1916, с. 253—260.

<sup>3</sup> С. Н. З а м я т и н. Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, М.-Л., 1935, с. 116—118.

<sup>4</sup> ნ. კ ი ლ ა ძ ე (ბერძენიშვილი). მღვიმეის პალეოლითური ნაშთები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XII-B, თბ., 1944, გვ. 279—290; მ ი ს ი ე ვ. მღვიმეის პალეოლითური ნაშთები. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1948.

<sup>5</sup> დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. გვარჯილას-კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960.

ძეგლების გამოვლენისა და შემოწმების მიზნით სტაციონარულ გათხრებთან ერთად ყვირილისა და მისი შენაკადების ხეობებში ტარდებოდა დაზვერვითი სამუშაოები, რის შედეგადაც სხვადასხვა ეპოქის მრავალი ძეგლი იყო გამოვლენილი ქვედა პალეოლითიდან დაწყებული ადრე-ბრინჯაოს ხანის ჩათვლით. ექსპედიციამ აღმოაჩინა და შეისწავლა 30-ზე მეტი ღია ტიპის სადგომ-სახელოსნო და ათიოდე კარსტული მღვიმე და ეხი.

პირველი ძეგლი, რომლის გათხრაც დაიწყო ექსპედიციამ 1958 წელს და შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ისწავლებოდა, იყო ჯრუჭულის მღვიმე სოფ. ზოდის ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილი იყო ქვედა პალეოლითის ტიპური ძეგლი. მის ზედა ფენებში კარგად ჩანს მუსტიადან ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპი<sup>6</sup>.

1959 წელს მდ. ჯრუჭულის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სარეკის ტერიტორიაზე, ექსპედიციამ მიაკვლია ზედაპალეოლითური თხელი ფენის შემცველ ეხს<sup>7</sup>.

ამავე წელს ყვირილის ხეობის პალეოლითურმა რაზმმა (ხელმ. დ. თუშაბრამიშვილი), მდ. ჯრუჭულის ხეობაში, სოფ. ზოდის ტერიტორიაზე მიაკვლია ნეოლით-ენეოლითური ხანის ფენების შემცველ მღვიმეს — სამელე-კლდეს. 1959, 1961 წწ. მღვიმეში გაკეთდა სადაზვერვო თხრილები, ხოლო 1964/66 წლებში ტარდებოდა უფრო ფართო ხასიათის გათხრები. 1966 წელს სამელე-კლდეში დადგინდა სამი კულტურული პორიზონტი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო მოტკეპნილ-მოლესილი ჰატაკის დონეებით. აღნიშნული მასალა მოხთვარადიულად შეისწავლა გ. ჯავახიშვილმა<sup>8</sup>. სამელე-კლდის სულ ქვედა პორიზონტს (III) იგი გვიანი ნეოლითიდან ენეოლითზე გარდამავალი საფეხურით ათარიღებს, ხოლო სულ ზედა პირველს — ადრე-ბრინჯაოს ხანით<sup>9</sup>.

1962 წელს ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. დ. თუშაბრამიშვილი) ჯრუჭულის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს შემოწმდა მარჯვენა ნაპირზე მდებარე მღვიმეები: სამგლე და სამერცხლე-კლდეები. სამგლე-კლდეში აღმოჩენილი I კულტურული ფენა ზედა პალეოლითის დასასრულს განეკუთვნებოდა<sup>10</sup>, II კულტურული ფენა კი ქვედა პალეოლითისას.

1968 წელს ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაზმმა (რაზმის უფროსი მ. ნიორაძე) დ. თუშ-

<sup>6</sup> დ. თუშაბრამიშვილი. შუა კავკასიონის სამხრეთ კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1960, გვ. 14.

<sup>7</sup> დ. თუშაბრამიშვილი, ლ. წერეთელი. სარეკის ეხის ზედაპალეოლითური ნაშთები. ძეგლის მეგობარი. № 37. 1975.

<sup>8</sup> გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმომკმედო კულტურის ისტორიისათვის, ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 1971.

<sup>9</sup> გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 96.

<sup>10</sup> დ. თუშაბრამიშვილი. ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1962 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. ისტორიის ინსტ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1963, გვ. 4.

აბრამიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო გათხრები სამერცხლე — კლდეში. გათხრები ორი სავლე სეზონი გრძელდებოდა. ხოლო 1966 წელს სტრატეგრაფიისათვის დამატებითი მონაცემების მოპოვების მიზნით სამერცხლე — კლდეში ჩატარებულ იქნა დამატებითი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შედეგად სამერცხლე — კლდეში გამოვლინდა სამი კულტურული ფენა: I — ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანისა, II — ზედაპალეოლითური, III — ქვედა პალეოლითური იერის მქონე მასალა. II ფენის მასალა მონოგრაფიულად შეისწავლა მ. ნიორაძემ<sup>11</sup>.

1966 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჭიათურის რაიონის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე ნიკრისის ღელის მარჯვენა ნაპირზე გამოავლინა კიდევ ერთი მრავალფენიანი მღვიმე — ძუძუანა. ამ მღვიმის ზედა კულტურული ფენა შეესატყვისება სამელე და სამერცხლე — კლდეების ზედა ფენების მასალებს და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება. II კულტურული ფენა ზედა პალეოლითის განეკუთვნება<sup>12</sup>.

1967/72 წწ. ჭიათურის რაიონის სოფ. ვაჭევში ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც სტაციონარულ გათხრებს აწარმოებდა ხერგულის — კლდეში. ექსპედიციამ დაადგინა, რომ ხერგულის კლდის პალეოლითური ნაშთები ერთი კულტურული ფენიდან მომდინარეობს და განეკუთვნება ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურს, კერძოდ, ორინი-აის შუა პერიოდს. აღნიშნული მასალა კარგად გვიჩვენებს ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გადასვლის პროცესს<sup>13</sup>.

1968/72 წწ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რაზმის მიერ (რაზმის უფროსი ლ. ნებიერიძე) ითხრებოდა დარკვეთის მრავალფენიანი ეხი.

დარკვეთის ეხის ყველაზე ადრეული ფენა (ზევიდან V ფენა) გვიან მეზოლითს განეკუთვნებოდა. IV ფენის მასალები უკერამიკო ნეოლითს შეესატყვისება, ხოლო III და II ფენებში აღმოჩნდა სამელე-კლდის, ძუძუანასა და სამერცხლე — კლდის ანალოგიური მასალები. დარკვეთის ეხის რამდენიმე კვადრატში აღმოჩნდა ენეოლითურ ფენაში ჩაშვებული „მტკვარ-არაქისის“ კულტურის ადრეული ეტაპის სამარხები.

დარკვეთის ეხში აღმოჩენილი მასალების შესწავლის შედეგები საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომს<sup>14</sup>.

<sup>11</sup> მ. ნიორაძე. სამერცხლე-კლდის მღვიმე, თბ., 1975.

<sup>12</sup> ლ. თუშაბრამიშვილი. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 9.

<sup>13</sup> გ. დოჩანაშვილი. ხერგულის-კლდეში 1967—68 წწ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, 1974, გვ. 38—50; მისივე, ხერგულის კლდეში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. (მოკლე ანგარიშები), 1973, გვ. 12—15.

<sup>14</sup> ლ. ნებიერიძე. დარკვეთის მრავალფენიან ეხში ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. მოკლე ანგარიშები. სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, 1973, თბ., გვ. 20—29.

დარკვეთის ეხის კულტურული ფენების სტრატოგრაფია

დარკვეთის ეხი მდებარეობს ზემო იმერეთის ჩრდილო — დასავლეთ ნაწილში, ჭიათურის ზეგნის რაიონში, მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე, კანიონისებური ხეობის კირქვის მასივში, სადგურ დარკვეთის (ჭიათურის რაიონი) რკინიგზის ბაქნის პირდაპირ. ჭიათურის ზეგანი იწყება რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობებთან და ვრცელდება სამხრეთით ძირულა — ჩხერი-მელას მთაგრეხილამდე, აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ლიხის ქედი, რომელიც თავისებურ მაკავშირებელს წარმოადგენს ცენტრალურ და მცირე კავკასიონს შორის.

ზემო იმერეთის რელიეფი დანაწევრებულია მდინარეთა ხშირი ქსელით, რომელთა მთავარ ძარღვს მდ. ყვირილა წარმოადგენს. იგი სათავეს იღებს რაჭის ქედის სამხრეთ კალთებზე, ერწოს ტბიდან, გზადაგზა იერთებს პატარა მდინარეებს და კოლხეთის დაბლობზე უერთდება მდ. რიონს.


მდ. ყვირილა და მისი შენაკადები სერავენ ზემო იმერეთის მაღლობს, ყოფენ მას კლდოვანი ნაპირებით შემოფარგლულ ზეგნებად (დარკვეთ — ზოდის, ითხვისის, მღვიმევის, რგანის და სხვა) და მოედინებიან კანიონისებურ ხეობებში. ამ ხეობების საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 700—750 მ-ია. აღნიშნული ზეგნები შესდგება კრისტალურ სუბსტრატზე განლაგებული ზედა ცარცული კირქვებისა და მესამეულის დანალექებისაგან — მიოცენ — ოლიგოცენის ასაკის თიხებისა და ქვიშაქვებისაგან<sup>1</sup>. ზედა ცარცული კირქვები დიდი რაოდენობით შეიცავენ ტურონ — სენონის წყების კაქს, რომლებიც ზედაპირულად გვხვდება მესამეული დანალექებისაგან გადარეცხილ უბნებზე<sup>2</sup>. მდ. ყვირილის კირქვიანი ზოდის სიგრძე 30 კმ-ს აღწევს, სიგანე 10—12 კმ-ია, კირქვების მაქსიმალური სიმძლავრე 250 მ-ს შეადგენს.

სწორედ ამ ხეობების კანიონები და კლდოვანი ნაპირები ატარებენ სხვადასხვა გეოლოგიური ეპოქების კვალს. მეოთხეული პერიოდის დანალექები და პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მდ. ყვირილისა და მისი შენაკადების მღვიმეებსა, ეზებსა და ტერასებზე. ამიტომ გასაგებია ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც უკანასკნელ ხანებში გეოლოგები და არქეოლოგები იჩენენ მდ. ყვირილის ხეობისადმი.

<sup>1</sup> ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი. მდ. ყვირილის ხეობის გეომორფოლოგიისათვის. გეოგრაფიულ მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 1954, გვ. 147—148.

<sup>2</sup> შ. ყ ი ფ ი ა ნ ი. ზემო იმერეთის მაღლობის კარსტული რაიონების გეომორფოლოგიური თავისებურებანი. საქ. სსრ მეცნ. აკადემია, საქ. სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრ., IV, თბ., 1959, გვ. 52—53.

დარკვეთის ეხი განლაგებულია მდ. ყვირილის პირველი ქალის ზედა მარცხენა ტერასაზე კანიონის სულ ქვედა თაროზე (კარნიზი) მდინარის თანამედროვე დონიდან დაახ. 5 მეტრის სიმაღლეზე. ეხის შესასვლელი



სურ. 1. დარკვეთის ეხის ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

მიმართულია ჩრდილო — აღმოსავლეთისაკენ. ეხი მშრალი და ნათელია, ამიტომ საცხოვრებლად იგი მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო.

გათხრების დაწყებისას ძეგლი თავდაპირველ მდგომარეობაში არ დაგვხვედრია. მდინარე ყვირილის გასწვრივ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის დროს ეხის წინა ფართობი და გვერდები ჩამოიჭრა და ჩამოიშალა. ეხის გაშიშვლებაში ჩანდა სხვადასხვა კულტურული ფენებიდან მომდინარე ნაშთები. ხელუხლებლად გადარჩენილი ეხის მოედნის სიგრძე დაახ. 15 მეტრს, ხოლო სიგანე 5 მეტრს უდრიდა. არქეოლოგიური ნაშთებისა და კულტურული ფენების ზუსტი ფიქსირების მიზნით, გათხრების დაწყებამდე ეხის კედლის გასწვრივ განლაგებული კვადრატები აღინიშნა არაბული ციფრებით, ხოლო გრძივი

ღერძის პერპენდიკულარულად განლაგებული კვადრატები — ლათინური ასოებით. გრძელ ღერძზე გამოვიდა 15 სრული და ერთი არასრული კვადრატი, განივზე კი 5 კვადრატი. ასე, რომ ეხი მთლიანად დაიყო დაახ. 75 კვადრატად (1×1 მ). კულტურული ფენებისა და მოპოვებული ნაშთების გავრცელების დონეების დადგენის მიზნით, ეხის ზედაპირის ყველაზე მალალი წერტილიდან 50 სმ სიმაღლეზე, ეხის კედელზე გათავსებული გათარაზებული პირობითი ჰორიზონტი (ნულის ხაზი). პირობითი ჰორიზონტიდან ვაწარმოებდით მასალისა და ფენების ფიქსირებას. ხდებოდა ცალკეული იარაღებისა და ნივთების კოორდინატების აღება.

მუშაობა ეხში დავიწყეთ საცდელი თხრილის გავლებით, რომლისთვისაც ავირჩიეთ ეხის ცენტრალური ნაწილი (7A, 7B, 7C, 7D, 7E კვადრატები). აღნიშნულმა საცდელმა თხრილმა მოგვცა განივი ჭრილი (ტაბ. 3), რისი წყალობითაც შეგვექმნა წარმოდგენა ეხის ცენტრალურ ფართობზე მდებარე ფენების დაფენების ხასიათსა და მათ თანმიმდევრობაზე. მხოლოდ ასეთი წინასწარული ჭრილის მიღების შემდეგ დავიწყეთ გათხრა ეხის ძირითადი ფართობისა. პირველი საცდელი თხრილის გათხრის შემდეგ მივიღეთ ფენების შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი:

I ფენა — ნაცროვანი, წვრილი ღორღით შევსებული. ეხის კედელთან (7A კვადრატში) იგი 0 ხაზიდან 50 სმ-ით ქვევით იწყებოდა. საცდელი თხრილის დასარჩენ კვადრატებში კი 0 ხაზიდან 55 სმ სიღრმეზე იღო. მთელ საცდელ თხრილში იგი 0 ხაზიდან 64 სმ-ის სიღრმეზე მთავრდებოდა. ე. ი. ამ ფენის სისქე მე-7 კვადრატის გარდა ყველგან დაახ. 9 სმ-ია. ხოლო მე-7 კვადრატში 14 სმ. ამ ფენის ქვედა დონე იღო 8 სმ სისქის თიხის მოტკეპნილ იატაკზე, რომელიც ეხის კედელთან (7A კვ.) წყდებოდა. იატაკის დონე მთავრდებოდა 0 ხაზიდან 72 სმ-ზე. ფენა შეიცავდა ენეოლით აღრებრინჯაოს ხანის მასალებს.

II ფენა — მოყავისფრო ფხვიერი თიხნარი, ნაცრის მინარევით, დაახ. 30—35 სმ სისქისა. ეს ფენა იწყებოდა 0 ხაზიდან 72 სმ-ის სიღრმეზე და გრძელდებოდა 1,13 მ-დე. მისი ქვედა დონე, ისევე როგორც პირველი ფენისა იღო 5 სმ-ის სისქის თიხის მოტკეპნილ იატაკზე. იატაკს უშუალოდ ედო ნახშირის თხელი შრე (5 სმ), რომელსაც ზემოდან წვრილი ღორღი ეყარა (3 სმ). ამ ფენებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკა, ქვისა და ძვლის იარაღები.

III ფენა — ნაცროვანი, სისქე დაახლ. 30—32 სმ-ია. იწყება 0 ხაზიდან, 1. 13-დან და გრძელდებოდა 1,45 მ-მდე. მისი ზედა ნაწილი მკვრივია, ქვედა კი შედარებით ფხვიერი. ეს ფენა არქეოლოგიური ნაშთებით ყველაზე მდიდარი იყო.

IV ფენა — ღორღნარევი ნაცრიანი, იგი გამყოფი შრის გარეშე უშუალოდ იღო მესამე ფენის ქვეშ. მისი საერთო სისქე საშუალოდ 25—27 სმ-ია. იგი იწყებოდა 0 ხაზიდან 1,45 მ და გრძელდებოდა 1,70 მ-მდე. ამ ფენის ზედა ნაწილში ღორღი ნაკლები იყო ვიდრე ქვედაში. ფენის ქვედა ნაწილში შეიმჩნეოდა კერის ნაშთი (დამწვარი მიწა, ნაცარი) ლინზის სახით. ფენის ძირში ღორღის რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობდა და სუფთა ღორღში გადადიოდა. წინა ფენისაგან განსხვავებით ამ ფენაში მხოლოდ ქვისა და ძვლის მასალა შეგვხვდა.

V ფენა — ღორღისა და დიდი ლოდების შემცველი. დაახლ. 1 მ-ის სისქისა. ფენის ზედა ნაწილში ღორღისა და ლოდებს შორის თავისუფალ ადგილებში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ჩაცვივებული მასალა. საერთოდ კი ეს ფენა უმასალაა.

საცდელი თხრილის თხრა შევაჩერეთ ღორღიანი ფენის ქვედა ნაწილში, რადგან თხრილის სივიწროვისა და მასში მყოფი ლოდების გამო თხრა გაჭირდა. გადავწყვიტეთ, სიღრმეში თხრა გაგვეგრძელებინა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეხის ძირითად ფართობზე ღორღიან ფენაზე დავიდოდით.

I საცდელმა თხრილმა (ღორღიანი ფენის ჩათლით) მოგვცა ერთმანეთისაგან ფიზიკურად და სტრუქტურულად განსხვავებული ხუთი ფენა. მიღებული სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით დავიწყეთ ეხის ძირითადი ფართობის თხრა. გათხრა დავიწყეთ 1—6 კვადრატებში B, C, D და E ხაზებზე. გრძივი ჭრილის შემონახვის მიზნით გათხრების ბოლოსათვის 1—6 კვადრატების A მწკრივი ხელუხლებლად დავტოვეთ. იგი მხოლოდ 1971 წელს მოიხსნა.


ეხის ძირითად ფართობზე ყოველი კვადრატის დაღრმავება მიმდინარეობდა ისე, რომ მეზობელი კვადრატი ხელუხლებელი რჩებოდა, რაც ჭრილების დამატებითი შემოწმების საშუალებას იძლეოდა. მომდევნო კვადრატების გათხრა ხდებოდა მხოლოდ მისი კედლების ფიქსირების შემდეგ. ეხის ძირითადი ფართობის გათხრამ ამგვარი მეთოდით გვიჩვენა, რომ აქ ფენების მონაცვლეობა ანალოგიურია პირველი საცდელი თხრილისა.

ეხის ძირითად ფართობზე ღორღიანი ფენის მოხსნის შემდეგ, 1d კვადრატში გასუფთავებისას გამოჩნდა ღორღის ქვეშ მდებარე, დაახ. 8—30 სმ სისქის ნაცროვანი ფენა. ეს რიგით მეექვსე ფენა (მე—5 კულტურული ფენა) ზედა ნაწილში წარმოადგენს ნაცროვან მკვრივ ფენას (10 სმ სისქის), რომელიც ქვედა ნაწილში იცვლება მოვარდისფრო, გადამწვარი თიხანარევი ნაცროვანი ფენით, რომლის სისქე 7—10 სმ-დე მერყეობდა. ეს ფენა ღორღის ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა, როგორც ეხის ძირითად ფართობზე, ასევე პირველი თხრილის შემდგომი ჩაღრმავებისასაც. იგი განსაკუთრებით მძლავრი აღმოჩნდა ეხის წინა ნაწილში, სადაც მისი სისქე 30—33 სმ აღწევდა. ეხის სიღრმეში (კედელთან) ეს ფენა თხელდებოდა და ზოგან კიდევაც ქრებოდა ჩამოშლილი ლოდების გამო. ყველაზე დიდი მასალა ამ ფენიდან მოგვცა ეხის წინა ნაწილმა, კერძოდ 1d, 2d, 3d, 4d, 5d და 4E 5E კვ-მა.

განივი ჭრილის შემოწმებისა და მასალის გავრცელების გარკვევის მიზნით, მეორე საცდელი თხრილი გავაღეთ მე—13 ABCD კვადრატებში. აქაც უმნიშვნელო ცვლილებებით განმეორდა პირველ საცდელ თხრილში დადგენილი ფენების სტრატეგრაფია. მეორე საცდელმა თხრილმა გვიჩვენა, რომ მის მეზობელ მე—12 კვადრატში ჩაშვებული სამარხი უნდა ყოფილიყო. მეორე საცდელი თხრილის კედელში გამოჩენილმა მცირერიცხოვანმა, მაგრამ მეტად მკაფიო „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელმა, კერამიკამ ცხადყო, რომ ჩვენ აქ ადრებრინჯაოს ხანის სამარხები უნდა გვქონოდა. იმის გამო, რომ სამარხებზე მანიშნებელი მასალა მუშაობის დამთავრებისას გამოჩნდა, მათი გათხრა გადავდეთ მომავალი 1971 წლის სამუშაო სეზონისათვის.

1971 წლის დასაწყისში ჭიათურის ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ ს. ხითარიშვილმა შეატყობინა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის

დარკვეთის ენი  
მონა



სურ. 2. დარკვეთის ენის გეგმა

ხელმძღვანელს დ. თუშაბრამიშვილს, რომ დარკვეთის ეხში „აღმოჩნდა უთავო გიგანტების ჩონჩხები“. ადგილზე ჩასვლა მაშინვე ვერ მოხერხდა.


1971 წლის ზაფხულში ვათხრების დაწყებისას ფენები მე-10, მე-11, და მე-12 კვადრატებში არეული და ჩამოშლილი დაგვეხვდა, სოლო ღორღი და ნაცროვანი მიწა მთელ ფართობზე მიმოფანტული. აშკარად ეტყობოდა, რომ სამარხები ვიღაცას უთხრია. მიწა კი გატანის ნაცვლად გათხრილ ფართობზე გადაუყრია. მაშინვე მივმართეთ ს. ხითარიშვილს. აღმოჩნდა, რომ მას „გაუთხრია“ აღნიშნული სამარხები, ჩონჩხის ძვლები და თიხის ჭურჭელი კი გადაუტია ქუთაისის მუზეუმისათვის. ვათხრილი სამარხების შესახებ ცნობები ს. ხითარიშვილისაგან მივიღე. ორი ჩონჩხი ყოფილა ეხის კედელსა და დიდ ლოდს შორის, რომელიც მე-10, მე-11 და მე-12 კვადრატებს მოიცავდა. ჩონჩხის მდებარეობა მას ავარაუდებინებდა, რომ მიცვალებულებს პირი კედლისაკენ, ე. ი. სამხრეთისაკენ ჰქონდათ მიქცეული. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ნახევრად მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. თავი დასავლეთით ჰქონდა მიქცეული. ამ სამარხში ორი ჩონჩხი ყოფილა. მეორე ჩონჩხის ძვლები არეული იყო. ეს სამარხი, როგორც შემდეგ გავზომეთ, დაახლოებით 1,80 მ სიღრმეზე ჩადიოდა. მეორე სამარხი მდებარეობდა მე-11 და მე-12 კვ-ის განივ ღერძზე, პირველი სამარხის პერპენდიკულარულად. მიცვალებულებს თავი ჩრდილოეთისაკენ უნდა ჰქონოდათ დამხრობილი. პირი კი აღმოსავლეთისაკენ მიქცეული. ს. ხითარიშვილის გადმოცემით, ჩონჩხებს თავი არ ჰქონდა.

როდესაც მთლიანად გაითხარა 10 ABCD, 11 ABCD და 12 ABCD კვადრატების მწკრივი, მათში მასალა არეული აღმოჩნდა. ეხის ამ ნაწილში არსებული ფენები დაზიანდა, ჯერ ერთი, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის დროინდელი სამარხების ჩაშვების დროს, მეორედ კი ადგილობრივი მხარეთმცოდნის დაინტერესების გამო. გადარჩენილი ფენების თხრისას ჩვენ შეგვხვდა მის მიერ გათხრილი სამარხის ინვენტარის ნაწილი — ძვლები და კერამიკა. აღმოჩნდა ბადიის სარქველის ფრაგმენტი, ჭურჭლის პირის ნატეხები რქისებური შვერილით და „მტკვარ — არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის პირ — გვერდის ნატეხები. აქვე ნაპოვნი იყო თავის ქალას ფრაგმენტები, ადამიანის ქვედა ყბა და ცალკეული კბილები. ამგვარად, ვარაუდი დაკრძალული უთავო მიცვალებულების შესახებ არ გამართლდა. აღნიშნული ვითარების გამო ცხადი ხდება, რომ მე-10, 11, 12 კვადრატების მთელ განივ ღერძზე ფენები დარღვეული იყო, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სტრატეგრაფიის გამოყენებისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრძელი ჭრილი გვქონდა ეხის კედლის გასწვრივ 1—6 კვადრატების A მწკრივში. გრძივი ჭრილის შემოწმებისა და სიღრმეში ფენების გავრცელების ხასიათის გარკვევის მიზნით ეხის წინა ნაწილში 1—6 კვ-ის E მწკრივში გავავლეთ მესამე საცდელი თხრილი. E მწკრივის კვადრატების გათხრისას მოხდა ჭრილებისა და სტრატეგრაფიის კიდევ ერთხელ შემოწმება. E მწკრივის კვადრატებში ღორღის ფენაზე დასვლისა და მეზოლითური ფენის მოხსნის შემდეგ ფენების ვერტიკალური გავრცელების გარკვევის მიზნით გავაგრძელეთ სიღრმეში თხრა. თხრილის სიღრმე ღორღიანი ფენის ქვემოთ ორ მეტრს აღწევდა. ახალი კულტურული ფენა ჭრილში არ გამოჩენილა. გრძელდებოდა ისევ ღორღისა და ლოდების

შემცველი ფენა. ეხის იატაკამდე ვერ დავედით, რადგან კედელი ვერტიკალურად ღრმად ეშვება იგი შესაძლოა ყვირილის დონესაც კი ჩასცდეს.


ამგვარად, ეხში სტრუქტურული შემადგენლობისა და შეფერილობის მიხედვით 6 განსხვავებული ფენა დადგინდა. აქედან ხუთი მათგანი კულტუ-



სურ. 3. დარკვეთის ეხის განივი ქრილი



რული ნაშთების შემცველი იყო. ეხში გათხრების პროცესში გაკეთდა ორი განივი და ორი გრძივი ქრილი. ქრილებმა გვიჩვენა, რომ ფენებს ეხში

დუკავეთი უნს გრძივი ჭრილი



გზა

ფინანსე ვერლიას ღონე



სურ. 4. დარვეთის უნს გრძივი ჭრილი

ჰორიზონტალური მდებარეობა ჰქონდა. ხოლო ფენათა მონაცვლეობა მთელ ფართობზე თითქმის ერთნაირი იყო. ამის გამო ჩვენ აქ აღარ მოგვყავს დანარჩენი ჭრილების აღწერა. ეხის მთელ ფართობზე ნაშთები ჰორიზონტალურად თითქმის თანაბრად ვრცელდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ეხის კედელთან მდებარე კვადრატები. მეხუთე ფენის კვადრატების გარდა ყველა მათგანი გამოირჩეოდა მასალის სიჭარბით. ძვლოვანი მასალის განსაკუთრებული სიჭარბე შეიმჩნეოდა მე-14, 15, 16 კვადრატებში. ეს ეხის განაპირას მდებარე კვადრატებია და იქმნებოდა შთაბეჭდილება აქ ნასუფრალის თავმოყრისა.

სტრუქტურული და ფერში არსებული განსხვავების მიუხედავად, ეხის კულტურულ ფენებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — ფენებში ნაცრის სიუხვე, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ცეცხლი ინტენსიურად გამოიყენებოდა აქ მოსახლეთა მიერ. მეზოლითური და ნეოლითური ფენების თავზე დიდი ლოდების ჩამოწოლა ამ რაიონში მომხდარ რაღაც ძვრებს უნდა უკავშირდებოდეს, რის გამოც ეხში ცხოვრება გარკვეული ხნით უნდა შეწყვეტილიყო. მეზოლითური ფენის თავზე ჩამოწოლილმა ლოდებმა და ღორღმა ერთი მეტრი სისქის სტერილური ფენა შექმნა. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ადამიანმა მიატოვა ეხი. შემდეგ ცხოვრება აქ კვლავ განახლებულა და გვაქვს ადრენეოლითური ფენა. ადრენეოლითური ფენის თავზე ისევ გვხვდება ჩამოცვივებული უზარმაზარი ლოდები, რის გამოც, როგორც ჩანს, ცხოვრება ეხში კვლავ შეწყვეტილა ენეოლითურ ეპოქამდე. ეხში არა გვაქვს განვითარებული ნეოლითის ხანის ნაშთები. ეხის მიტოვება ადამიანის მიერ ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ერთი მეტრი სისქის სტერილური ფენა დაგროვდა გვიან მეზოლითისა და ადრე ნეოლითს შორის. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ეს სტერილური ფენა უნდა შექმნილიყო დროის მოკლე მონაკვეთში, რომელიც ტექტონიკური პროცესების შედეგად და არა დროთა ვითარებაში. ეხში ადამიანთა ცხოვრების პერიოდშიც, როგორც ჩანს, მიმდინარეობდა მისი ჭერის თანდათანობითი დაშლა, რასაც მოწმობს ფენებში არსებული, ეხის ჭერიდან ჩამონაშალი წვრილი ლორღი. ეს პროცესი სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვა ინტენსივობისა ჩანს. მეოთხე კულტურული ფენა სხვებთან შედარებით მეტს შეიცავდა ნაშალ მასალას. ეხის კედლებისა და ჭერის თანდათანობით დაშლასაც მიმდინარეობს, რაც იქ მუშაობისას აშკარად ჩანდა.

III ფენის თხრისას 8 C კვადრატში, 0 ხაზიდან 1—1,5 მ სიღრმეზე გამოჩნდა კერა. აქ დიდი რაოდენობით იყო დაგროვილი ნაცარი, ნახშირის ნატეხები და დამწვარი ძვლები. კერის მოხსნის შემდეგ 0 ხაზიდან 1,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, რომ კერა მოწყობილი იყო დიდი ზომის, მოგრძო და ბრტყელ ფილაზე. გარეგნულად იგი კიბის საფეხურს მოგვაგონებდა. მისი სიგრძე 85 სმ უდრიდა, სიგანე კი 35 სმ იყო. მის — გარშემო დალაგებული იყო დიდი ზომის ბრტყელი რიყის ქვები და ლორღის ბრტყელი ფილები. ისე, რომ კერის ქვეშ იქნებოდა ბრტყელი ქვებით დაგებული იატაკი. კერა თავის მხრივ იდო თიხის მოტკეპნილ იატაკზე, რომელიც 0 ხაზიდან 1,40-1,45 მ სიღრმეზე იყო. თიხის მოტკეპნილი იატაკი აქაც ისევე, როგორც ეხის მთელ ფართობზე, იდო ლორღნარევე ფენაზე, კერის მოხსნის შემდეგ აქაც ისეთივე სურათი მივიღეთ, როგორც გვქონდა საცდელ თხრილში და ეხის მთელ ფართობზე. 0 ხაზიდან 1,40 მ სიღრმეზე კერამიკა მთლიანად შეწყდა. სწორედ

2. ლ. ნებიერიძე



აქ უნდა იყოს საგულისხმო საზღვარი ორ სხვადასხვა ფენას შორის. იგი კარგად ჩანს, როგორც ფენების განსხვავებული სტრუქტურიდან, ასევე მასალის შემადგენლობიდანაც.

მეზოლითურ ფენაში, 1 E კვადრატში 0 ხაზიდან 2,10 მ სიღრმეზე, აშკარად ჩანდა ცეცხლის ნათების კვალი. დამწვარ დატკეპნილ მიწაზე მრავლად იყო ნახშირისა, ნაცრისა და ცხოველების დამწვარი ძვლების გროვა.

დარკვეთის ეხის ფენებში მოპოვებულმა მასალამ ცხადყო, რომ ეხი საცხოვრებლად გამოუყენებიათ მეზოლითის ხანაში და იქიდან მოკიდებულ მცირეოდენი შუალედების გამოკლებით, იგი ადრებრინჯაოს ხანამდე გამოიყენებოდა საცხოვრებლად. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ადამიანის ცხოვრებისათვის ამ რაიონის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები, წყალთან სიახლოვე და ეხის სიმშრალე და განათებულობა.

როგორც ჩანს, მეზოლითის ხანაში მდ. ყვირილის მოქმედება ეხში შეწყვეტილი იყო. მდინარეს უფრო ღრმად ჰქონდა ჩაჭრილი თავისი კალაპოტი და ეხი გაუთავისუფლებია თავისი მოქმედებისაგან. ფენებში არსად არ შეგვხვედრია მდინარეული სილა და რიყის ქვის ნაშთები, რაც ეხში მდინარის პერიოდული მოქმედების მანიშნებელი შეიძლება ყოფილიყო. მეზოლითური ნაშთების პოვნა მდ. ყვირილის პირას თავისთავად საინტერესო ფაქტი უნდა იყოს ამ ხეობის ტერასების წარმოქმნის დროის განსაზღვრისათვის. იგი შეიძლება დაეხმაროს გეოლოგებს მდინარის მიერ ხეობის ჩაჭრის დროის ინტენსივობის დადგენაში.

ეხის ვახტრების დამთავრებისას მიღებულმა სტრატეგრაფიულმა ჭრილმა კორექტივები არ შეიტანა ეხში 1968—69 წწ. გაკეთებულ პირველი სადაზვერვო თხრილისა და ეხის ძირითადი ფართობის გათხრისას მიღებულ ჭრილებში.

ნივთიერი მასალა

V ფენა<sup>1</sup>. დარკვეთის მრავალფენიანი ეხის სულ ქვედა, რიგით მეხუთე (ზევიდან ქვევით) კულტურული ფენა აღმოჩნდა 0 ხაზიდან 2,10 მ სიღრმეზე, უშუალოდ დაახ. 1 მ სისქის ღორღიანი (სტერილური) ფენის ქვეშ, რომელზედაც ალაგ-ალაგ დიდი ლოდები იყო ჩამოწოლილი. სტრუქტურულად იგი წარმოადგენდა დაახ. 30—33 სმ სისქის, სხვადასხვა სიმკვრივის ნაცროვან ფენას, რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავდა კაჟისა და ობსიდიანის იარაღებს, წარმოების ნარჩენებს და ცხოველთა ძვლებს. ფენის შეფერილობა ერთგვაროვანი არ იყო. ეხის წაპირთან მას მოწითალო ფერი დაჰკრავდა; ეხის შიგნით კი ნაცრისფერი.

მასალის ძირითად ნაწილს შეადგენს წარმოების ნარჩენები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატეც—ანატეხებითა და ნუკლეუსებით.

V ფენაში ნაპოვნია შემდეგი სახის ნუკლეუსები: ფანჭრისებური (ტაბ. 2, ნახ. 1) 4 ცალია. სამი მათგანი ობსიდიანისაა, ერთი — კაჟისა. ყველას ემჩნევა მიკროლამელების ატეკცვის კვალი. ეს ნუკლეუსები ცალმხრივია გამოყენებული, მეორე მხარე კი დაფარული აქვთ კაჟრის კანით. არის ისეთი ჭგუფიც, რომელთა მიკუთვნება რომელიმე ტიპის ნუკლეუსებისადმი ჭირს (7 ცალი). აქვე ნაპოვნია ნუკლეუსების განივი (8 ცალი) და გრძივი (2 ცალი) ანატეცები. განივი ანატეცებიდან სამი ობსიდიანისაა.

კაჟის მასალაში რიცხობრივი უპირატესობა ენიჭება დანისებურ ლამელებს, მათზე დამზადებულ ნაწარმს და ლამელების ნატეხებს. ამ ფენის ლამელების უმეტესობა ვიწრო, თხელი, სწორწახნაგა დანისებური ლამელებია; ზშირად მიკროლითური. სულ 204 ლამელაა. მათგან 41 ცალი მთელია, 60—თავბოლოგადამტვრეული, 19—ლამელის თავია. აღნიშნულ ლამელებში მხოლოდ 15 ლამელაა განიერი, რომელთა სიგანე საშუალოდ 2 სმ-ია. ამ ლამელებს აქვთ პალეოლითური ელფერი. დანარჩენი უმრავლესობა ვიწროა. მათი სიგანე 0,5—1 სმ-მდეა. ამ ლამელების უმეტესობას მეორადი დამუშავება არა აქვს. მაგრამ აქვს გამოყენების კვალი გვერდებზე წვრილი ამონატეხების სახით. მეორადი დამუშავება აქვს ლამელების მხოლოდ მცირე ნაწილს: თავრეტუშირებული ლამელები (12 ც). მათგან 9 მიკროლითურია, 3 საშუალო ზომისაა. ამ ჭგუფის ლამელებში გამოიყოფა თავამოღარული (5 ც), თავსწორრეტუშიანი (5 ც) და თავირბრეტუშიანი (2 ც), ბლაგვზურგა

<sup>1</sup> კულტურული ფენები დახასიათებულია ქრონოლოგიური თანამდევრობით.

მიკროლამელები (ტაბ. 2. ნახ. 27. 28) 4 ცალი. მათგან სამი კაჟისაა, ერთი — ობსიდიანისა. ისინი დაახლოებით თანაბარი ზომისაა. მათი სიგრძე 1,5—2 სმ შორის მერყეობს, სიგანე 0,3 სმ-ია. არის აგრეთვე ცალგვერდრეტუმიანი ლამელები (2 ც).

კაჟის იარაღებს შორის ყველაზე მკაფიო ჯგუფს შეადგენს მცირე ზომის, კიდურა საფხეკეები, დამზადებული კაჟისა ან ობსიდიანის თხელ ლამელისებურ ანატეკეებზე. რეტუში წვრილფაქტიანია და თანმიმდევრული (ტაბ. 2. ნახ. 24).

რაოდენობის მიხედვით შემდეგი ადგილი უჭირავს საჭრისებს (ტაბ. 2. 7—14, 20—22), სულ 17 ცალია. მათგან 15 დამზადებულია მცირე ზომის დანისებურ ლამელებზე, ორი კი ლამელისებურ ანატეკეზე. 11 საჭრისი ცალმხრივია: 6—ორმხრივი. ცალმხრივ საჭრისებში სჭარბობს ვიწრო დანისებური ლამელების გვერდზე, კუთხის სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით დამზადებული საჭრისები (9 ც). ერთ-ერთ საჭრისს თავი ირიბადა აქვს რეტუშირებული. მათი სიგრძე მერყეობს 2—4 სმ შორის, სიგანე 0,4—1 სმ-დე. ცალმხრივ საჭრისებში გვაქვს აგრეთვე ცალმხრივი ირიბი საჭრისები, დამზადებული კაჟის ლამელისებური ანატეკეის ცალ გვერდზე ირიბი სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით. სიგრძე 4,5—5 სმ, სიგანე 1—1,5 სმ-ია. ორმხრივი საჭრისეში ერთი ტიპისა არ არის. მათში სამი ორმხრივ სწორი მიკროლითური საჭრისია. სიგრძე 1,5—3,5 სმ, სიგანე 0,4—0,5 სმ შორის მერყეობს და სამი ორმხრივ სწორი და კუთხის საჭრისი. ორი მათგანი დამზადებულია ვიწრო დანისებურ ლამელზე, ერთი კი მსხვილ ლამელისებურ ანატეკეზე, სიგრძე 3—5,5 სმ, სიგანე 1—2 სმ შორის მერყეობს. ნაპოვნია საჭრისების დამზადებისას, სასაჭრისე ჩამონატეხის გაკეთებისას მიღებული სამწახნავა მიკროანატეკეები.

კომბინირებული იარაღები V ფენაში თითქმის არაა. გამონაკლისია საფხეკ-საჭრისი, ფრჩხილისებურ სამუშაოპირიანი საფხეკი და თავირიბ-რეტუშირებული კუთხის საჭრისი, დამზადებული სამფერდა დანისებური ლამელის ბოლოზე. სიგრძე 4 სმ, სიგანე —1,2 სმ.

V ფენაში სულ ორი სახვრეტი იყო ნაპოვნი. ერთი მთელია და დამზადებულია კაჟის ვიწრო დანისებური ორფერდა ლამელის ბოლოზე. წვერი რეტუშითაა გამოყვანილი, გვერდები კი ნაწილობრივია რეტუშირებული. სიგრძე 6 სმ-ია, სიგანე 1,2 (ტაბ. 3, ნახ. 2), მეორე დაზიანებულია. ბურღიც ერთადერთია ნაპოვნი (ტაბ. 3, ნახ. 4). დამზადებულია ვიწრო სასაჭრისე ჩამონატეხის მაკვარ ანატეკეზე. ორივე გვერდი რეტუშირებული აქვს დამაბლაგვებელი რეტუშით. სიგრძე —3,3,5 სმ, სიგანე —0,4 სმ.

დაკბილული იარაღებიც ცოტაა (ტაბ. 3, ნახ. 1,3), 4 ცალი. ყველა მათგანი დამზადებულია ვიწრო დანისებურ ლამელზე. ერთი ცალი ორგვერდრეტუშირებულია, ორს კი ცალგვერდზე აქვს რამდენიმე კბილანა.

ასტამისებური იარაღი ერთადერთია. დამზადებულია კაჟის ვიწრო ლამელზე, იარაღის ერთი ბოლო მთავრდება დარტყმის მოედნით და ბურცობით, მეორე სწორი ბოლო კი დამრეცადაა ათლილი (ტაბ. 3, ნახ. 6). სიგრძე —2,5 სმ, სიგანე —1,7 სმ. ასევე ერთადერთია კაჟის მასიურ ნატეხზე დამზადებული საჩეხი. მისი ოვალური სამუშაო პირი ორმხრივია ათლილი. ეს იარაღი ნუკლეუსიდან უნდა იყოს გადაკეთებული.

გეომეტრიული ფორმის მიკროლითები წარმოდგენილია სამკუთხედებითა და ორიოდ ტრაპეციით. სამკუთხედები (ტაბ. 2, ნახ. 23—30 32—35) 8 ცალია. ყველა მათგანი ასიმეტრიულია. ისინი ბლაგვეუთხა სამკუთხედებს მოგვაგონებს, რომელთა ორი გვერდი დაბლაგვებულია. ამ სამკუთხედებიდან მხოლოდ ერთია ობსიდიანისა, დანარჩენი კაყისაა. დაუმუშავებელ გვერდზე ემჩნევა გამოყენების კვალი. ერთ-ერთი სამკუთხედი დაზიანების შემდეგ საჭრისად გამოუყენებიათ. ტრაპეციები ამ ფენაში მეტად მარტივი სახისაა, უხეში (3 ცალი). ორივე ტრაპეცია მაღალი და ორფერდამუშავებულია. მესამე დაზიანებულია და ჭირს მისი ზუსტი ფორმის აღდგენა. ერთი მათგანი დიდი ზომისაა და მსხვილფაცეტისანი რეტუშითაა გაფორმებული (ტაბ. 2, ნახ. 5—6). სიგრძე — 2,8 სმ, სივანე — 1,9 სმ. მეორე შედარებით უფრო მომცროა, მისი გვერდებიც მსხვილფაცეტისანი რეტუშითაა დამუშავებული. სიგრძე — 2 სმ, სივანე — 1 სმ.

რიყის ქვის იარაღებიდან ამ ფენაში ნაპოვნია მხოლოდ ერთი ბრტყელი, გვერდებამოღარული საწაფი (ტაბ. 3, ნახ. 18) და მრგვალი შურდულის ქვა. ძვლის იარაღები ამ ფენაში ცოტაა (ტაბ. 3, ნახ. 13—17). ისინი წარმოდგენილია ფრინველის ძვლებისაგან დამზადებული სახვრეტ-სადგისებით. იარაღები კარგადაა გაპრიალებული; რქის გახეხილ-გაპრიალებული წვერიანი იარაღი. მისი ბოლო, როგორც ჩანს, ტარში მაგრდებოდა (ტაბ. 3, ნახ. 14), ნეკნისაგან დამზადებული ორი გაურკვეველი დანიშნულების ნივთი. ერთ-ერთს შუაში აქვს ნახვრეტი, მეორეს კი ეპიფიზთან. ნივთი გაპრიალებული ყოფილა (ტაბ. 3, ნახ. 15); საკიდი ფრინველის ძვლისა, ეპიფიზთანაა გახვრეტილი (ტაბ. 3, ნახ. 16); თავის ქალას ფრაგმენტი. (?) ამოჭრილი ბარაღელური ზოლებით და ტეხილი ხაზით (ტაბ. 3, ნახ. 13).

ენის ნაპირზე,  $d_2$ ,  $d_3$  კვადრატებში ნაპოვნი იქნა კერის ნაშთი. კერის ჭრილს ლინზის სახე ჰქონდა. 10 სმ სისქის მოვარდისფრო თიხანარევ ნაცროვან ლინზაში ნიადაგი მძლავრად იყო გადამწვარი, რაც ცეცხლის ნთების ინტენსიურობაზე მიუთითებს.

IV ფენა — წინამდებარე ფენასთან შედარებით IV ფენა უფრო მძლავრი აღმოჩნდა. მასალა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. წარმოების ნარჩენებს ისევე, როგორც ქვედა ფენაში რაოდენობის მხრივ წამყვანი ადგილი უჭირავს. მათგან აღსანიშნავია ანატკეც — ანატეხებისა და ნუკლეუსების სიჭარბე.

ნუკლეუსები IV ფენაში ბევრია (ტაბ. 5—7, 11—14) (25 ც). მათგან 13 ცალი ტიპურია და შესაძლებელია ფორმაზე მსჯელობა. დანარჩენი 12 ცალი კი წარმოადგენს დაზიანებულ ნუკლეუსებს და მათ ნალევებს, რომელთა თავდაპირველი ფორმის გარკვევა ჭირს. ნაპოვნია ნუკლეუსის გვერდებისა (4 ც) და თავის ნატეხები (4 ც), რომლებსაც შერჩენილი აქვთ ლამელებისა ან ანატკეცების ატკეცვის კვალი. ფენაში ნაპოვნია კაჭრის კონკრეტია, რომლის გამოყენება უცდიათ, მაგრამ უხარისხობის გამო მიუტოვებიათ.

ნუკლეუსებში სჭარბობს კონუსისებური ერთფუძიანები (10 ც), მათ ნაწილს (5 ც) კარგად აქვს მომზადებული დარტყმის მოედანი და ემჩნევა როგორც ანატკეცების, ისე ლამელების ატკეცვის კვალი. თითქმის ყველა ნუკლეუსი ცალმხრივია გამოყენებული, მეორე მხარე ხელუხლებელია და კაჭრის კანითაა დაფარული ან უხეზადაა ათლილი. ნუკლეუსების უმრავლესობას ემჩნევა შალაშინად გამოყენების კვალი, რასაც მოწმობს ფუძესთან მისი

ნაპირების შესწორება. ყველაზე დიდი ნუკლეუსის სიგრძე — სიგანეა  $6 \times 4$  სმ, უმცირესი კი  $3 \times 3$  სმ. VI ფენაში ნაპოვნია ორი პრიზმისებური ნუკლეუსი. ერთ-ერთი მათგანი ორფუძიანია და ორი მხრიდან ემჩნევა ანატკეცების ატკეცვის კვალი. მეორე კი დაზიანებულია და აქვს ვიწრო ლამელების ატკეცვის კვალი. ზომა  $4 \times 2$  სმ. გამოირჩევა ფანქრისებური ნუკლეუსები, მათ ემჩნევა მცირე ზომისა და მიკროლითური ლამელების ატკეცვის კვალი. მათი საშუალო სიგრძე-სიგანე  $4,5 \times 1,8$  სმ შორის მერყეობს.

IV ფენაში ლამელები კვლავ ინარჩუნებენ წამყვან მნიშვნელობას. სულ 194 კაჟისა და 10 ობსიდიანის ლამელაა. მათში სჭარბობს ვიწრო და სწორი დანისებური ლამელები (124 ც), შედარებით ნაკლებია არასწორი და განიერი ლამელები (70 ც). მაქსიმალური სიგრძე მთელი ლამელისა 7,5 სმ, მინიმალურისა კი 2,3 სმ. თავბოლოვანდამტვრეული ლამელების სიგრძე მერყეობს 1—5 სმ-მდე. ლამელების სიგანე 0,5—1 სმ შორის. ლამელების სიგანე 0,5—1 სმ შორის მერყეობს. ამ ფენაში არის ათიოდე ლამელა, რომლის სიგანე 2 სმ-დე აღწევს. დამუშავებული ლამელები აქ ცოტაა. არის ერთი თავრეტუშირებული დანისებური ლამელა.

ლამელისებური ანატკეცები ცოტაა (15 ცალი), ისინი ხასიათდება უსწორმასწორო მოყვანილობით და განიერი წახნაგებიანი გვერდებით. აქვთ დარტყმის მოედანი და ბურცობი.

ტრაპეციები ამ ფენაში საგრძნობლად მატულობს წინა და მომდევნო ფენებთან შედარებით (16 ცალი). აქ ისინი გეომეტრიული მიკროლითების ერთადერთი სახეა. ყველა მათგანი ორფერდამუშავებულია დამრეცი რეტუშით (ტაბ. 5, ნახ. 16—19).

საფხეკები IV ფენაში ცოტაა და ამასთანავე სხვადასხვა ტიპისა: 1. ბოლოკიდურა საფხეკები (3 ც), მათ ოვალური სამუშაო პირი აქვთ და ანატკეცზეა დამზადებული. საფხეკები საკმაოდ უხეშია. რეტუში არ არის თანმიმდევრული, ზოგჯერ იარაღებზე კაჭრის კანი არც კი არის მოშორებული (ტაბ. 4, ნახ. 1—4). 2. საფხეკი მრგვალი, მიკროლითური, დამზადებული ობსიდიანის ანატკეცზე, რეტუში მალალი და მსხვილფაცეტიანია (ტაბ. 4, ნახ. 4). 3. მალალი საფხეკი, მიკროლითური, დამზადებული კაჟის ანატკეცზე. რეტუში მსხვილფაცეტიანია. დიამეტრი იარაღისა 2 სმ-ია: 4. საფხეკი ამოღარული, დამზადებული დიდ მასიურ ლამელისებურ ანატკეცზე. სამუშაო პირი მუცლის მხრიდანაა დამუშავებული. სიგრძე — 4 სმ, სიგანე — 4 სმ; 5. საფხეკი უნავირისებური სამუშაო პირით, დამზადებული კაჟის ანატკეცზე. სიგრძე — 3 სმ, სიგანე — 3 სმ.

საჭრისები ამ ფენაში ბევრი არ არის და არც ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. (ტაბ. 1. ნახ. 18—21, 34—38). ძირითადად აქ ნაპოვნია დანისებური ლამელების გვერდებზე დამზადებული საჭრისები. 1. ირიბი საჭრისი, დამზადებული ორფერდა ლამელის ცალ გვერდზე; 2. სწორი საჭრისები (2 ც) დამზადებული ორფერდა ლამელის ცალ გვერდზე. სამუშაო პირი ცალ მხარეს რეტუშირებული აქვს. 3. ორმხრივ სწორი საჭრისი, დამზადებული კაჟის მიკროლითურ ლამელაზე. 4. ხიწვიანი საჭრისი, დამზადებული კაჟის ოხელ ანატკეცზე.

სახვრეტების უმრავლესობა დამზადებულია ლამელაზე ან ლამელისებურ ანატკეცზე (5 ც) (ტაბ. 4, ნახ. 71). 1. სახვრეტი დამზადებული ლამელისებურ ანატკეცზე, წვერი ომრხრივამოყვანილია. სიგრძე — 4,5 სმ, სიგანე — 2,5 სმ.

2. სახვრეტი, დამზადებული ობსიდიანის თხელ ლამელისებურ ანატკეცზე, წვერის ცალი მხარე და გვერდი რეტუშირებულია ფაქიზი რეტუშით. სიგრძე—4 სმ, სიგანე — 1,5 სმ. 3. სახვრეტი-ბურღი (ტაბ. 4, 10—11), დამზადებული კაყის ორფერდა ლამელაზე (3 ც). ერთ-ერთ მათგანს წვერი და ორივე გვერდი დამუშავებული აქვს შემხვედრი რეტუშით, მეორეს კი წვერი და გვერდები დამუშავებული აქვს საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით. მათი სიგრძე—2,8 სმ, სიგანე—1 სმ. მესამეს წვერი და ცალი გვერდი გაფორმებული აქვს ზურგის მხრიდან. გამონაკლისს შეადგენს ანატკეცზე დამზადებული ერთადერთი სახვრეტი, რომლის წვერი ცალმხრივია გამოყვანილი.

დაკბილული იარაღი ამ ფენაში ორი ცალია. ერთი მათგანი დამზადებულია კაყის სამფერდა ლამელაზე და ცალი გვერდი აქვს დაკბილული. კბილანები რეტუშის საშუალებითაა გამოყვანილი. სიგრძე—4 სმ, სიგანე 2 სმ. მეორე იარაღი დამზადებულია ობსიდიანის ვიწრო სამფერდა ლამელაზე და დაკბილული აქვს ორი გვერდი. იარაღს ცალი გვერდი მთლიანად მუცლის მხრიდან აქვს დამუშავებული, მეორე გვერდი კი, ნაწილობრივ მუცლის, ნაწილობრივ ზურგის მხრიდან (ტაბ. 3).

IV ფენის კაყის იარაღებში მკაფიოდ გამოიყოფა იარაღები, რომლებიც ძნელია ერთ გარკვეულ ტიპოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნოთ. მათი თავისებურების გამო გვიხდება ცალ-ცალკე აღწერა: წვეტანისებური იარაღი, დამზადებული კაყის ორფერდა თხელ და განიერ ლამელაზე. იარაღს ფოთლისებური წვეტანის ფორმა აქვს და ცალი გვერდი მთლიანად დამუშავებული აქვს მუცლის მხრიდან თხელი, დამრეცი რეტუშით, მეორე გვერდი კი დაუმუშავებელია ნაწილობრივ მუცლის, ნაწილობრივ ზურგის მხრიდან. დარტყმის ბურცობი ათლილია. სიგრძე—6 სმ, სიგანე—2,5 სმ (ტაბ. 3, 33 ნახ).

წვეტანისებური იარაღი დამზადებული კაყის თხელ ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. 4, ნახ. 29). ცალი გვერდი დამუშავებული აქვს თხელი ფაქიზი რეტუშით, მეორე თხელი გვერდი კი დაუმუშავებელია. დამუშავება ეტყობა მხოლოდ ფუძესთან. დარტყმის ბურცობი ოდნავ ათლილია. სიგრძე—4 სმ, სიგანე—2,5 სმ.

ასტამისებური იარაღი დამზადებული კაყის თხელ ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. 5, ნახ. 39). იარაღს ზურგის მხარე ფუძესთან აქვს დამუშავებული. ფუძე ზურგის მხრიდან გათხელებულია. იარაღის ცალი გვერდი მთლიანად რეტუშირებულია მუცლის მხრიდან, სწორი თავი კი მუცლის მხრიდან ათლილია. სიგრძე—6 სმ, სიგანე—2,5 სმ.

იარაღი (ტაბ. 4, ნახ. 26) დამზადებული კაყის თხელ ლამელისებურ ანატკეცზე, ორივე გვერდი ზურგის მხრიდან მთლიანადაა რეტუშირებული. იარაღი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ორი დარტყმის ბურცობი და მოედანი აქვს. ერთ-ერთი დარტყმის ბურცობი შესწორებულია. სიგრძე—7 სმ, სიგანე—2,2 სმ.

სახვრეტი, დამზადებული კაყის ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. 4, ნახ. 27), იარაღის ორივე გვერდი მთლიანად დამუშავებულია მუცლის მხრიდან. წვერის ცალი მხარე დამუშავებულია მუცლის მხრიდან. სიგრძე—6 სმ, სიგანე—2,5 სმ.

იარაღი, დამზადებული კაყის ლამელისებურ ანატკეცზე (ტაბ. 4, ნახ. 22). იარაღი ირგვლივ რეტუშირებულია, ცალი გვერდი ამოღარული აქვს, ხოლო

თავი დამუშავებულია მაღალი რეტუმით. დარტყმის სიბრტყე შესწორებულია, დარტყმის ბურცობი კი ოდნავ ათლილი. სიგრძე—8 სმ, სიგანე 2,5 სმ. ამ იარაღს შესაძლოა დანა-საფხეკის დანიშნულება ჰქონოდა.

იარაღი (ტაბ. 4, ნახ. 28) დამზადებული კაყის თხელ ანატკეცზე. იარაღის ცალი გვერდი დაბლაგვებულა მსხვილფაცეტიანი რეტუმით, მეორე გვერდი კი ხელუხლებლადაა დატოვებული. შუაში იარაღს შერჩენილ აქვს კაჭრის კანი. დარტყმის ბურცობი ათლილია. სიგრძე—5 სმ-ია. სიგანე—2,5 სმ.

შალაშინი დამზადებული ობსიდიანის მაღალ სამფერდა ანატკეცზე. სიგრძე—4 სმ, სიგანე—4 სმ.

ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები ფენაში ცოტაა. ისინი წარმოდგენილია ერთი მთელი ბრტყელი ცულით და ამგვარი იარაღების ნატეხებით. ნაპოვნია მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფეკავის ფრაგმენტი (ტაბ. 5, ნახ. 1).

IV ფენაში ნაპოვნია დაზიანებული იარაღის ნაწილები (6), რომელთა თავდაპირველი დანიშნულების გარკვევა ჭირს. ამასთანავე არის მთელი, მაგრამ გარკვეული დანიშნულების იარაღი. იგი ორმხრივდამუშავებულია, მაღალი ამობურცული ზურგი რეტუშირებულია. შესაძლოა იგი ჩასართად ყოფილიყო გამოყენებული.

IV ფენაში 0 ხაზიდან 1.70 მ-ის სიღრმეზე დიდი ლოდის ქვეშ აღმოჩენილ კერაში ნაპოვნი იყო ირმის რქა, დიდი ზომისა (ტაბ. 5, ნახ. 15), ნახეხი და გაპრიალებული წვერით. რქის ფუძე ცეცხლისაგან იყო ოდნავ დაზიანებული.

IV ფენაში ნაპოვნია პაწაწინა რქები, წაწვეტილი და ნახეხი წვერით (3 ც), მათ ეტყობა იარაღად გამოყენება, აქვე ნაპოვნია ძვლის სადგისი და სახვრეტი დამზადებული ფრინველის ლულოვან ძვალზე (ტაბ. 5, ნახ. 8—10).

III ფენა—III ფენაში მასალის რაოდენობა მატულობს იმის გამო, რომ აქ უკვე გვაქვს თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. ეხის ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება წარმოების ნარჩენები. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ნუკლეუსები. მათი უმრავლესობა დაზიანებულია და ჭირს თავდაპირველი ფორმის დადგენა. ამასთანავე შემორჩენილი ნაწილები ცხადყოფენ, რომ ისინი საკმაოდ უხეში და დაუდევრად ნაკეთები ყოფილა. აქ არ გვხვდება დახვეწილი ფორმის ნუკლეუსები, რომლებსაც ეტყობა დანისებური ლამელების ატკეცვის კვალი. გამონაკლისია ობსიდიანის დაზიანებული ცალი, საიდანაც აუტკეციათ ვიწრო და სწორი დანისებური ლამელები. ნუკლეუსები ძირითადად კონუსისებურია (6 ც). არის პრიზმისებური ორფუძიანი უხეში ნუკლეუსიც, ანატკეცების ატკეცვის კვალით. მრავლადაა ნუკლეუსის ნატეხები და დაზიანებული ცალები (26 ც). ფენაში ნაპოვნია ნუკლეუსის შესწორების შედეგად მიღებული განივი და სიგრძივი ანატკეცები. დიდი რაოდენობითაა ანატკეც-ანატეხები (925 ც). მათში 27 ანატკეცი ობსიდიანისაა, დანარჩენი კი კაყისა.

ლამელების რაოდენობა წინა ფენებთან შედარებით მცირდება, თუმცა ჯერჯერობით მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება (129 ც). მათგან 106 ცალი კაყისაა, 23 — ობსიდიანისა. დიდი ნაწილი ვიწრო და თხელია, მათ ნეოლითური იერი აქვთ. სიგანე 0,8—1,1 სმ შორის მერყეობს. მაქსიმალური სიგრძე—4,5 სმ-ია. შედარებით ნაკლებია განიერი და მსხვილი ლამელები (26 ც). ისინი უსწორმასწორო მოყვანილობით ხასიათდება. მათი საშუალო

სიგანე 1,7 სმ-ია. ლამელების ნაწილს აქვს გამოყენების კვალი წვრილი ამონატეხების სახით.

საფხეკები ამ ფენაში ძალიან უხეშია და მასიური. ამავე დროს დაუდევრადაა ნაკეთები (17 ც). დიდი ნაწილი არატიპურია. ისინი ძირითადად ბოლო-კიდურა საფხეკებს განეკუთვნება. დამზადებულია მასიურ ანატეკებზე. სამუშაო პირი არათანამიმდევრული რეტუშითაა გამოყენილი. ხშირია შემთხვევები უხარისხო კაყის გამოყენებისა. ამასთანავე კაჭრის კანთ ზოგჯერ ხელუხლებლადაა დატოვებული. ორი საფხეკი დამზადებულია ნუკლეუსის განივ ანატეკზე. რეტუში უმეტესად მსხვილფაცეტიანია. მათ უმეტესობას მორკალული, ხშირად ასიმეტრიული სამუშაო პირი აქვთ. აქ არ გვხვდება მინიატურული და ბეჯითად ნაკეთები საფხეკები. ამავე ფენაში ნაპოვნია საფხეკისებური იარაღები დამზადებული უსწორმასწორო ანატეკებზე. ხუთ მათგანს სამუშაო პირი ამოღარული აქვს, ორს კი სწორი. რამდენიმე საფხეკისებური იარაღი დამზადებულია ნუკლეუსის განივ ანატეკზე (ტაბ. 6, ნახ. 2). სახოკი ერთადერთია და დამზადებულია მოგრძო, მასიური ანატეკის ბოლოზე (ტაბ. 6, ნახ. 14). არის აგრეთვე ოთხი სახოკის-ებური იარაღი. წინა ფენისაგან განსხვავებით აქ საგრძობლად ეცემა საჭრისების როლი. შეიძლება ითქვას, რომ იარაღების ეს სახე აქ თითქმის ქრება, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ საჭრისს დამზადებულს ვიწრო დანისე-ბური თავგადამტვრეული ლამელის ცალ გვერდზე, ირიბი სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით (ტაბ. 6, ნახ. 10).

III ფენა ყურადღებას იპყრობს შუბისპირების სიმრავლით და მრავალფეროვნებით. ყველა მათგანი ანატეკზეა დამზადებული და ორმხრივ-დამუშავებულია წნეებითი რეტუშით. მათში გამოირჩევა ქუსლამოღარული, ფრთადაშვებული და გვერდებამოღარული შუბისპირი (ტაბ. 6, ნახ. 6). ეს იარაღი დაზიანებულია და ცეცხლშია ნამყოფი. არის აგრეთვე ყუნწიანი, ანატეკზე დამზადებული, ორმხრივდამუშავებული შუბისპირებიც. ნაპოვნია ყუნწიანი შუბისპირის ნახევარფაბრიკატი.

ამ ფენაში ერთადერთი ნამგლის ჩასართია ნაპოვნი (ტაბ. 6, 16). იგი დამზადებულია კაყის თხელ ანატეკზე. იარაღი ორმხრივდამუშავებულია, ოდნავ გამოხატული კბილანებით. ეს ჩასართის მარტივი ფორმა უნდა იყოს. ფორმითა და დამუშავების ხარისხით იგი განსხვავდება ადრებრინჯაოს ხანის ცნობილი ნამგლის ჩასართებისაგან.

III ფენაში გეომეტრიული მიკროლითების რაოდენობა მინიმუმამდეა დასული. სულ ორად ორი ტრაპეციაა ნაპოვნი. ეს ტრაპეციები ორფერდ-დამუშავებულია და დამზადებულია დანისებური ლამელების განივკვეთებზე. ამავე ფენაში ნაპოვნია იარაღების ისეთი ჯგუფი, რომელთა დანიშნულე-ბის გარკვევა ჭირს (16 ც).

ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები ამ ფენაში ცოტაა. სულ ორიოდ ცალია ნაპოვნი: სერპანტინისაგან ნაკეთები, ტრაპეციის მოყვანილობის და ტრაპეციისავე განივკვეთის მქონე კარგად გახეხილ-გაპრიალებული პატარა სატეხ-სათლელი (6 სმ სიგრძისა და 3 სმ სიგანისა) და ბაზალტისაგან დამზადებული ძირბრტყელი და ზურგამობურცული სათლელი. იარაღის მუცელი და სამუშაო პირი მთლიანად გაპრიალებულია, ზურგი კი მოკოდილია, სიგრძე — 9,5 სმ, სიგანე — 4,5 სმ და სოლისებური ცული მოკოდილი ზურგით და ოვალური სამუშაო პირით (ტაბ. VI, ნახ. 30).

ფენაში ნაპოვნია ქვიშაქვის სახეხები და მაგარი ჯიმის შურდულის მრავალი ქვები, რომლებსაც დარტყმის კვალი ეტყობა. ხელსაფქვავეები (3 ც) აქ ოვალური ფორმისაა, ქვედა ნაწილი ამობურცულია, ზედა სამუშაო პირი კი ოდნავ ჩადრმავებული. ზედაპირზე ეტყობა ხეხვის კვალი!

IV ფენისაგან განსხვავებით აქ ნაპოვნია ფიქალისაგან დამზადებული, ფირფიტისებური ოთხკუთხა განივკვეთის მქონე სამაჯურის ფრაგმენტები.

კერამიკა III ფენის სიახლეა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ მას განვითარების საკმაო გზა აქვს განვლილი. თიხის ჭურჭელი ამ ფენაში ძირითადად ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა აღდგენა არ ხერხდება. შესაძლებელი ხდება მხოლოდ მათი დაჯგუფება ცალკეული ნიშნების მიხედვით და ასეთ ჯგუფად აღწერა. მრავალრიცხოვანი ფრაგმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამეთუნეო ნაწარმის ზოგადი დახასიათება.

III ფენის თიხის ჭურჭელი ძირითადად მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, მოვარდისფრო ჭურჭლების რიცხვი შედარებით მცირე ყოფილა. კეცის სისქე საშუალოდ 0,7—0,8 სმ-ია. თუმცა არის რამდენიმე ფრაგმენტი 2 სმ სისქისა და 0,6 სმ სისქის მცირეოდენი ნატეხებიც. ჭურჭლების დიდი ნაწილი გარედან გაპრიალებული ყოფილა. იშვიათად შეიმჩნევა შიდა გაპრიალების კვალიც. გაუპრიალებელი, ხაოიანი ზედაპირიანი ჭურჭლები შედარებით ნაკლებია. ხაოიან კერამიკაზე ქარსის მინარევები უფრო ჭარბადაა, ვიდრე მოპრიალებულზე. თიხა კარგად ნაზელი და საკმაოდ მკვრივია. მინარევებიდან აღსანიშნავია კირის, კვარცისა და ქარსის ნაწილაკები. ნაპოვნია ფრაგმენტების პატარა ჯგუფი, რომელთა ზედაპირი მთლიანად დაფარულია ქარსის მბზინვარე ნაწილაკებით. შეიმჩნეოდა ჭურჭლების დამზადების სხვადასხვა წესი. ჭურჭლების ნაწილი ვარდისფერზედაპირიანი და შავსარჩულიანია. არის მთლიანად შავი ჭურჭლებიც. გამოწვა ხშირად არათანაბარია, რის გამოც ერთიდაიგივე ჭურჭელი სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ფერისა ყოფილა, ზოგჯერ კი ლაქებით დაფარული.

III ფენაში სულ ნაპოვნია 88 სხვადასხვა ჭურჭლის პირის ნატეხი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება კეცის სისქით, ფერით, გამოწვისა და გაპრიალების ხარისხით. ჭურჭლების დიდ ნაწილს დაბალი, დაახ. 2 სმ სიმაღლის ოდნავ გადახრილი ყელი ჰქონდა, რომელიც თანდათანობით გადადიოდა სფეროსებრ მუცელზე. ჭურჭლების პირის დიდი ნაწილი არათანაბრადაა გამოყვანილი და კარგად არაა მოსწორებული. ნაპირები არ არის ვადმოშლილი. მცირე ნაწილს სწორი პირი და ცილინდრული ყელი ჰქონდა. ყველაზე მაღალი ყელის სიმაღლე 4,2 სმ უდრის. ჭურჭლების პირისა და ყელის სისქე საშუალოდ 0,5—0,7 სმ-ია. პირის დიამეტრის გაზომვამ გვიჩვენა, რომ უმრავლესობა დიდი ზომის ჭურჭლებს ეკუთვნოდა. არის 40 სმ პირის დიამეტრის მქონე ჭურჭლის ნაწილები. ჭურჭლების უმრავლესობა დერგებითა და ქოთნებითაა წარმოდგენილი. ცოტაა ჩამების ნაწილები.

ამ ფენაში არის სამიოდენი ჭურჭლის პირის ნაწილი, რომლებსაც ბაკო დაჭდეული აქვს. არის აგრეთვე გამჭოლხვრელიანი პირის ფრაგმენტი. ხერხელს ემჩნევა, რომ სველ თიხაზე, გამოწვამდეა გაკეთებული. გვხვდება ისეთი ნატეხებიც, რომლებსაც ხვრელი ჭურჭლის გამოწვის შემდეგ გაუკეთდა.

III ფენაში ნაპოვნია კოპებიანი თიხის ჭურჭლის პირები (ტაბ. 8, 12, 14, 18) (3 ფრაგმენტი). კოპები უშუალოდ ჭურჭლის პირთან ყოფილა

მიძერწილი. ორ შემთხვევაში კოპებს რქისებური შვერილის ფორმა აქვს, მესამეს კი ნისკარტისებური და თითქოს ცხოველის თავის გამოსახულებას წააგავს.

III ფენის სამეთუნეო ნაწარმს შორის გამოიყოფა სხვადასხვა ჭურჭლის 19 ძირი და მათი ნაწილები. ძირები ძირითადად ორი სახისაა: ბრტყელი და სფერული, ოდნავ მობრტყელო. სჭარბობს ბრტყელი ძირების უმრავლესობას ქუსლები ოდნავ გამოკუთხული აქვს, მცირე ნაწილს კი ძირიდან კედლებზე კუთხოვანი გადასვლა აქვს. სფერულძირიან ჭურჭლებზე (4ც) ძირი თანდათანობით გადადის კედლებზე, მათი ძირის დიამეტრი ღიდი არ არის, დაახ. 6—7 სმ-ია. ძირები მსხვილი და მასიურია. ძირის ერთ ფრაგმენტზე შეიმჩნევა ქსოვილის (ქილოფის) კვალი. III ფენაში ნაპოვნია განსხვავებული თიხის ჭურჭელი, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი ჯგუფები:

1) შიგნიდან წითლად შეღებილი თიხის ჭურჭლები. მათ ახლაც კარბად ემჩნევა საღებავის კვალი. შიგნიდან წითლად შეღებულ ჭურჭლებში ორი ჯგუფი გამოირჩევა, მათ შორის განსხვავებაა ცომის სტრუქტურაში, ხარისხში და გამოწვაში.

ა) შეღებილი ფრაგმენტების უმრავლესობა ეკუთვნოდა უხეში ცომის მქონე, კვარცის მინარევებიან, ფხვიერი კეცის მქონე მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირიან ჭურჭლებს. მათ შიდაპირი ვარდისფერი აქვთ, რომლებსაც ზედ შერჩენილი ჰქონდათ ოქროს კვალი (48 ფრ.). ამ ჭურჭლების კეცის სისქე 0,7 სმ უდრიდა.

ბ) შავი ჭურჭლები კარგად გაპრიალებული ზედაპირით, მკვრივი ცომით, მინარევების გარეშე. მათი შიგნითა მხარე შეღებილია წითელი საღებავით. ზოგიერთ ნატეხზე საღებავი გარედანაც შეინიშნება (7 ფრ.), სისქე 0,5—0,6 სმ.

2) მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, ორივე მხრიდან კარგად გაპრიალებული თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები (20 ფრ.), შემკული ე. წ. „თევზიფხური“ ორნამენტით. ცომი მკვრივია და კარგადაა ნაზელი. შიდა და გარეთა პირზე შეიმჩნევა კირისა და მზზინვარე ქარსის ნაწილაკები წერტილების სახით, თიხა კარგადაა დამუშავებული. ფრაგმენტები სამ სხვადასხვა ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს. გამოწვა თანაბარია, ჭურჭლები ხელითაა ნაძერწი. მსგავსი ფრაგმენტი ნაპოვნი იყო აგრეთვე ეხის მიწის ზედაპირზე გათხრების დაწყების წინ და ასევე ერთი ფრაგმენტი ეხის პირველ ფენაში. აღნიშნული თიხის ჭურჭლების კეცის სისქე 0,3—0,4 სმ. მსგავსი ორნამენტი დადასტურებულია ოქუმის მღვიმის ორ ფრაგმენტზე. ოქუმის კერამიკა მორუხოდაა გამომწვარი და ზედაპირი არა აქვს გაპრიალებული. მასაც ურევია მზზინვარე ქარსის ნაწილაკები. კეცის სისქე, ფაქტურა და ორნამენტი ერთნაირია. განსხვავებულია მხოლოდ გამოწვა. ამგვარივე ორნამენტი ნაპოვნია ახშითრის მღვიმის ენეოლითურ ფენაში. როგორც ჩანს, იგი დამახასიათებელია დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეების კულტურისათვის.

3) წითლად შეღებილი და გაპრიალებული, თხელკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ე. წ. იმპორტული (?) კერამიკა (47 ფრ.). თიხა კარგადაა ნაზელი, ცომი მკვრივია და ერთგვაროვანი. შიდა და გარეთა პირზე შეიმჩნევა ქარსის მზზინვარე წერტილები. კეცის საშუალო სისქე 0,3—0,5 სმ შორის მერყეობს. აღნიშნულ ფრაგმენტებში გამოიყოფა ორი ჯგუფი.

ა) ნატეხები, რომლებსაც ორივე მხარე (შიდა და გარეთა) შეღებილი და გაპრიალებული აქვს მოვარდისფრო-მოწითალოდ (48 ფრ.). ჭურჭლების ნაწილს კეცი შავი ჰქონია, ნაწილს კი მოვარდისფრო. მათში სჭარბობს წაფეციანი, ორივე მხრიდან წითლად ან მოვარდისფროდ შეღებილი ნატეხები.

ბ) მეორე ჯგუფი ეკუთვნოდა მხოლოდ გარედან წითლად შეღებულ და გაპრიალებულ ჭურჭლებს (26 ფრ.). ამ ნაკეთობებს კეცი და შიდაპირი შავი ჰქონდა, ზედაპირი კი წითლად გაპრიალებული. მეორე ჯგუფის ჭურჭლებს ზედაპირი უფრო მკაფიო წითელი ფერისა ჰქონდა.

4) მეჭეჭიანი ორნამენტით შემკული ჭურჭლები (ტაბ. 7, 1—2). ამ ორნამენტით შემკული სამიოდე ჭურჭლის ნაწილია ნაპოვნი. აღნიშნული ნატეხები ძირითადად დერგებს განეკუთვნება. ჭურჭლები თხელკეციანს ყოფილა. კეცის სისქე 0,7 სმ-ია. გადანატეხში შეიმჩნევა კირისა და მდინარის სილის მინარევები. ჭურჭლები მოვარდისფროდ ყოფილა გამომწვარი, თუმცა აქ მათ მოშავო-მონაცრისფრო ფერი დაჰკრავს. გარედან ჭურჭელი ხაოიანია, შიგნიდან კი მოლესილი ყოფილა. ჭურჭელი უხეშია, ხელითაა ნაძერწი. პირი უსწორმასწოროა. პირის დიამეტრის გაზომვიდან ჩანს, რომ ჭურჭლები დიდი ზომისა ყოფილა. ორნამენტი (მეჭეჭები) სველ თიხაზე, ჭურჭლის შიგნიდან, წვეტიანი იარაღით გამოუყვანიათ. მეჭეჭი იშვიათ შემთხვევაში გამჭოლია, რაც უხეში და უხარისხო დამზადების შედეგი უნდა იყოს. ორნამენტი ჭურჭლის პირს შემოუყვება, მეჭეჭების მწკრივი არასწორია, მანძილი მათ შორის საშუალოდ 2 სმ-ია.

5) ჭურჭლის კედლის ნატეხები (ტაბ. 8, 4) ზედაპირზე წვრილი ნაჩვრეტებით, შიგნიდან შავი, პრიალა სარჩულით. ნაჩვრეტები გამჭოლი არ არის, მაგრამ საკმაოდ ღრმად ჩადის კეცში სარჩულამდე. ნაჩვრეტებს ორნამენტის დანიშნულება ჰქონდა.

6) კედლის ფრაგმენტი, მოვარდისფრო, გარედან ემჩნევა ქსოვილის ნაჭდევები, შიგნიდან შავსარჩულიანია და კარგად ნაპრიალები. თიხისაგან დამზადებულ ნაწარმს შორის აღსანიშნავია კვირისტაგები. ისინი გვხვდება ორნამენტისა და უორნამენტო (ტაბ. 6, 26—29). ამ ფენაში 5 კვირისტავია ნაპოვნი. ტრილში სამი მათგანი კონუსურია, ორს ძირი ოდნავ გამოზურტული აქვს და ტრილში რომბს უახლოვდება. მათგან ორი გაპრიალებულია, ორი კი ხაოიანი. ერთის ზედაპირი შემკულია წრიულად განლაგებული ნაჩვრეტებით. კვირისტაგების დიამეტრი მერყეობს 3,5—5 სმ-დე. შუაში მათ წვრილი ხვრელი აქვთ.

III ფენის ძვლოვანი მასალა ძირითადად წარმოდგენილია ფრინველის ლულოვანი ძვლებისაგან დამზადებული სადგისებით (ტაბ. 6, 20—28). 4 ცალი. ამ იარაღს კარგად წამახვილებული წვერი აქვს, ბოლოში კი ეპიფიზი ხელუხლებლად და დატოვებული. ნემსისებური წვეტიანი იარაღი ორი ცალია და ორივე დაზიანებულია. დაზიანებულია აგრეთვე ელატრკვეცილი დანიშნულების ძვლის წვეტიანი იარაღი. ნაპოვნი რქისაგან დამზადებული ორი წვეტიანი იარაღი.

II ფენა — II ფენაში მასალა საგრძნობლად კლებულობს. განსაკუთრებით ცოტაა კაყის იარაღები. ამ ფენაში ნუკლეუსები ბევრი არ არის. მცირე რაოდენობით არის დაზიანებული ნუკლეუსის ნატეხები და ნალევები (6 ც). მთელი ნუკლეუსი ერთადერთია. იგი კონუსის ფორმისაა, მასზე შეიმჩნევა ანატეციების ატეცივის კვალი. სიმაღლე 4,5 სმ-ია. ერთ-ერთი დაზიანებული

ნუკლეუსი შალაშინად გადაუკეთებიათ. გვხვდება ნუკლეუსის დარტყმის სიბრტყის შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცები (3 ც).

II ფენაში 550 კაჟის ანატკეც-ანატეხია. მათში სჭარბობს მცირე და საშუალო ზომისანი. დიდი ანატკეც-ანატეხები ცოტაა. აღნიშნულ ანატკეც-ანატეხებში 42 ცალი კაჟრისკანია. 9—ობსიდიანის ანატკეცია.

ლამელები II ფენაში ცოტაა (45 ცალი), ამასთანავე ისინი განიერი და უსწორმასწოროა. მათ შორის არის ვიწრო დანისებური ლამელებიც (ტაბ. X. 17—27). ლამელების სიგანე მერყეობს 2—3 სმ-ს შორის.

საფხეკები მხოლოდ სამი ცალია. ერთი მათგანი ოვალურია და ორმაგი. დამუშავება ირგვლივი აქვს. ზურგის შუა ნაწილი დაფარულია კაჟრის კანით. (ტაბ. 9. 2); ბოლოკიდურა საფხეკი, ოვალური სამუშაო პირით, დამზადებულია გრძელ ლამელისებურ ანატკეცზე. დარტყმის მოედანი შესწორებულია (ტაბ. 10, 13); ოვალურსამუშაობრიანი ბოლოკიდურა საფხეკი, დამზადებულია უხარისხო, დაკეცილი კაჟისაგან. როგორც ჩანს, იარაღი საერთო იერს დიდი ყურადღება აღარ ექცეოდა. საფხეკებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული გვერდებრეტუშირებული სამი ანატკეცი.

საფხეკისებური იარაღი, ნისკარტისებური, რეტუშირებული თავითა და გვერდებით (ტ. 9, 1), ამგვარივე იარაღი, უფრო დახვეწილი ფორმისა ნაპოვნია III ფენაში.

შუბისპირი, ტირიფის ფოთლის მოყვანილობის, ფუძე ამოღარული, ორმხრივდამუშავებული, დამზადებული ანატკეცზე (ტ. 9, 3).

II ფენაში ერთადერთი ტრაპეციაა ნაპოვნი. იგი დაბალია, ორფერდდამუშავებული და დამზადებულია კაჟის დანისებური ლამელის განივეკეთისაგან. რიყის ქვის იარაღები ამ ფენაში ცოტაა. ისინი წარმოდგენილია ბაზალტის ტრაპეციის მოყვანილობის, კარგად გახეხილ-გაპრიალებული სათლელით და დაზიანებული ცულ-სათლელების ნატეხებით. სხვა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების იარაღებიდან ნაპოვნია ხელსაფქვავეები და მათი ნაწილები. ამ იარაღებს ოვალური მოყვანილობა და მცირე ზომები ახასიათებს. შუა ნაწილი ოდნავ გაღუნულია და აქვს ხეხვის კვალი. საინტერესოა ამ ფენაში სახრელის პოვნა. იგი წარმოადგენს დიდი ზომის რიყის მრგვალ ქვას შუაში პატარა ღრმულით (ტ. 10, 3). მსგავსი ნივთი დღესაც იხმარება შატილში თითისტარის სატრიალებლად. ზომები: 9×9 სმ. ნაპოვნია ერთი დანისებური იარაღი რეტუშირებული ზურგით (ტაბ. X, ნახ. 15) და ერთი წასართისებური იარაღი (ტაბ. X, ნახ. 16). ამგვარ ნივთს ნეოლით-ენეოლითის ფენებში პირველად ვხვდებით.

II ფენაში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ფიქალისაგან დამზადებული ფირფიტისებური სამაჭურის ფრაგმენტები (10 ც). იანივეკეთში ისინი ხშირად ოთხკუთხაა, იშვიათად — სამკუთხა (ნახ. 10. 5—12).

კვირისტავეები გვხვდება ორნამენტირებული და უორნამენტო. ორნამენტად გამოყენებულია ფრჩხილის ჰედები და წერტილები. გვაქვს ბრტყელძირიანი და შეზნექილძირიანი კვირისტავეები, ჭრილში ყველა მათგანი დაახლოებით კონუსის მოყვანილობისაა, გარდა ერთისა, რომელსაც ბორბლისებური მოყვანილობა აქვს და ჭრილში რომბს უახლოვდება (ტაბ. 10. ნახ. 20).

ძვლის იარაღები წარმოდგენილია გარეული ღორის ეშვებით (3 ც), წვერგაათილი რქით, რქის წვერით, ნექნისაგან დამზადებული ვახეხილ-გაპრიალებული, გაურკვეველი დანიშნულების ნივთებით, შესაძლოა სამკაუ-

ლებით (3 ც), ნაპოვნია ძვლის დაზიანებული ნივთები, რომელთა დანიშნულების გარკვევა ჭირს და ფრინველის ლულუეანი ძვლებისაგან დამზადებული ოთხი სადგისი (ტ. 9, 13—15), ისრისმაგვარი იარაღი დამზადებული ცხოველის კბილისაგან.

კერამიკა ამ ფენაში ძალიან დაზიანებულია. აქ მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სისქით, გამოწვით, თიხის სტრუქტურით და დამზადების წესითაც. ცალკეული ნაწილებიდან ჩანს, რომ მათი უმეტესობა ეკუთვნოდა დიდი ზომის ჭურჭლებს. უმრავლესობა გარედან ყოფილა გაპრიალებული. განსხვავება შეიმჩნევა გაპრიალების ხარისხშიც. ზოგიერთი ჭურჭლის შიდა მხარე ანგობირებული ყოფილა მოყვითალოდ. ჭურჭლების ნაწილი მოშავოდ, ნაწილი კი მოვარდისფროდ-მონაცრისფროდ ყოფილა გაპრიალებული. შიდა ნაწილის შეღებვა გვხვდება, როგორც მესამე (წითლად), ასევე მეორე ფენაშიც (მოთეთრო-მოყვითალოდ). ჭურჭლებზე ორნამენტი არ შეიმჩნევა. ყურები დადასტურებული არ ყოფილა. თხელკეციანი, წითლადშეღებილი და გაპრიალებული (იმპორტული) ჭურჭლის ნატეხები აქ გაცილებით ნაკლებია ვიდრე მესამე ფენაში. ამ ფენის სამეთუნეო ნაწარმის თიხა კარგადაა ნაზელი. მინარევებად გამოიყენებოდა კირი და მდინარის სილა. ზოგიერთ ფრაგმენტზე შეიმჩნევა ქარსის მბზინვარე ნაწილაკები. კეცის სისქე მერყეობს 0,5—1 სმ-დე. II ფენაში თიხის ჭურჭლის სულ 212 ნატეხია ნაპოვნი. ჭურჭლების მთლიანი აღდგენა არ ხერხდება. შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებად აღწერა. ამ ფენაში 29 ჭურჭლის პირის ნატეხია. მათში სჭარბობს სწორი, ცილინდრული ყელის მქონე ჭურჭლები. უმრავლესობა დიდი ზომისაა. მათ ნაწილს ბაკო სწორი აქვს, ნაწილს კი მომრგვალებული. ჰდეულპირიანი ფრაგმენტი ერთადერთია.

ძირები ამ ფენაში ცოტაა. ერთი მათგანი მთელია და სამიოდე ნატეხია სხვადასხვა ჭურჭლის ძირისა. მათში არის, როგორც მობრტყელო-მომრგვალო, ასევე ქუსლიანი ძირის ნაწილიც.

1) შავადგამომწვარი ჭურჭლის ძირი სუსტადპროფილირებულქუსლიანი (ტ. 9, 22) და კედლის ფრაგმენტები (75). ძირის დიამეტრი 5,5 სმ. მრგვალი პატარა ძირიდან კედლები დიდი კუთხითაა გადამოლილი. როგორც ჩანს, ეს ძირი დიდი ზომის ჭურჭელს ეკუთვნოდა. იგი კარგად ყოფილა გაპრიალებული. მასში შეიმჩნევა კვარცის მინარევები. კედლის სისქე 0,5 სმ-ია.

2) მონაცრისფროდ გამომწვარი, გაპრიალებული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები. ამ ჭურჭლის აღდგენა არ ხერხდება. არსებული ნაწილებიდან ჩანს, რომ ჭურჭლები დიდი ზომისა და სფერულმეტლიანი ყოფილა.

3) დერგის პირი (ტ. 9, 20), დიდი ზომისა, ცილინდრულყელისანი, მოვარდისფროდ გამომწვარი.

4) წითლად შეღებილი და გაპრიალებული თხელკეციანი ჭურჭლის ნატეხები (16 ც). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს კერამიკა ხშირად იმპორტულის სახელწოდებით გვხვდება. გარეგნული იერით იგი ჰგავს მაიკოპის ყორღანის ცნობილ ჭურჭლებს. კეცის საშუალო სისქე 0,5 სმ-ია. ნატეხებზე შეიმჩნევა ქარსის მინარევები. ეს კერამიკა ოდნავ განსხვავდება მესამე ფენის ამავე ტიპის კერამიკისაგან. იგი ოდნავ უფრო უხეშია, შედარებით უფრო სქელკეციანი და გაპრიალების ხარისხიც უარესი აქვს. ეს ფრაგმენტები უფრო მკაფიო მოწითალო ფერისაა.

5) ანგობირებული ჭურჭლის ნატეხები. გარედან მოშავო-მონაცრისფრო ჭურჭელს შიდაპირი ყვითლად ჰქონდათ ანგობირებული. კერამიკა კარგადაა გაპრიალებული. თიხაში შეიმჩნევა კირისა და კვარცის მინარევები. გამოწვა არათანაბარია. კეცის სისქე 0,5 სმ-ია (14 ფრ.).

6) თიხის ჭურჭლის კედლის ნატეხი ღრმულებიანი ორნამენტით (ტ. 9, 21). 9 5,5 სმ ზომის ფრაგმენტებზე 17 ღრმულია. განიერი და ღრმა ღრუბლები არათანაბარ მწკრივებადაა განლაგებული. ფრაგმენტები გარედან მოვარდისფრო, შიგნიდან კი შავსაჩუღიანია. კეცის სისქე 1,3 სმ უდრის.

7) ყელ-პირის ნაწილი, დიდი ზომის ჭურჭლის, პირის დიამეტრი 23 სმ უდრის. პირი მოსწორებულია. ცილინდრული ყელი მუცლისაკენ განიერდება. ჭურჭელი მოვარდისფროდ ყოფილა გამომწვარი. არა აქვს გაპრიალების კვალი.

8) სფერულმუცლიანი, ძირისაკენ შევიწროებული ჭურჭელი. კეცის სისქე არათანაბარია, ძირისაკენ სქელდება. ჭურჭელი მოშავო-მონაცრისფროა, კარგად გაპრიალებულია, გამოწვა არათანაბარია. მუცლის დიამეტრი 26 სმ-ია. კეცის საშუალო სისქე 0, 8 სმ. ჭურჭელი ნაკლულია (ტ. 9, 19).

I ფენა — ეხის ფენებს შორის პირველი ფენა ყველაზე თხელია. იგი ეხის შიველ ფართობზე არ ყოფილა შემორჩენილი. ამის გამო მასში მასალა მეტად მცირერიცხოვანია და არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. განათხარი ნაშთები ძირითადად წარმოდგენილია კაჟის ინვენტარითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით. კაჟის მასალა ცოტაა (სულ 101 ერთ.). მისი დიდი ნაწილი (70 ერთ.) კაჟის დიდი და საშუალო ზომის ანატკეც — ანატეხებითაა წარმოდგენილი. გამოწვის წარმოადგენს ობსიდიანის ორი პაწაწინა ანატკეცი. წარმოების ნარჩენებში კატრისკანიანი ანატკეცების პოვნა მიუთითებს სადგომის ტერიტორიაზე კაჟის დამუშავებაზე. მათ შორის არის ცეცხლის კვალის მქონე ანატკეცებიც.

ლამელები ამ ფენაში კიდევ უფრო ნაკლებია, (11 ც). ისინი უსწორმასწოროა და საკმაოდ განიერი. მათგან მხოლოდ ერთია ობსიდიანისა, დანარჩენი კაჟისაა.

I ფენაში სულ სამიოდე კაჟის იარაღია ნაპოვნი:

ორმაგი საფხეკი, დამზადებული კაჟის მასურ ანატკეცზე, მომრგვალებული სამუშაო ბოლოებითა და რეტუსირებული გვერდებით. იარაღი წელში ოღნავ გაღუნულია (ტ. 11, 1). ზომები: სიგრძე — სიგანე — 6,3×1,3 სმ.

შუბისპირი ტირიფის ფოთლის მოყვანილობის, უყუნწო, მორკალული ფეხით, დამზადებული კაჟის მოგრძო ანატკეცზე, ორმხრივდამუშავებული მუცლავი წნევიით რეტუსით. ზომები: მაქსიმალური სიგანე 2 სმ, სიგრძე 5 სმ (ტ. 11, 2).

შუბისპირის ნაწილი. შემორჩენილი ნატეხებიდან ჩანს, რომ იგი დამზადებული ყოფილა კაჟის თხელ განიერ ლამელაზე. ორივე გვერდი ბრტყელი წნევიით რეტუსით აქვს დამუშავებული, რომელიც საკმაოდ მაღლა ადის ზურგზე. ამ იარაღს თავი და ბოლო წატეხილი აქვს და ამიტომ ჭირს მისი მთლიანი ფორმის აღდგენა.

რიყის ქვის იარაღები ამ ფენაში არ შეგვხვდრია, მხოლოდ ნაპოვნია ბრტყელი, მოგრძო და ბრტყელიძირი ოვალური რიყის ქვები, რომლებსაც აქვს ხეხვისა და დარტყმის კვალი (7 ც).

კერამიკა მთლიანად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. მისი აღდგენა არ ხერხდება. მიწის ზედაპირზე ეყარა და ფენაშიც შეგვხვდა რამდენიმე მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ნატეხები გაპრიალებული ზედაპირით და „თევზიფხური“ ორნამენტით. ნაპოვნი ფრაგმენტების კეცის სისქე, სტრუქტურა და გამოწვა სხვადასხვანაირია (65 ფრ.). აქ წარმოდგენილია როგორც სქელკეციანი, ისე თხელკეციანი ჭურჭლის ნატეხები. თიხის ჭურჭლები ძირითადად მოშავო — მონაცრისფროდ და მოყავისფროდ ყოფილა გამომწვარი და გაპრიალებული. კეცი მკვრივია და ურევია ქარსის ნაწილაკები. ყურისა და ძირის ნატეხები ამ ფენაში არ შეგვხვდრია. ნაპოვნია ორიოდე ჭურჭლის პირის ნატეხი. ერთი მათგანი მასიურია და მომალლო ყელი გადადის გამობერილ მუცელში, მეორე ყელდაბალი ჭურჭლისაა, პირთან ახლოს გადადის სფერულ მუცელზე. ჭურჭლები ზელითაა ნაძერწი. ამ ფენაში არის აშკარად გვიანდელი მინარევებიც — ჩარხზე ნაკეთები, გვიანდელი, ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი და აშკარად შროშული კერამიკის მავარი ნატეხები ჭარბად ქარსნარევი.

ძვლის იარაღი ამ ფენაში ერთადერთია და ისიც დაზიანებულია და ცეცხლში ნამყოფი. იარაღს კარგად ემჩნევა ლარის ამოღებისა და გაპრიალების კვალი. მისი დანიშნულების შესახებ რაიმეს თქმა ჭირს.

ამ ფენაში ნაპოვნი იყო ერთადერთი ფრაგმენტი სამაჯურისა. იგი ფიქალისაა, თხელია და აქვს ოთხკუთხა განივკვეთი (ტ. 11, 3).

მცირე რაოდენობით იყო ნაპოვნი გარეული ცხოველის ძვლები.

„მ ბ კ ვ ა რ — ა რ ა ძ ს ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს“ ჩ ა შ ვ მ ა შ უ ლ ი ს ა მ ა რ ხ მ ა ნ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დარკვეთის ეხის ზედა ფენების მე-10, მე-11, და მე-12 კვადრატების განივ ღერძებზე ჩაშვებული იყო სამარხები. მათმა მასალამ ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია. ამ სამარხების მასალის ნაწილი, რომელიც ქუთაისის მუზეუმში მოხვდა, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია<sup>2</sup>. აქ მოგვაქვს ის მასალა, რომელიც ჩვენი გათხრებით იყო მოპოვებული.

დარკვეთის ეხში ჩაშვებული სამარხების მასალა მცირერიცხოვანია და მხოლოდ დაზიანებული ჭურჭლის ცალკეული ნაწილების სახითაა მოღწეული. არც ერთი ჭურჭლის აღდგენა არ მოხერხდა. სამარხეული მასალა ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის ნატეხებით, კაჟის რამდენიმე ანატეც — ანატეხითა და ადამიანის ძვლებით. თიხის ჭურჭელი შემდეგი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი:

ცილინდრული ყელი თიხის ჭურჭლისა, რქისებური შვერილით. შიდა და გარეთა პირი ვარდისფერია. კეცი გადანატეხში შავია (ორი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტი). ჭურჭლები გაპრიალებული ყოფილა. ყელის სიმაღლე 7 სმ-ია. კეცის სისქე 1—1,5 სმ-ია. ერთის პირის დიამეტრი 32 სმ, მეორის — 40 სმ.

ბადის ყელ — მუცლის ნატეხი, მოყვითალო ზედაპირიანი, შექარჩულიანი. ჭურჭელი ცილინდრულყელიანი ყოფილა, მუცელზე წიბოიანი გადასვლით. კეცის სისქე 1,5 სმ-ია. ყელი უფრო თხელია, ვიდრე ჭურჭლის ტანი — 0,8 სმ. ჭურჭელი კარგადაა გაპრიალებული.

<sup>2</sup> აღნიშნული მასალის პოვნა დღემდე ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მუზეუმში ჩაბარებულ მასალას არა აქვს აღმოჩენის ადგილის ზუსტი აღნიშვნა.

ყელის ფრაგმენტები მუცელზე წიბოიანი გადასვლით, ვარდისფერ-საჩრდილიანი. ზედაპირი მოვარდისფრო — მოყვითალოდაა გაპრიალეზული ფრაგმენტებზე შეიმჩნევა ჭურჭლის ფენებად ქეთების კვალი.

თიხის ჭურჭლის პირის ნატეხები (11 ფრ.). მოვარდისფრო — მოყვითალოდ გამომწვარი. პირის ფრაგმენტები მოწმობენ, რომ ჭურჭლის პირის დიამეტრი დიდი იყო. ამავე ფენაში ნაპოვნია თხელკეციანი, შავად გამომწვარი ჭურჭლის პირისა და გვერდის ნატეხი.

პირის ფრაგმენტი მოვარდისფრო — მონაცისფრო, მომაღლო და გაღუნული ყელით. თხელკეციანია. კეცის სისქე 0,8 სმ. ოდნავ გაღმოდუნული ყელი გადადის გამობერილ მუცელში. ბაკო სწორი აქვს. პირის დიამეტრი — 17 სმ-ია.

პირის ნატეხი მოყვითალო — მოვარდისფრო, დაბალყელიანი ჭურჭლისა. სწორი ცილინდრული ყელი თანდათანობით გადადის გამობერილ მუცელზე. ჭურჭელი კარგად ყოფილა გაპრიალეზული. პირი გლუვი აქვს. კეცის სისქე დაახ. 1 სმ-ია, პირის დიამეტრი — 40 სმ.

მაღალი, ოდნავ გამობერილი, მონაცისფრო ჭურჭლის ყელი, რომელიც თანდათანობით გადადის მუცელზე. მუცელზე გადასვლის ადგილზე კეცი ოდნავ თხელდება. პირთან 0,8 სმ უდრის, მუცელთან კი 0,7 სმ. ბაკო გლუვი აქვს. პირის დიამეტრი 15 სმ-ია. ამავე სამარხებიდან მომდინარეობს შავად გაპრიალეზული ჭურჭლის ყელის ნატეხები, თხელკეციანი — 0,4 სმ.

ჭურჭლის ყურები (2 ც) ოვალური ხერვლით, ბრტყელი, „მტკვარ — არა-ქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი (ტ. 12, 9—10).

სარქველი ფრაგმენტი (ტ. 12, 1) მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად გაპრიალეზული. შუაში სახელური ჰქონია, რომელიც ამყამად გატეხილია. სარქველის დიამეტრი 20 სმ უნდა ყოფილიყო.

პირის ფრაგმენტები ცოტაა. ისინი ძირითადად მომრგვალო — მობრტყეულია და ხასიათდება მრგვალი გადასვლით ძირიდან კედლებზე. არის ორი სწორი ძირის ფრაგმენტი კედლებზე კუთხიანი გადასვლით.

### 1. ღარკვეთის მხის კულტურული ფენების ასაკი

V ფენა — იგივენი მეზოლითი. დარკვეთის უხის V კულტურული ფენა თხელია და არ ხასიათდება ნაშთების სიუხვით. მაგრამ, ამის მიუხედავად, მის ქვის მასალაში მკაფიოდ გამოიყოფა მთავარი და წამყვანი ფორმები, აგრეთვე კარგად ჩანს ახალი და გაღმონაშთური ელემენტები, რაც სრულ (საფუძველს იძლევა მისი დათარიღებისათვის.

მეხუთე ფენის კაყის იარაღების წამყვანი ფორმებია ვიწრო, დანისებურ ლამელებზე დამზადებული ასიმეტრიული სამკუთხედები. ასიმეტრიული სამკუთხედები ერთ-ერთი დამათარიღებელი ფორმაა კავკასიის მღვიმეების მეზოლითური ძეგლებისა. მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ფართო არ არის. დას. ამიერკავკასიაში ისინი პირველად ჩნდება ზედა პალეოლითის შუა საფეხურზე და გვხვდება მთელი მეზოლითის მანძილზე. კავკასიის ადრე ნეოლითის ასიმეტრიული სამკუთხედები აღარ ახასიათებს. უფრო შემთხვევაში ისინი ჯერჯერობით არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე არ არის ნაპოვნი. ხოლო რაც შეეხება ზედა პალეოლითის ბოლო საფეხურზე მათ

პოვნას, აქ ისინი თანაარსებობენ სხვა ტიპურ ზედაპალეოლითურ ფორმებთან ერთად, რაც აადვილებს ამ კომპლექსების გამოყოფას. ამიტომ ასიმეტრიული სამკუთხედები ძირითადად მეზოლითის დამახასიათებელ და დამათარიღებელ იარაღებს წარმოადგენენ. კავკასიის მასალების მიხედვით, ყველაზე ფართო განვითარებისათვის მათ გვიანმეზოლითში მიუღწევიათ. დარკვეთის ეხის მეხუთე ფენა ცხადყოფს, რომ გრძელდება ტრადიცია, რომელიც ამავე რეგიონის ზედა პალეოლითში (გვარჯილას — კლდე) იყო ჩასახული.

მეხუთე ფენის თარიღისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტრაპეციებს. იარაღების ეს სახე ჩნდება ზედა პალეოლითის ბოლოს, აქ მათ უფრო სწორკუთხედების ფორმა აქვთ, ვიდრე ტრაპეციისა. შემდგომ თანდათან ხდება მათი გადასვლა ტრაპეციებში. დასავლეთ ასიერკავკასიის გვიანმეზოლითურ რიგ ძეგლებში უკვე მცირე რაოდენობით ჩნდება ორფერდდამუშავებული ტრაპეციები. აღრენეოლითში მათი რაოდენობა თანდათან მატულობს, თუმცა არც აქ გვაქვს სიჭარბე. აღრენეოლითური ტრაპეციები მცირე ზომისაა, ორფერდდამუშავებული და სიმეტრიულია. მართალია, დარკვეთის მეხუთე ფენაში ტრაპეციები ცოტაა და ამასთანავე ძალიან უხეში და დაუხვეწავი ფორმისაა, მაგრამ თავისთავად აქ უკვე მათი გაჩენის ფაქტი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს ეპოქა ახლოსაა აღრენეოლითთან.

მეხუთე ფენის ერთ-ერთ დამათარიღებელ ფორმას წარმოადგენენ აგრეთვე ტიპური გვიანმეზოლითური კიდურა საფხეკები დამზადებული მოკლე ლამელისებურ ანატეციებზე კარგად დამუშავებული მორკალული სამუშაო პირით და ფანქრისებური ნუკლეუსები, რომელთაც სტანდარტული ფორმა აქვთ და დამახასიათებელია კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლებისათვის (ჩოხი II—I, სუსრუკო II—I, ეძანი, ცივი მღვიმე, აცი III).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ფენის თარიღისათვის რიყის ქვის იარაღების გაჩენის ფაქტს. იგი მაჩვენებელი უნდა იყოს აგრეთვე ამ ეპოქის სიახლოვისა აღრენეოლითთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვის გახეხილ — გაპრიალებული იარაღები. რიყის ქვის იარაღების გაჩენა დამახასიათებელია კავკასიის თითქმის ყველა გვიანმეზოლითური ხანის ძეგლებისათვის. როგორც ჩანს, ნეოლითის ამ მთავარი თავისებურების წარმოშობა თავისი ფესვებით წინა ეპოქას — გვიანმეზოლითს უკავშირდება.

დარკვეთის ეხის მეხუთე ფენის მასალების შედარებამ კავკასიის მეზოლითურ ძეგლებთან გვიჩვენა, რომ ისინი განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენენ და სინქრონულია გვიანმეზოლითური ძეგლებისა — ცივი მღვიმის B<sub>2</sub> ფენა, ეძანის გვიანმეზოლითური კომპლექსი, ჩოხი II—I, კოზმა — ნოხო, სოსრუკო II—I.

აღნიშნული ფენის თარიღს მხარს უჭერდა აგრეთვე ეხის სტრატეგრაფიული მონაცემები. მეხუთე ფენა უშუალოდ იდო სრულიად სტერილურ, ალუვი-ალური წარმოშობის მოყვითალო დორღნარეგ თიხნარზე და სტერილური შრით იყო გამოყოფილი მის ზემოთ მდებარე აღრენეოლითური ფენისაგან.

ამ ფენის გვიანმეზოლითური თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე კავკასიის მრავალფენიანი ძეგლები, რომლებშიაც დარკვეთის მეხუთე ფენის ანალოგიური ფენები (ჩოხი I—II, სუსრუკო I—II, ცივი — მღვიმე B<sub>2</sub>) ფარავდნენ აღრემეზოლითურ ფენებს.

მეხუთე ფენის თარიღისათვის საყურადღებო მასალებს იძლევა აგრეთვე აღმოჩენილი ფაუნა. დიდი როდენობით იქნა ნაპოვნი ნასუფრალი —

ცხოველების დამტკრეული ძვლები, რომელთა საფუძველზე ი. ბურჩაკ — აბრამოვიჩმა და ო. ბენდუქიძემ დაადგინეს ცხოველთა შემდეგი სახეები. კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), შველი (*Capreolus Capreolus*), დათვი (*Ursus spelaeus*), გარეული ტახი (*Sus scrofa*), გარეული თხა (*Capra Sp.*), თახვი (*Castor fiber*). მეხუთე ფენაში აღმოჩენილი ფაუნისტური მასალა ტიპურია გვიანმეზოლითისათვის. ყველაზე დიდი რაოდენობით აქ ნაპოვნია კეთილშობილი ირმის, შველის, გარეული ღორისა და გარეული თხის ძვლები. როგორც ჩანს, ცხოველთა ამ სახეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზოლითელი მონადირეების მიერ. ცხოველთა აღნიშნული სახეები დამახასიათებელია კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, ზოგადად მსგავს ეკოლოგიურ გარემოში მდებარე გვიანმეზოლითური სადგომებისათვის ანალოგიური ფაუნა არის დადასტურებული ყირიმის გვიანმეზოლითურ ძეგლებში. ნადირობის მთავარ ობიექტს აქაც კეთილშობილი ირემი, შველი და გარეული ტახი წარმოადგენდა<sup>3</sup>.

ქვის მასალის ანალიზი, ფენების სტრატეგრაფია და ფაუნისტური მასალა საშუალებას იძლევა დარკვეთის ეხის მეხუთე ფენა გვიანმეზოლითის მიეკუთვნოთ.

IV ფენა — ადრენეოლითი. დარკვეთის ეხის IV კულტურული ფენის მასალა წინამდებარე ფენისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იგი ქვის ზანის განვითარების სრულიად ახალ საფეხურს ახასიათებს. განსხვავება პირველ რიგში მღვთმარეობს თვისებრივ სიახლეში — რიყის ქვის გახეილ-გაპრიალეზული იარაღების გაჩენაში. გახეილ-გაპრიალეზული იარაღები ამ ფენის ერთ-ერთი მთავარი დამატარიღებელი ნიშანია. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ამ კომპლექსის გამოყოფა გვიანმეზოლითურისაგან. ეს სიახლე ეპოქალური ხასიათის ნიშნებს მიეკუთვნება და ახალი ეპოქის (ნეოლითის) დასაწყისის უტყუარი მაუწყებელია.

ერთ-ერთი მთავარი დამატარიღებელი ფაქტორი ამ ფენისა არის აგრეთვე მისი მდებარეობა დარკვეთის ეხის სტრატეგრაფიულ ქრილში. აღნიშნული ფენა დაფენებულია გვიანმეზოლითური ფენის ზემოთ და მისგან გამოიყოფა I მ სისქის უნაშთო ღორღიანი ფენით. IV ფენის ასეთი განლაგება საშუალებას იძლევა იგი სტრატეგრაფიულად გამოვყოთ მის წინამდებარე გვიანმეზოლითური ფენისაგან. ამგვარად, დარკვეთის ეხის სტრატეგრაფია მყარ არ-გუმენტებს იძლევა ადრენეოლითური და გვიანმეზოლითური ეტაპების გამოსაყოფად. ადრენეოლითური ეტაპის სტრატეგრაფიული გამოყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე IV ფენის მდებარეობას, ზემოთ მდებარე ფენების მიმართაც. დარკვეთის ეხში არ არის წარმოდგენილი გვიანნეოლითური ფენა. IV ფენა უშუალოდ დევს ენეოლითური ფენის ქვეშ. ამგვარი მდებარეობა მისი გამოყოფისათვის იძლევა, როგორც სტრატეგრაფიულ, ასევე მკაფიო ტიპოლოგიურ მასალას.

აქამდე ადრენეოლითური ეტაპი ჩვენ მიერ გამოყოფილი იყო ანასეულის ძეგლების (ანასეული I, II) ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ახლა ეს ზერხდება დარკვეთის ეხის სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

<sup>3</sup> Д. А. Крайнов, Пещерная стоянка Таш-Аир I, как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма. МИА № 91, М., 1960, с. 88.

ამგვარად, კავკასიაში უკვე გვაქვს სტრატეგრაფიული საფუძველი ადრენეოლი-  
თური ეტაპის გამოყოფისათვის.

IV ფენის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის განვითარებული  
მიკროლითური ტექნიკა. ქვის ხანის წინა საფეხურებიდან დაწყებული კაჟის  
ნაწარმის მიკროლითურობა გრძელდება აღმავალი ხაზით და ამ ეტაპზე  
განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს. ამ ფენის გეომეტრიული მიკროლი-  
თების ერთ-ერთი დამათარილებელი ფორმაა ორფერდდამუშავებული ტრაპე-  
ციები. წინა ფენასთან შედარებით აქ მათი რაოდენობა საგრძობლად მატუ-  
ლობს, ფორმებიც იხვეწება. დიდი ზომის უხემ ტრაპეციების ნაცვლად ჩნდება  
მცირე ზომის სიმეტრიული ცალები, გვერდებზე ფაქიზი რეტუმით. IV ფენაში  
სამკუთხედები წყვეტენ არსებობას.

მიკროლიარლებიდან ამ ფენისათვის დამახასიათებელია მომრგვალო  
საფეხეები და მიკროსაჭრისები. ამგვარი იარაღები ცნობილია ანასეული  
I-ის ადრენეოლითური კომპლექსიდან და ცივი — მღვიმის N<sub>1</sub> ფენიდან.

დარკვეთის ეხის მეოთხე ფენის ქვის ინვენტარი გარკვეულ ანალოგებს  
პოულობს ცივი — მღვიმის, აპინასა და მელოურის (წყალტუბოს რ-ნი)  
ადრენეოლითურ კომპლექსებთან. ზემოთ ჩამოთვლილი, ადრენეოლითის  
ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნებით დარკვეთის მეოთხე ფენა სიახლოვეს  
იჩენს ბუინაკისა და ტარნაირის (დაღესტანი) ადრენეოლითურ კომპლექსებ-  
თან, ტაშ — აირ I-ის (ყირიმი) მეექვსე ფენასთან.

დარკვეთის მეოთხე ფენის ერთ-ერთ მთავარ დამათარილებელ ნიშნად უნდა  
მივიჩნოთ კერამიკის არარსებობა. თარიღისათვის ამ ფაქტს გარკვეული  
მნიშვნელობა აქვს. კერამიკა არ გვხვდება კავკასიაში ღღემდე აღმოჩენილ არც  
ერთ ადრენეოლითურ ძეგლზე. ადრენეოლითური კომპლექსების ეს მთავარი  
ნიშანი საფუძველს იძლევა (სხვა ნიშნებთან ერთად) ადრენეოლითური  
ძეგლების გამოყოფისა განვითარებული და გვიანი ნეოლითის კერამიკიანი  
კომპლექსებისაგან.

III—II ფ ე ნ ე ბ ი — ე ნ ე ო ლ ი თ ი. დარკვეთის ეხის მესამე და მეორე  
ფენებს, ნივთიერი მასალის კულტურული მსგავსებისა და იგივობის გამო,  
ერთობლიობაში ვიხილავთ. აღნიშნული ფენების შედარებითი ასაკის  
გარკვევაში მასალის ტიპოლოგიურ — შედარებით ანალიზთან ერთად ვემყა-  
რებით ფენების სტრატეგრაფიულ მონაცემებსაც.

დარკვეთის ეხის III და II ფენების ასაკის დადგენისათვის ფენების  
განლაგების ხასიათი ბევრის მომცემი არ არის. მესამე ფენა გამყოფი სტერი-  
ლური შრის გარეშე უშუალოდ იდო IV ფენაზე. ამ ფენის გამოყოფად გვევლი-  
ნება მესამე ფენის ძირში მდებარე თიხის მოტკეპნილი იატაკი.

ფენების ასაკის განსაზღვრისათვის გარკვეულ გასაღებს იძლევა ამ ეხის  
რამდენიმე კვადრატის მეორე და მესამე ფენებში ჩაშვებული „მტკვარ-არაქ-  
სის“ კულტურის ადრეული ეტაპის კუთვნილი სამარხები. „მტკვარ-არაქსის“  
კულტურის სამარხების ჩაშვება დარკვეთის ეხში უნდა მომხდარიყო ამ  
ფენების წარმოქმნის შემდეგ, კერძოდ კი, III და II ფენის თავზე მდებარე  
პირველი ფენის ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ. პირველი ფენა ეხის გათხრის  
დაწყებისათვის გადარეცხილი და ნაკლული დაგვხვდა, მაგრამ ყოველ შემთხვე-  
ვაში მისი გადარჩენილი ნაწილი იმის უდავო საბუთია, რომ მეორე ფენის  
შემდეგ ეხში დროის გარკვეულ მონაკვეთში კიდევ გრძელდებოდა ცხოვრება.  
მხოლოდ ამ ნასახლარი ფენის (I) ცხოვრების შეწყვეტისა და ეხის მიტოვების

წემდეგ იყო შესაძლებელი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების მიერ აქ თავისი მიცვალებულების დაკრძალვა.

ჩამოვსებული სამარხების მასალა გარკვეულ ანალოგებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოში, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლებთან (კიკეთი, ოზნი). აქედან აშკარა ხდება, რომ დარკვეთის ეხის მესამე და მეორე ფენების წარმოქმნა წინ უნდა უსწრებდეს „მტკვარ — არაქსის“ კულტურის ადრეულ ეტაპს. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდებიდან იწყება ზემო იმერეთში „მტკვარ — არაქსის“ კულტურის ძეგლების გავრცელება. აღნიშნული რაიონის მღვიმეებში იქმნება „მტკვარ — არაქსის“ კულტურის ფენები. ამ ეპოქის ფენები დადასტურებულ იქნა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვებისას (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი), როგორც ღია ტერასებზე (კონცხებზე), ასევე ყვირილას შენაკად მდ. ჰევრულას ხეობის მღვიმეებში.

დარკვეთის ეხის სტრატиграფიული მონაცემები საშუალებას იძლევიან, ეხის ზედა III—II ფენები გვიანენეოლითურ კულტურას მივაკუთვნოთ.

დარკვეთის ეხის III ფენაში პირველად ჩნდება კერამიკა. მის წინა ორ ფენას კერამიკა არ ახასიათებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველად ჩნდება, მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი მეთუნეობის საწყის საფეხურს არ განეკუთვნება. მისი დამახასიათებელი ნიშნები: ზედაპირის (ზოგჯერ შიდაპირის) ეპარაილუბა, ხშირ შემთხვევაში ანგობირება, პირ-ყელის გამოყოფა და ფორმების მრავალფეროვნება აშკარად გვიჩვენებს, რომ მეთუნეობის ადრეული საფეხურებისათვის დამახასიათებელი ქილისებური ჭურჭლებიდან მას განვითარების საკმაო გზა აქვს განვლილი.

დარკვეთის ეხის კერამიკა თიხის შემადგენლობითა და ტექნოლოგიით ახლოს დგას სამეღე — კლდის ქვედა პორიზონტის კერამიკასთან, თუმცა უკეთესადაა გამომწვარი.

დარკვეთის ეხის მესამე და მეორე ფენების კაჟის ინდუსტრია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის იარაღთა დამუშავების ტექნიკაში და ფორმებში. კაჟის ნაწარმში მკაფიოდ შეინიშნება მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული მიკროლითების როლის შემცირება, ვითარდება იარაღების ორმხრივი დამუშავება წნეებითი მცოცავი რეტუშის საშუალებით. თუ ჯაგაკვირდებით ტრაპეციების რაოდენობრივ შეფარდებას დარკვეთის ეხის ფენებში, დაინახავთ საინტერესო კანონზომიერებას. გვიანი მეზოლითის ბოლოს იარაღების ეს სახე ფეხს იკიდებს, ადრენეოლითში იგი მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს, რაზედაც მიუთითებს მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა, ხოლო რაც შეეხება დარკვეთის ეხის III ფენას, მასში ნაპოვია მხოლოდ ორი ტრაპეცია, II ფენაში — 1 ცალი, ხოლო I ფენაში ისინი საერთოდ აღარ გვხვდებიან. მოტანილი მონაცემები მკაფიოდ მოწმობს დარკვეთის ეხის ზედა ფენებში მიკროლითური ტექნიკის მნიშვნელობის დაცემას. სამაგიეროდ, დარკვეთის ეხის მესამე და მეორე ფენებში მრავლად გვხვდება დიდი ზომის ორმხრივდამუშავებული კაჟის შუბისა და ისრისპირები. იარაღების დიდი ნაწილი მასიური და უხეშია, ქრება წინა ფენებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება. ხშირია ატიპიური იარაღები.

II და III ფენები მასალის შემადგენლობის მიხედვით თითქმის მსგავსია. მეტრიოდენი განსხვავება შეინიშნება მხოლოდ მასალის რაოდენობრივ შეფარდებაში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სამაჯურების შედარებისას. III

ფენაში ისინი გაცილებით მეტია ვიდრე მეორეში. კაყისა და ქვის მასალები აგრეთვე თითქმის მსგავსია. III ფენაში მეტია ძვლის იარაღები და წითლად გაპირილებული თხელკაციანი ჭურჭლის ნატეხები. მეორე ფენისაგან განსხვავებით, მესამე ფენის ჭურჭელზე გვხვდება რქისებური შვერილი და ჭურჭლის პირზე კოპი. არის ჭურჭლის პირის დაჭდვის შემთხვევები.

დარკვეთის ეხის II და III ფენებიდან მომდინარე მასალები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ამავე რაიონის სხვა მღვიმეების მასალებთან. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება სამელე — კლდის, სამერცხლე — კლდის ზედა ფენისა და ძუძუანას მღვიმის ზედა ფენის მასალებთან.

დარკვეთის ეხის II და III ფენების სახით უნდა გვქონდეს გვიან-ენეოლითური კულტურის სხვადასხვა ჰორიზონტები. ჭიათურის რაიონის აღნიშნული მღვიმეების ენეოლითური ფენების სახით გვაქვს ძეგლების ჯგუფი, რომელიც ერთ გარკვეულ კულტურას განეკუთვნება. ეს ძეგლები შესაძლოა ერთი კულტურის სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს განეკუთვნებოდეს. მღვიმეების აღნიშნული კულტურა მეტად თავისებურად გამოიყურება.

საინტერესოა ამ ძეგლების სიახლოვე შავიზღვისპირეთის მღვიმეების სინქრონულ ფენებთან. ირკვევა, რომ ვორონცოვის მღვიმის — „ოჩაყის“ ენეოლითური ფენა უფრო ახლოსაა ზემო იმერეთის მღვიმეების ენეოლითურ ფენებთან, ვიდრე მაიკოპის კულტურის ძეგლებთან, რომელშიაც იგი აქამდე იყო შეყვანილი.

საფიქრებელია, რომ მღვიმე „ოჩაყნი, სავარჯილე II და ზემო იმერეთის აღნიშნული ძეგლები (დარკვეთის, სამელე — კლდის, სამერცხლე — კლდის, და ძუძუანას მღვიმეების ზედა ფენები) ერთ კულტურულ წრეს განეკუთვნებოდეს.

ყვირილის ხეობის მღვიმეების კულტურა გარკვეულ სიახლოვეს იჩენს მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებთან<sup>4</sup>. ეს მსგავსება განსაკუთრებით შესამჩნევია აღნიშნული მღვიმეებისა და მეშოკოს ნამოსახლარის მასალების შედარებისას. გარკვეული სიახლოვე შეინიშნება კაყის მასალასა და კერამიკაში. დარკვეთის ეხის შუბისპირები და ისრისპირები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ მეშოკოს ნამოსახლარის ზედა ფენებთან. გარკვეული მსგავსება ჩანს სამაჯურებშიც. დარკვეთის ეხის III ფენაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკული მეჭეჭიანი ორნამენტით. აღნიშნული ორნამენტი ძალიან დამახასიათებელია მაიკოპის კულტურის კერამიკისათვის. მეჭეჭიანი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლები დიდი რაოდენობით ახასიათებს მეშოკოს ზედა ფენას.

<sup>4</sup> Формозов А. А. Археологические исследования пещер в верховьях р. Белой в Краснодарском крае. Сб. материалов по археологии Адыгеи. т. II (серия археологическая), Майкоп. 1961, стр. 50—72; მისივე. Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1, 2965, с. 64—84; დ. თ. უ. შ. ა. ბ. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1963 წელს ჩატარებულ სამუშაოების შედეგები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. არქეოლ. და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 7. მ. ი. ს. ი. ვ. ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქ. ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციების ანგარიშები. ტ. I, თბ., 1969, გვ. 9—10; დ. ნ. ბ. ი. ე. რ. ი. ძ. ე. დარკვეთის მრავალფენიან ეხში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საველე არქ. კვლევა-ძიება 1972 წელი, თბ., 1973, გვ. 20—29.

ამგვარად, აღნიშნული ძეგლების სიახლოვე სვამს მრავალ საინტერესო საკითხს, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მღვიმეების კულტურის მონოგრაფიული შესწავლის შედეგად სინქრონულ კულტურებთან კავშირში. აქ შეგნებულად გვერდს ვუვლით მღვიმეების ენეოლითური კულტურის პერიოდიზაციის საკითხს. იგი სპეციალური ნაშრომის საგანია. მისი შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთ ამიერკავკასიური და ჩრდილო — დასავლეთ კავკასიური ძეგლების დეტალური შედარებისა და ანალიზის საფუძველზე, რაც აღნიშნული ნაშრომის მიზანს სცილდება.

I ფენა — გვიანენეოლითი-ადრებრინჯაო. I ფენა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მცირე მასალის შემცველი გამოდგა, მისი სითხელის გამო. მასში ნაპოვნი მოშავო — მონაცისფროდ და მოყავისფროდ გამომწვევი და ვაპრიალეზული თიხის ჭურჭლის ნატეხები მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოს გვიანენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკასთან.

I ფენის თარიღისათვის საინტერესოა თიხის ჭურჭლის ნატეხები შემკული „თევზიფხური ორნამენტით. ამგვარივე ფრაგმენტები ცნობილია ახშთირისა და ოქუშმის (გალის რ-ი) მღვიმეების ენეოლითური ფენებიდან. თარიღისათვის აგრეთვე საინტერესოა ამ ფენაში ჩაშვებული „მტკვარ-არაქის“ კულტურის ადრეული ეტაპის სამარხები. აღნიშნული ფენის წარმოქმნა წინ უნდა უსწრებდეს ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს, თუმცა შესაძლოა გარკვეულ პერიოდში ამ კულტურების თანაარსებობის დაშვებაც. ამ ფენიდან მომდინარე მასალის სიმცირის გამო ჭერჭერობით ჭირს ზუსტი ასაკის დადგენა. ახალი მასალების მოპოვებამდე შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ფენის მასალა გვიანენეოლით — ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნოთ.

გვიანმეზოლითი

უკანასკნელი წლების კვლევა — ძიების შედეგად კავკასიაში საგრძნობლად იმატა მეზოლითური ძეგლების რიცხვმა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა მათ შორის გვიანმეზოლითური ძეგლების ჯგუფი (ცივი მღვიმე B<sub>2</sub> ფენა, აცი III, დარკვეთი V, სელო, ჭერმუხი, ეძანი, ჩოხი II—I, კოზმა — ნოხო, სოსრუკო II—I), რომლებიც მეზოლითის გვიანი ეტაპის დახასიათების საშუალებას იძლევა. ეს მით უმეტეს საინტერესოა, რომ ამ ეტაპის გამოყოფა უკვე ხერხდება სტრატиграფიისა და ტიპოლოგიის ერთობლივი მონაცემების საფუძველზე. ჩამოთვლილ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მრავალფენიანი ძეგლები (ცივი—მღვიმე, აცი, სოსრუკო, ჩოხი, დარკვეთი). მათ ერთ ჯგუფში (ცივი—მღვიმე, აცი, სოსრუკო, ჩოხი) გვიანმეზოლითური ფენები ფარავენ ადრემეზოლითურსა და გვიან-ზედაპალეოლითურს. მეორე ნაწილში კი (დარკვეთი, ცივი—მღვიმე) მეზოლითურ ფენებს ზემოდან ადევს ადრენეოლითური. ამგვარად, კავკასიაში გვაქვს სტრატиграფიული ჭრილი, რომელშიც წარმოდგენილია ადრემეზოლითური, გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ფენები. აღნიშნული სტრატиграფიული სვეტის მეშვეობით შესაძლებლობა გვაქვს კავკასიური მასალების საფუძველზე უფრო დამაჯერებლად გამოვყოთ ცალკეული ეტაპები (გვიან-მეზოლითი, ადრენეოლითი), დავახასიათოთ ისინი და გამოვყოთ მათი დამატარილებელი ნიშნები.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსებით არ განისაზღვრება კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების რიცხვი. იგი გაცილებით დიდია. მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთი კომპლექსი არ არის მკაფიო ან მისი თარიღი დამაჯერებლად არ გამოიყურება, ამასთანავე ნაწილი ძეგლებისა არასათანადოდ და შესწავლილი და ზოგ შემთხვევაში გამოუქვეყნებელიც კი, გვიანმეზოლითური ეტაპის დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით სტრატაციფიცირებულ ძეგლებს, თუმცა დანარჩენებაც მხედველობაში გვაქვს და ვითვალისწინებთ.

გვიანმეზოლითურ ძეგლებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ პირველ რიგში იმის გამო, რომ ისინი დარკვეთის V ფენის სინქრონულია და მასთან ერთად საშუალებას გვაძლევენ ამ ეტაპის დახასიათებისა.

ამას გარდა, ეს ეტაპი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმიტომ, რომ მასში ჩაისახა და განვითარდა ყველა ის წინაპირობა, რამაც შემდგომ ხელი შეუწყო პირველყოფილი საზოგადოების გადასვლას მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე.

აქ არ შევეუდგებით კავკასიის გვიანმეზოლითური კულტურის ცალკეული ძეგლების დაწვრილებით დახასიათებას, რადგან არქეოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს მათი მეტნაკლებად სრული პუბლიკაციები<sup>1</sup>. აქ შევეცდებით აღნიშნული ძეგლების საფუძველზე ზოგადად დავახასიათოთ გვიანმეზოლითური კულტურა, კაყის ინდუსტრიაში გამოყვით ეპოქალური და დამათარილებელი ნიშნები. ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით ზოგიერთი ძეგლის თარიღს.

კავკასიის გვიანი მეზოლითის კაყის ინდუსტრიის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა ფართოდ განვითარებული მიკროჩასართების ტექნიკა. მისი განვითარება პირდაპირ კავშირშია სწორწახნაგა დანისებური ლამელების ატკეცვის ტექნიკის წარმოშობასა და განვითარებასთან.

გვიანმეზოლითური კომპლექსების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სწორწახნაგა დანისებური ლამელები. მეზოლითის ეპოქაში ლამელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იარაღების წარმოების საქმეში. ლამელა წარმოადგენდა ნაშაბდს, რომელზედაც მზადდებოდა მეზოლითური იარაღების დიდი უმრავლესობა. ლამელების ასეთმა დიდმა მოთხოვნილებამ განაპირობა კაყის ნაწარმში მათი რიცხოვრივი უპირატესობა. მეზოლითური ლამელები ხასიათდება მცირე ზომებით, ხშირად მიკროლითურობით. მათ დიდ ნაწილს არ გააჩნია მეორადი დამუშავება. ასეთ ლამელებზე არსებული ხმარების კვალი წვრილი ამონატეხების სახით მოწმობს, რომ ისინი ხშირად გამოიყენებოდა მეორადი დამუშავების გარეშე. საფიქრებელია, რომ მათ ხმარობდნენ რთული იარაღების შემადგენელ ნაწილებად — ჩასართებად. ლამელების მცირე ნაწილს გვერდზე აქვს მთლიანი ან ნაწილობრივი მეორადი დამუშავების კვალი.

კავკასიის მეზოლითური ეპოქის კაყის ინდუსტრიას ახასიათებს მიდრეკილება სწორწახნაგა დანისებურ ლამელებზე. დამზადებული იარაღების ხვედრითი წონის ზრდისაკენ. კაყის ნაწარმის განვითარების გზა მთელი მეზოლითის მანძილზე მიემართებოდა სწორწახნაგა ლამელების ატკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებისა და დახვეწის ხაზით, რამაც თავის მხრივ განაპირობა ჩასართების ტექნიკის განვითარება. ლამელებისა და ჩასართების ტექნიკამ განვითარების დიდი გზა განვლო, რამაც ალბათ განაპირობა იარაღების მიკროლითურობა. მიკროლითური ტექნიკის განვითარება მიკროიარაღების სრულყოფის გზით წარიმართა. განვითარების ამ გზაზე გვიანი მეზოლითი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია. მიკროლითური ტექნიკა ამ ეტაპზე განვითარების გარკვეულ გზას გადის. გეომეტრიული მიკროლითი მღვიმეებისა და ეხების გვიანმეზოლითის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ასიმეტრიული სამკუთხედები, თუმცა მათი რაოდენობრივი შეფარდება კომპლექსებში ყოველთვის ერთნაირი არ არის.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ასიმეტრიული სამკუთხედები ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღია კავკასიის გვიანი მეზოლითისა. კავკასიაში ისინი პირველად ჩნდება ზედა პალეოლითის შუა საფეხურზე. შემდეგ ისინი მთელი მეზოლითის მანძილზე გვხვდებიან. კავკასიის ადრენეო-

<sup>1</sup> В. Г. Котович. Каменный век Дагестана, М., 1964; С. Н. Замятнин и П. Г. Акрита с. Раскопки грота Сосруко в 1955 г. Уч. записки Каб-балк. НИИ т. XIII, вальчик, 1957; Соловьев Л. Н. Об итогах археологических раскопок в гроте Хупнипшахва. Труды Абхазского ИЯЛИ, XXXII, 1961; მ. ვ ა ბ უ ნ ი ა. თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976.

ლითს ასიმეტრიული სამკუთხედები აღარ ახასიათებს. კავკასიის გვიანმეზო-ლითის რიგ ძეგლებში ორფერდამუშავებული ტრაპეციები გვხვდება. ამ ეპოქის ძეგლებში სეგმენტები იშვიათია. მიკროლამელების ატკეცვის ტექნიკის გაუმჯობესებისა და ლამელების წარმოების გაფართოების ერთ-ერთი უტყუარი მოწმეა ფანქრისებური ნუკლეუსებიც. მათ სტანდარტული ფორმა აქვთ და ამჟამად ატარებენ მიკროლამელების ატკეცვის კვალს. ისინი დამახასიათებელია კავკასიის თითქმის ყველა გვიანმეზოლითური ძეგლისათვის. ადრემეზოლითსა და ზედა პალეოლითში ამგვარი ნუკლეუსები არ გვხვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიის სხვადასხვა კუთხის ნუკლეუსებს საოცარი მსგავსება აკავშირებს ერთმანეთთან. გვიანმეზოლითურ ძეგლებს ახასიათებს ძველი ფორმის ნუკლეუსებისა (პრიზმისებური და კონუსისებური) და ფანქრისებური ნუკლეუსების თანაარსებობა.

გვიანმეზოლითის კაჟის მასალაში დიდი ადგილი უჭირავს საფხეკებს. მათი რაოდენობა მატულობს ადრემეზოლითთან შედარებით. აქ გვხვდება ოვალურ სამუშაოპირიანი მოკლე ანატკეცებზე და მოგრძო ლამელებზე დამზადებული ბოლოკიდურა საფხეკები. მათ ფაქიზი და თანამიმდევრული რეტუში აქვთ. ასევე აქ გვხვდება მრგვალი, ირგვლივდამუშავებული მცირე-ზომის საფხეკები. საფხეკების აღნიშნული ტიპი გვხვდება ეძანის, ჩოხისა და სოხრუკოს გვიან მეზოლითურ ფენებში. ანალოგიური საფხეკები დამახასიათებელია აგრეთვე ყირიმის სინქრონული ძეგლებისათვის. ეს საფხეკები შემდგომ განვითარებას ადრენეოლითში აღწევენ და უფრო სრულყოფილ სახეს იღებენ. გვიანი მეზოლითი საჭრისების სიმრავლით ხასიათდება. ისინი მარტივი ფორმისაა და ძირითადად წარმოდგენილია ლამელაზე ან ანატკეცზე, სასაჭრისე ჩამონატეხის საშუალებით გაფორმებული ცალებით. მათში სჭარბობს გადატეხილი ლამელის კუთხეზე ჩამოყალიბებული საჭრისები.

გვიანი მეზოლითისათვის დამახასიათებელია დაკბილული იარაღები, თუმცა მათი რაოდენობა ამ ძეგლებში დიდი არ არის. დაკბილული იარაღების უმრავლესობა ლამელაზეა დამზადებული. გვხვდება აგრეთვე ლამელაზე დამზადებული გვერდამოღარული იარაღები.

წინა ეპოქების ქვის დამუშავების ტექნიკის გადანაშთად უნდა მივიჩნიოთ ნუკლეუსისებური იარაღების შემორჩენა, ასევე საჩხვისებური იარაღები დამზადებული ვაცვეთილი დისკოსებური ნუკლეუსებიდან ან მასიური უხეში ანამტერევეებისაგან და სათლელისებური იარაღი.

ერთეულების სახით გვხვდება ბლავგურგა ლამელები, მშვილდის ფორმის წვეტიანები და ბლავგურგა მიკროწვეტანები.

ადრემეზოლითთან შედარებით გარკვეული მიღწევები იყო მიღწეული გვიანი მეზოლითის ქვის დამუშავების ტექნიკაში. უმჯობესდება იარაღების მეორადი დამუშავება, დიდი ყურადღება ექცევა იარაღების საერთო იერს და სამუშაო პირის გაფორმებას. რეტუში ფაქიზდება. გარკვეულ განვითარებას აღწევს წნევეთი რეტუში. გვიანმეზოლითში იწყება რიყის ქვის დამუშავება, ჩნდება პირველი უხეში იარაღები (საწაფები, შურდულის ქვები, სანაყები, სახეხები). გახეხვა — გაპრილება ამ იარაღებს ჯერ არ ახასიათებს. ყირიმის გვიანმეზოლითს რიყის ქვის იარაღები არ ახასიათებს, ისინი იქ უფრო მოგვიანებით ჩნდება.

ამ ძეგლების შესწავლისა და ურთიერთშედარების შედეგად საშუალება გვძლევს გამოვყოთ გვიანმეზოლითური კომპლექსებისათვის დამახასიათებ-

ბელი და დამათარილებელი სტადიალური ნიშნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს აღნიშნული ძეგლები გამოვყოთ მის წინარე და მომდევნო ეპოქების მასალებისაგან: 1. ფართოდ განვითარებული მიკროლითური ტექნიკა, 2. ჩასართი იარაღების სიმრავლე, 3. ფანქრისებური ნუკლეუსები, 4. ასიმეტრიული სამკუთხედები, 5. კიდურა საფხეკები (სტანდარტული ფორმა), 6. რიყის ქვის იარაღების გამოყენების დასაწყისი.

ამ ძეგლებში არის აგრეთვე არაძირითადი სხვა საერთო ნიშნებიც. ისინი წარმოდგენილია წინა ეპოქებისაგან შემორჩენილი გადმონაშთების სახით (საჩხეი იარაღი, გრავეტის ტიპის წვეტანები, დანები და სხვ).

ამგვარად, კავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ქვის ინდუსტრიის განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ კომპლექსებს, მიუხედავად მათი ტერიტორი-ალური დამორებისა, აქვთ მკაფიოდ გამოხატული საერთო ეპოქალური ნიშნები (გამოხატული კომპლექსის შემადგენელი ელემენტების მსგავსებაში), რომ კავკასიის გვიანმეზოლითური კულტურის განვითარების ძირითადი გზა, მიუხედავად მათი რეგიონალური, ლოკალური თავისებურებებისა, დამყარებული იყო საერთო ზოგად კანონზომიერებაზე.

კავკასიის ცალკეული რეგიონის გვიანმეზოლითური ძეგლების ძირითად მსგავსებასთან ერთად შეიმჩნევა ცალკეული იარაღების დამზადების თავისებურება, განსხვავება ზოგიერთი იარაღის ფორმასა და %-ულ შეფარდებაში. აღნიშნული განსხვავება განპირობებული უნდა იყოს ამა თუ იმ რეგიონის ლოკალური თავისებურებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლებს შორის მსგავსება უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება. მხოლოდ ეპოქალური ნიშნების გამოყოფის შემდეგ გვეჩვენა საშუალება ლოკალური ნიშნების განსაზღვრისა. მანამდე ყოველგვარ ლოკალურობაზე ლაპარაკი, ვფიქრობ, საფუძველს მოკლებულია. განსხვავებების დეტალური შესწავლა გამოავლენს თავისებურებებს ცალკეულ კულტურებსა და გვაროვნულ ჯგუფებს შორის.

კავკასიის მცირერიცხოვანი, მაგრამ მკაფიო კომპლექსების საფუძველზე ზოგადად დაუახასიათეთ ამ ეპოქის ქვის ინდუსტრია, გამოვყავით მისი მთავარი და დამათარილებელი ფორმები და ხაზი გავუსვით იმ სახლეს ქვის დამუშავების ტექნიკაში, რაც მიღწეული იყო გვიანმეზოლიტში. გვიანმეზოლიტის კაყის ინდუსტრიაში მომხდარი ცვლილებები განპირობებული იყო მეურნეობაში მომხდარი ძვრებით.

კავკასიის გვიანმეზოლითურ ფენებში ნაპოვნი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ გვიანმეზოლითური ეპოქის მცხოვრებთა მეურნეობა ძირითადად დამყარებული იყო მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე. კერძოდ, განსაკუთრებული როლი უნდა ჰქონოდა ნადირობას. პირველ რიგში ამას მოწმობს კავკასიის გვიანმეზოლითურ ფენებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი გარეული ცხოველების ძვლები. მათი საშუალებით ირკვევა, რომ ნადირობის ძირითადი ობიექტი ყოფილა გარეული ტახი, კეთილშობილი ირემი. შველი, გარეული თხა, ცხვარი და დათვი. აღნიშნული ცხოველების ძვლები გვხვდება თითქმის ყველა გვიანმეზოლითურ ძეგლში.

კეთილშობილი ირემი, შველი, დათვი, გარეული ცხვარი ძირითადად ტყის ბინადარნი არიან. მათგან პირველი ორი მთის ტყიან ზონაში ბინადრობს. გარეული ცხვარი ფართოდ იყო გავრცელებული გაყინვარების შემდგომ პერიოდში მთელი კავკასიის ზეგან-ბორცვებზე. მისი ამოწყვეტა გვიან პოლოცენში მოხ-

და ანთროპული ფაქტორის წყალობით. სადღეისოდ იგი გადარჩა მხოლოდ მცირე კავკასიონის მთიანეთში<sup>2</sup>. გარეული ღორი კი ბინადრობდა მდინარეთა ხეობების ქალებსა, ბუჩქნარებსა და მთისწინეთის წიფლისა და მუხის ტყეებში. ზოგჯერ იგი მთიან რაიონებსაც ეტანებოდა<sup>3</sup>.

ამიერკავკასიის პოლოცენის პალეონტოლოგიური<sup>4</sup> და პალინოლოგიური<sup>5</sup> მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ პლეისტოცენის კლიმატური პირობებიდან გაყინვარების შემდგომი ეპოქის თბილ კლიმატზე გადასვლა დაკავშირებული იყო მშრალი ფლორის გავრცელებასთან, რამაც გამოიწვია ნესტიანი ბიოტოპების შემცირება და შედარებით ფართო გავრცელება მშრალი ჰავის მოყვარე ხერხემლიანებისა, რომელთა შორის მრავლად იყო წინა და სამხრეთ აზიის ფაუნის წარმომადგენელი. მაგრამ, ამის მიუხედავად, ბენდუქიძე ფიქრობს, რომ ადრეპოლოცენის ზოოცენოზებში ქსეროფილურ ცხოველებს დაქვემდებარებული მდგომარეობა ჰქონდათ<sup>6</sup>. ამის საფუძველად მას მიაჩნია ადრეპოლოცენის მტვრიანებში წიწვიანებისა და მეზოფიტული ჯიშების აღმოჩენა, რომლებიც მოწმობენ ნესტიანი ბიოტოპების შედარებით ფართო, საყოველთაო გავრცელებას<sup>7</sup>.

აღნიშნული მოსაზრება დასტურდება ადრეპოლოცენის კულტურულ ფენებში ნესტიანი ბიოტოპების დამახასიათებელი ცხოველების აღმოჩენით (ირემი, შველი, გარეული ტახი, თახვი და სხვა). საინტერესოა, რომ ქვემო ქართლის არუხლო I—არუხლო III და წოფის ნამოსახლარზე აღმოჩნდა თახვის ძვლები<sup>8</sup>.

პოლოცენის დასაწყისში მთელს კავკასიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული გარეული ტახი, შველი, კეთილშობილი ირემი და ტყის სხვა ბინადარი, რომლებიც აგრეთვე გვხვდებოდნენ სამხრეთ საქართველოს მთიანეთის შედარებით უტყეო რაიონებში. პოლოცენის დასაწყისში დღევანდელთან შედარებით უფრო ფართო არეალი ჰქონდა კავკასიურ ჯიხვსა და შველს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული იყო ცხენი, სამხ. საქართველოში კულანი და გარეული ცხვარი.

საინტერესოა ფაქტია, რომ ქსეროფიტული ფაუნის შეჭრა თითქმის არ შეეხო დასავლეთ საქართველოს, სადაც პალინოლოგიური მონაცემების თანახმად, შეიმჩნეოდა ლანდშაფტური პირობების გარკვეული კონსერვატიულობა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივ ხერხემლიანთა ფაუნის უცვლელობას<sup>9</sup>.

<sup>2</sup> И. К. Верещагин. Млекопитающие кавказа (История формирования фауны) М., 1953.

<sup>3</sup> И. К. Верещагин. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 235.

<sup>4</sup> О. Г. Бендукидзе. Голоценовая фауна позвоночных Грузии, диссертация на соискание ученой степени кандидата биологических наук, 1957, с. 119.-

<sup>5</sup> И. И. Тумаджанов, Л. К. Гогичаишвили. Основные черты послехвалынской истории лесной растительности норской низменности. Сб. «Голоцен», 1969, М., Л. К. Гогичаишвили. История лесной растительности средненорской низменности в Голоцене. Автореф. канд. дисс., Тб., 1969.

<sup>6</sup> О. Г. Бендукидзе. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 121.

<sup>7</sup> И. И. Тумаджанов, Л. К. Гогичаишвили. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 11.

<sup>8</sup> О. Г. Бендукидзе. Бобр в Голоцене Грузии. *საქ. მეცნ. აკად. მოამბე*, 282, 1970, გვ. 485.

<sup>9</sup> О. Г. Бендукидзе, *იქვე*, გვ. 120.

პალეონტოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების საშუალებით ირკვევა, რომ კავკასიის ადრეპოლოცენში შედარებით თბილი ჰავა იყო, ხოლო იმ დროს გავრცელებული იყო ისეთი ფაუნა, რომელიც ახლოსაა თანამედროვესთან<sup>10</sup>. პალეოზოოგეოგრაფიულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ, ცხოველთა ეს სახეები გვიანმეზოლითიდან მოყოლებული ამ რეგიონებში დღემდე ბინადრობენ ან გადაშენდნენ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ანთროპული ფაქტორების წყალობით.

გაყინვარების შემდგომმა ეკოლოგიურმა ცვლილებებმა, მოსახლეობის ზრდამ მეზოლით — ნეოლითის ხანაში, რაც მთავარია, ანთროპულმა პირდაპირმა და არაპირდაპირმა ფაქტორებმა შეამცირა დიდი ჯოგური ცხოველების რაოდენობა და მათი გავრცელების არეალი. ყოველივე ამან გამოიწვია ნადირობის შესაძლებლობების შემცირება. ამიტომ მსხვილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობა შეიცვალა წვრილფეხა ჯოგურ ცხოველებზე ნადირობით, რომელსაც უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი მიეცა<sup>11</sup>. დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითური ძეგლების ფაუნისტური ნაშთების განხილვა გვიჩვენებს, რომ ოსტეოლოგიური მასალის ყველაზე დიდი ნაწილი მოდის მსხვილ ჩლიქოსნებზე (Ungulata), კერძოდ, დომბაზე, კეთილშობილ ირემზე, ცხენზე და ჯიხვზე. შედარებით მცირერიცხოვანია შვლის, ქურციკის და გარეული ღორის ძვლები. მტაცებელი ცხოველების ნაშთებიდან (Carnivora) ყველაზე მეტი რაოდენობა მღვიმის დათვზე და მგელზე მოდის<sup>12</sup>.

კავკასიის მეზოლითური ძეგლების ფაუნისტური ნაშთების შედარება ზედაპალეოლითურთან აშკარად გვიჩვენებს ნადირობის ობიექტის ცვლილებას. თუ ზედაპალეოლითში ნანადირვის ყველაზე დიდი პროცენტი მსხვილ-ჩლიქოსნებზე მოდიოდა, გვიანმეზოლითში მდგომარეობა იცვლება. მატულობს წვრილჩლიქოსანთა მნიშვნელობა, როგორც ნადირობის ობიექტისა. დომბას ნაშთები თითქმის აღარ გვხვდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარეულ ტახს, კეთილშობილ ირემს, შველს და გარეულ ცხვარს. კავკასიისა და ყირიმის გვიანმეზოლითურ ძეგლებში წვრილჩლიქოსანთა შორის უპირატესობა გარეული ღორის ძვლებს ეკუთვნის.

საყურადღებოა, რომ პალეობიოლოგების მიერ სწორედ მაღლენის ეპოქა (III ვიურმი) ითვლება კავკასიის ცხოველთა სამყაროს გარდატეხის მომენტად, რომელშიც თვალნათლივ ჩანს ეკოლოგიაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ — გვიანპეისტოცენში ფართოდ გავრცელებული ფორმების ამოწყდომა<sup>13</sup>, რომლის შემდეგაც უკვე არსებობს თანამედროვესთან ახლო მდგომი ფაუნა.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა მონადირულ მეურნეობაზე. შემცირდა მისი შესაძლებლობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდა მზარდი მოსახლეობის მოთხოვნებს. წარმოიშვა გარკვეული უთანაბრობა ნადირობის მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის, რამაც გამოიწვია მონადირული მეურნეობის თავისებური კრიზისი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება დაიწყო თვით მონადირული მეურნეობის წიაღში,

<sup>10</sup> В. И. Громов. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 233, 247.

<sup>11</sup> А. А. Формозов. *Этнокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке, 1959.*

<sup>12</sup> მ. ბ ი რ ა ძ ე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 38. იხ. ცხრილი 2.

<sup>13</sup> О. Г. Бендукидзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 112.

რამაც ადამიანი მიიყვანა ცხოველების მოშინაურების ცდებამდე, რაც შემდგომ მეცხოველეობაში გადაიზარდა. ამისი მკაფიო მაგალითი უნდა იყოს ჩოხის მეზოლითურ სადგომზე (მაღალმთიანი დაღესტანი) შინაური ცხვრის ძვლების პოვნა<sup>14</sup>, სადაც მეურნეობის მთავარი დარგი ნადირობა და შემგროვებლობა იყო. აღნიშნული ფაქტი კარგად გვიჩვენებს მეზოლითური მეურნეობის წიაღში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას.

ძვლოვანი მასალის გარდა ნადირობაზე მიმთითებელი სხვა პირდაპირი მონაცემები გვიანმეზოლითურ კომპლექსებში არ არსებობს. აღრემეზოლითურ კომპლექსში გვხვდება იარაღები, რომლებიც ნადირობისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ასეთი იარაღების რიგს უნდა ეკუთვნოდეს მთელი სერიები მიკროწვეტიანებისა, წვეტანებისა, ისრისპირებისა, რომლებიც თითქმის ყველა აღრემეზოლითურ კომპლექსში გვხვდება. კავკასიის გვიანმეზოლითში ისრისპირები ან არ გვხვდება, ან ძალიან იშვიათად. საფიქრებელია, რომ სანადირო იარაღის ფუნქციას აქ სხვა სახის იარაღები ასრულებდნენ.

საფიქრებელია, რომ ნადირობის ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით სანადირო იარაღები და ნადირობის ხერხებიც სხვადასხვა იყო. ამა თუ იმ ნადირის ინდივიდუალური თვისებების შესაბამისად ნადირობისათვის განსხვავებული იარაღები და ხერხები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ყოველ ნებისმიერ შემთხვევაში კაჟის იარაღები (ისრისპირები და წვეტისებური იარაღები) შესაძლოა არ ყოფილიყო ეფექტური, რის გამოც ნადირობა ხდებოდა სრულიად სხვადასხვა წესებით და იარაღებით (შენიღბული ორმოები, ზაფანგები, რთული შედგენილი იარაღები და სხვ.). ასეთ შემთხვევაში შესაძლოა შემცირებულიყო ან შეცვლილიყო კაჟის სანადირო იარაღების სახე და რაოდენობა. შესაძლოა ნადირობის აღნიშნული ხერხებით იყო განპირობებული გვიანმეზოლითში ისრისპირების რაოდენობის შემცირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კავკასიის გვიანმეზოლითური ფენებისათვის ძალიან დამახასიათებელია გარეული ტახის ძვლები. იგი ნადირობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ სწორედ გარეულ ტახზე და ზოგიერთ სხვა ცხოველზე ნადირობა არ იყო ეფექტური კაჟის ისრისპირებით. ეტყობა მათზე სანადიროდ შედგენილი ჩასართებიანი იარაღები იყო გამოყენებული. შენიღბული ორმოებითა და ზაფანგებით ნადირობას შესაძლოა ზმირად მოყვებოდა ნადირის ცოცხლად შეპყრობა და მისი მიყვანა სადგომის ტერიტორიაზე. უკანასკნელმა კი შესაძლოა წარმოქმნა იდეა საკვების თავისებური ცოცხალი მარაგის შექმნის შესახებ. სადგომზე ცოცხალი საკვები მარაგის წარმოქმნამ თავის მხრივ განაპირობა ცხოველთა ზოგიერთი ჯიშის (აღვილად მოსაშინაურებელი) მოშინაურება. გვიანმეზოლითში ფართოდ განვითარებულ მონადირეობას თავისებური საფუძველი უნდა შეექმნა მომდევნო ეპოქაში ცხოველთა გადასახველად.

გვიანმეზოლითში უნდა შექმნილიყო გარკვეული წინა პირობები მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასახველად.

დარკვეთის აღრენეოლითურ ფენაში (IV ფენა) უკვე გვაქვს მოშინაურებული ცხოველის ძვლები. ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი წინა პირობები შეიქმნა უფრო ადრე, მის წინა ეპოქაში. ეს მით უმეტეს არის საგულის-

<sup>14</sup> В. Г. Котович. Чохская стоянка — первый памятник каменного века в горном Дагестане. «Ученые записки», т. III. Махачкала, ИИЯЛИ, 1957, с. 157.

ხმებელი, რომ ცხოველთა მოშინაურება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, ადრენეოლითის შინაური ცხოველების ოსტიოლოგიურ მასალაში დაფიქსირებული მორფოლოგიური ცვლილებების საწყისები უფრო ადრე უნდა ვივარაუდოთ, ამიტომ საფიქრებელია, რომ გვიანი მეზოლითის ეპოქაში ფართოდ განვითარებულმა მონადირეობამ შექმნა საფუძველი პრიმიტიული მეცხოველეობის ჩასახვისათვის.

როგორც კავკასის გვიანმეზოლითური მასალები მოწმობენ, მეზოლითელი ადამიანის მეურნეობაში დიდი როლი უნდა ჰქონოდა მეთევზეობას. გვიანმეზოლითური სადგომების უმრავლესობა მოთავსებულია მდინარეთა ტერასებზე და მდინარისპირა მღვიმეებსა თუ ეხებში. აქ მოხინაღრე კოლექტივს ფართოდ უნდა გამოეყენებინა მდინარის რესურსები. ამაზე უნდა მეტყველებდეს ცივი მღვიმის გვიანმეზოლითურ ფენაში დიდი რაოდენობით ორაგულისა და სხვა წვრილი თევზების ძვლებისა და ჰარპუნების აღმოჩენა, ასევე დარკვეთის ეხის გვიანმეზოლითურ ფენაში საწაფის პოვნა. სათევზაო იარაღებს უნდა ეკუთვნოდეს გვიანმეზოლითურ სადგომებში ნაპოვნი ასიმეტრიული სამკუთხედები<sup>15</sup>, ასე, რომ კავკასიის გვიანმეზოლითურ ძეგლებში ნაპოვნი მეთევზეობასთან დაკავშირებული ნივთიერი საბუთები მეურნეობის ამ დარგის განვითარების უტყუარი მოწმეა.

დასავლეთ ამიერკავკასიაში, პირველყოფილი საზოგადოების მეურნეობაში მეთევზეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ზედაპალეოლითის ადრეული საფეხურიდან უკვე გვაქვს მეთევზეობის დამამტკიცებელი საბუთები. ცივი — მღვიმის Γ ფენაში (ორინიაკი) დიდი რაოდენობით ნაპოვნია მსხვილი ორაგულის ხერხემლის ძალები. ამავე ცივი — მღვიმის B ფენაში მრავლადაა ორაგულისა და წვრილი თევზის ძვლები. გვარჯილას — კლდეში ნაპოვნია ჰარპუნი.

მასალებიდან ირკვევა, რომ გვიანმეზოლითში პრიმიტიულ მეთევზეობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ აქ გვაქვს უკვე მეურნეობის ამ დარგის დიფერენციაცია ცალკეული სახეების მიხედვით. როგორც მასალები გვიჩვენებენ, თევზის ჭერა ხდებოდა როგორც ჰარპუნებით, ასევე ანკესისებური იარაღებით<sup>16</sup> (სამკუთხედები) და სათევზაო ბადით (საწაფები).

გვიანი მეზოლითის ბოლოს (ადრეპოლოცენი) დასავლეთ ამიერკავკასიაში არსებული თბილი და ნესტიანი ჰავა ხელს უწყობდა აქტიური მცენარეული საფარის გავრცელებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა შემგროვებლობის განვითარებისათვის. შემგროვებლობის საგანი უნდა ყოფილიყო ტყის მრავალრიცხოვანი, საკვებად გამოსადეგი ნაყოფი და გარეული მარცვლეული ჯიშები, რომლებითაც განსაკუთრებით მდიდარი იყო დასავლეთ ამიერკავკასია. ამგვარად, ეკოლოგიური პირობები და გარეული მარცვლეულის ენდემური ჯიშები ხელს უწყობდნენ რთული შემგროვებლობის განვითარებას.

ზემოთ ჩამოთვლილი მეურნეობის დარგები (ნადირობა, მეთევზეობა, შემგროვებლობა), რომლებიც დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითში

<sup>15</sup> С. Н. Биби́ков. Раскопки в навесе Фатьма-коба. КСИИ, т. 8, К, 1950, с. 118, рис. 4.

<sup>16</sup> С. И. Биби́ков. დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, ახასიათებენ ფართოდ განვითარებულ მითვისებით მეურნეობას.

მითვისებითი მეურნეობის აღნიშნულ დარგებს ემსახურებოდა კაყის მთელი ინდუსტრია, განსაკუთრებით კი მიკროლითური ტექნიკა და მიკრო-იარაღები. ისინი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ შემკვროვებლობისა, ნაწილობრივ კი სანადირო და სათევზაო იარაღების ჩასართებად. ე. ი. ყველა შემთხვევაში მიკროლითური ტექნიკა და მიკროჩასართები ემსახურებოდა მითვისებითი მეურნეობის საჭიროებას.<sup>17</sup>

მასალები გვიჩვენებენ იმასაც, რომ გვიანმეზოლითური მითვისებითი მეურნეობის წიაღში უკვე ისახება მწარმოებლური მეურნეობის საწყისები, რომ კავკასიის გვიანმეზოლითური კულტურების ბაზაზე იქმნება მეცხოველეობა და ადრესამიწაოქმედო კულტურები. ამ ეტაპზე დაგროვილმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა შეამზადა ნიადაგი თვისებრივად ახალ ეტაპზე — ნეოლითზე გადასასვლელად.

დსსავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითური კულტურა აღმოცენდა და განვითარდა გვიანმეზოლითური კულტურის საფუძველზე. ადრენეოლითი აჯამებს მეზოლითური ეპოქის სიახლეთა ძიების შედეგებს და რელიეფურად წევს წინ ამ ძიების შედეგად მიღებულ ახალ მიღწევებს.

აქვე მინდა შევეხო ძეგლების პატარა ჯგუფს, რომელიც ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად ახლოს დგას ზემოთ დასახელებულ გვიანმეზოლითურ კომპლექსებთან. ესაა აჭარის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში ს. გოგითიძის მიერ მდ. კინკისასა და ჩოლოქის ხეობების ტერასებზე აღმოჩენილი რამდენიმე ღია ნამოსახლარი — კვირიკე, ჩოლოქი და ჯიხანჯური. განსაკუთრებით მინდა შევეხო კვირიკეს მასალებს, რადგან იგი უკვე გამოქვეყნებულია<sup>18</sup> და იძლევა მასზე მსჯელობის საშუალებას.

აღნიშნული კომპლექსები მცირერიცხოვანია და ამავე დროს დარღვეული ფენებიდან მომდინარეობს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მასალის ტიპოლოგია გვიჩვენებს, რომ კვირიკეს კომპლექსი სუფთაა და არ შეიცავს სხვა ეპოქის მინარევებს. ამ ძეგლების ქვის ინდუსტრია მიკროლითურ ხასიათს ატარებს.<sup>19</sup> იარაღები უპირატესად ლამელაზეა ნაკეთები, კომპლექსები არ გამოირჩევა მასალის მრავალფეროვნებით. მათ ახასიათებთ: მცირე ზომის ფანქრისებური და მიკროკოჩნუსური ნუკლეუსები (ზომა 1,8×3,1 სმ). იარაღები ძირითადად წარმოდგენილია საფხეკებითა და საჭრისებით, საჭრისების რაოდენობრივი უპირატესობით. საჭრისები ხასიათდება გადამტვრეული ლამელის კუთხეზე დამზადებული ცალ და ორმხრივი მარტივი ცალებით, მათ შორის არის კუთხისა და ორმაგიც. საფხეკების ძირითადი ტიპი აქ კიდურა ოვალურსა-მუშაობრივანი საფხეკებია, ისეთი სტანდარტული ფორმისაა, როგორც დამახასიათებელია გვიანი მეზოლითისათვის. გვხვდება თავგამოყვანილი, ამოღარული და გვერდრეტულშირებული ლამელები, სახვრეტები, ხერხისებური

<sup>17</sup> ლ. ნეზირიძე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 3, გვ. 97.

<sup>18</sup> ს. გოგითიძე. ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი კინკისას ხეობაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III. 1973, თბ., გვ. 45—55; С. И. Гогитидзе. Неолитическая культура юго-восточного Причерноморья. Автореферат кандидатской диссертации. 1975, Тб., გვ. 6—10.

<sup>19</sup> С. И. Гогитидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.

იარაღი და წარმოების ნარჩენები. ქვის იარაღებიდან აქ ნაპოვნია ბაზალტისაგან დამზადებული საჩხეხისებური იარაღი<sup>20</sup>.

როგორც მასალის ზოგადი დახასიათებიდან ვხედავთ, ეს კომპლექსი ტიპოლოგიურად ძალიან ახლოსაა გვიანმეზოლითურ ძეგლებთან. აქ სახეზეა ყველა ის ძირითადი ეპოქალური ნიშანი, რაც კავკასიის გვიანმეზოლითის ახასიათებს. გამოჩნადის შეადგენს გეომეტრიული ფორმის იარაღები. არ არის გამოჩნადი, რომ მათი არსებობა განპირობებული იყოს ამ კოლექციების სიმცირით. ეს საკითხი შემდგომ შემოწმებას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში მათი უქონლობა ძეგლებში ამ შემთხვევაში უფრო მათ თავისებურებაზე უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ქრონოლოგიურ მომენტზე.

ს. გოგითიძე კვირიკეს ჯგუფის ძეგლებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს ხუცუბნისა და ქობულეთის ძეგლებთან ერთობლიობაში. მას სწორედ აქვს შენიშნული მათი არქაულობა ანასეულ I-თან შედარებით და მათში მეზოლითური ელემენტების სიჭარბე. ძეგლების ამ ჯგუფს იგი მეზოლითიდან ადრენეოლითზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ისინი ნეოლითის ადრეულ ეტაპს ახასიათებენ<sup>21</sup>.

აღნიშნული ძეგლების ტიპოლოგიური ანალიზისა და მათი დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითურ და ადრენეოლითურ ძეგლებთან შედარების საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ჯგუფის (კვირიკესა და ხუცუბნის) ქრონოლოგიური გათიშვა. კვირიკეს მასალა სრულ საფუძველს იძლევა, რომ იგი დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანმეზოლითური ძეგლების ჯგუფს მივაკუთვნოთ და განვიხილოთ ამ ძეგლებთან ერთობლიობაში.

შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა ქობულეთისა და ხუცუბნის ტიპოლოგიური ანალიზი. აღნიშნული ძეგლების ქვის ინდუსტრია<sup>22</sup> ძირითადად კაჟისა და ობსიდიანის ნაწარმითაა წარმოდგენილი, კაჟის მცირე უპირატესობით. ქვის დამუშავების ტექნიკას მიკროლითური ხასიათი აქვს. იარაღების უმრავლესობა ლამელაზეა ნაკეთები.

როგორც ვხედავთ, ამ ნიშნებით ეს ძეგლები ახლოსაა, როგორც კვირიკეს ჯგუფის ძეგლებთან, ისე ანასეულ I-თან.

ხუცუბნის ნამოსახლარზე ყურადღებას იქცევს ნუკლეუსების ფორმების სხვადასხვაგვარობა და დახვეწილობა. აქ ნაპოვნია პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსები (ზომები 1,5—5 სმ), რომელთაც ემჩნევა ლამელების პირდაპირი ატყეცვა. დიდი რაოდენობითაა სწორწახნაგა დანისებური ლამელები, რომელთა უმრავლესობას გვერდები დამუშავებული აქვს. არის ოთხიოდე ბლავგურგა ლამელა. მრავლადაა საჭრისები (113 ც) და საფხეკები (85 ც). საჭრისები წარმოდგენილია ცალმხრივი და ორმხრივი (გვერდისა და კუთხის) თავირბ და თავსწორრეტუშიანი ცალეებით. საფხეკები მრავალფორმიანობით ხასიათდება. აქ გვხვდება სწორსამუშაოპირიანი, ოვალური და მომრგვალოსამუშაოპირიანი, მაღალი და ორმაგი საფხეკები. სხვა იარაღებიდან აქ გვხვდება სახვრეტები, „ხოწები“, კომბინირებული, ხერხ-

<sup>20</sup> ს. გოგითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

<sup>21</sup> С. И. Гогитидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

<sup>22</sup> Б. ბერძენიშვილი, ლ. ნებერიძე. ქვის ხანის ნამოსახლარები კონტრისის ხეობაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. I, თბ., 1964; С. И. Гогитидзе, დასახ. ნაშრ.

სებური, ისრისმაგვარი, ჩასართისებური და სეგმენტისებური იარაღები. ამ კოლექციაში რიყის ქვის იარაღები არ არის. 1959 წელს ჩვენ მიერ ხუცუბანში საძიებო თხრილების გაკეთებისას აღმოჩნდა რიყის ქვის საწაფი, მასზე ძველი პატინის უქონლობისა და ხუცუბნის დარღვეული ფენების გამო ჩვენ მიერ გამოთქმული იყო ექვი მისი ძირითადი კომპლექსისადმი კუთვნილების შესახებ. მას შემდეგ, რაც დარკვეთის უძრავ გვიანმეზოლითურ ფენაში ვიპოვეთ რიყის ქვის საწაფი, საჭიროდ მიგვაჩნია ამ იარაღის განმეორებით შემოწმება და მისი ამ კომპლექსისადმი კუთვნილების საკითხის დადგენა.

აჭარის ძეგლებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ს. ქობულეთის ნამოსახლარის მასალებს<sup>23</sup>. დღეისათვის ეს კოლექცია უკვე 5261 ერთეულს ითვლის. ამასთანავე საინტერესოა ის, რომ ამ მასალების დიდი ნაწილი უძრავი კულტურული ფენებიდან მომდინარეობს. აქ, ისევე როგორც ხუცუბანში, დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ნუკლეუსები: პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური (47 ც). ანატეც (1972 ც) — ანატეხები (1040 ც), ლამელები (1337 ც). ყურადღებას იქცევს დანისებური ლამელები დაბლაგვებული გვერდითი გვერდამოღარული და თავგამოყვანილი ლამელები. იარაღების წამყვანი ფორმებია საჭრისები (306 ც) და საფხეკები (112 ც). აქ საჭრისების მთელი სერიებია, სადაც წამყვანი ადგილი უჭირავს მარტივ ცალმხრივ და ორმხრივ საჭრისებს, მათ შორის არის კუთხისა და თავრეტუშირებულებიც. საფხეკები ხასიათდება ოვალური და სწორი სამუშაო პირით; არის მომრგვალო, მაღალი, ორმაგი, ამოღარული თავირბ და თავსწორრეტუშირებულებიც. იარაღებიდან კოლექციაში გვხვდება სახვრეტები, ხერხები, ჩასართისებური, ნამგლისებური, ისრისმაგვარი და კომბინირებული იარაღები.

რიყის ქვის იარაღებიდან ნაპოვნია შურდულის ქვები (6 ც).

მასალის უბრალო აღწერილობიდანაც კარგად ჩანს, რომ ხუცუბნისა და ქობულეთის კომპლექსები იდენტურია და იარაღთა ფორმებით და ქვის დამუშავების ტექნიკით გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ კვირიკესა და საერთოდ გვიანმეზოლითურ მასალებთან, თუმცა ეს მსგავსება გაცილებით უფრო დიდი და არსებითია ადრენეოლითურ ძეგლებთან, კერძოდ, ტერიტორიულად მასთან ახლოს მდგომ ანასეულ I-თან. გვიანმეზოლითისაგან (კვირიკე) განსხვავებით, ხუცუბნისა და ქობულეთის კომპლექსებში ყურადღებას იქცევს ნუკლეუსების მრავალფეროვნება. ფანქრისებური ნუკლეუსების გარდა აქ გვხვდება პრიზმისებური და კონუსური ნუკლეუსები, შეიმჩნევა ქვის პირველადი დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება, ლამელების ატეცევის ხარისხის სრულყოფა. ამ ნიშნით კინტრიშის ნამოსახლარების კომპლექსები უფრო ახლოსაა ანასეულ I-თან, ვიდრე კვირიკესთან.

კინტრიშის ნამოსახლარების საფხეკები ფორმებით და დამუშავების ტექნიკით უფრო ახლოს დგანან ანასეულ I-თან, ვიდრე კვირიკესთან, თუმცა აქ ჯერ კიდევ ვხვდებით გვიანმეზოლითისათვის დამახასიათებელ ფორმებს. კინტრიშის საფხეკებისათვის ანასეული I-ის მსგავსად დამახასიათებელია შემადლებული სამუშაო პირი გაფორმებული ფაქიზი, მცოცავი რეტუშით,

<sup>23</sup> И. С. Гогитидзе. *დასახ. ნაშრ.*

სამუშაო პირი ხშირად შემადლებულია წნეებითი რეტუშით. ეს ერთ-ერთი არსებითი და საერთო ნიშანია ანასეული I-ისა და კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკისა. დამუშავების აღნიშნული ხერხი დახვეწილ იერს აძლევს იარაღებს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კინტრიშის ნამოსახლარებზე საფხეკებს ჯერ არ მიუღწევიათ ისეთი სრულყოფილი ფორმებისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს ანასეულ I-ში. კინტრიშის ნამოსახლარების ერთ-ერთი არსებითი განსხვავება ანასეული — I-საგან არის რიყის ქვის გახეხილ — გაპრიალებული იარაღების უქონლობა. თუმცა რიყის ქვის უხეში იარაღების გამოყენება უკვე დაწყებული ჩანს შურდულის ქვებისა და შესაძლოა საწაფის სახითაც.

კინტრიშის ნამოსახლარების ქვის დამუშავების ტექნიკისა და იარაღების ტიპოლოგიური ანალიზი კარგად გვიჩვენებს, რომ ეს ძეგლები დიდ სიახლოვეს იჩენენ გვიანმეზოლითურ ძეგლებთან და თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდებიან მათ, მაგრამ ამავე დროს მათთან შედარებით მათ განვითარების გარკვეული გზა აქვთ გავლილი და მსგავსებას იჩენენ ანასეულ I-თან, თუმცა მასთან შედარებით არქაულად გამოიყურებიან. ძეგლების ზემოთ მოტანილი შედარება ცხადყოფს, რომ კინტრიშის ნამოსახლარებს შუალედური ადგილი უჭირავს გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ ძეგლებს შორის.

აღნიშნული მოსაზრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიღებულია ამ ძეგლების ქვის ინდუსტრიების დამუშავების ტექნიკისა და იარაღთა ტიპოლოგიის შესწავლის შედეგად. მაგრამ თუ გავიხსენებთ დარკვეთის ეხის სტრატეგრაფიას და იმასაც, რომ დარკვეთის V და IV ფენებს შორის გვაქვს ერთი მეტრის სისქის სტერილური ფენა, მაშინ უსაფუძვლო არ იქნება დაშვება, რომ კინტრიშის ნამოსახლარები შესაძლოა შეესატყვისებოდეს ამ სტერილური ფენის შესაბამის ქრონოლოგიურ მონაკვეთს. ეს მით უმეტეს შესაძლებლად გვეჩვენება, იმიტომ, რომ კინტრიშის ძეგლები კარგად თავსდება გვიანმეზოლითისა და ადრენეოლითის შორის, როგორც ქრონოლოგიურად, ისე ტიპოლოგიურად და გვაძლევენ გვიანი მეზოლითიდან ადრენეოლითზე გადასვლის ერთიან, უწყვეტ სურათს.

ამგვარად, აღნიშნული ძეგლების ქვის ინდუსტრიები საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ დასაყვებით ამიერკავკასიაში გვიანმეზოლითიდან ადრენეოლითზე თანდათანობითი გადასვლის პროცესს.

გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური კაყის ინდუსტრიების დიდი სიახლოვისა და ამ კულტურების მჭიდრო გენეტიკური კავშირის გამო დიდ სიძნელეს წარმოადგენს მსგავსი ძეგლების დიდი ჯგუფიდან (როცა სტრატეგრაფია არა გვაქვს) ცალკეული ეტაპის შესაბამისი კომპლექსების გამოყოფა. იმიტომ პირველ რიგში (რა თქმა უნდა, კომპლექსის სხვა დამატარილებელი ფორმების გათვალისწინებით) ყურადღება უნდა გამახვილდეს თვისებრივად ახალ, საეტაპო ნიშნებზე, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ ეტაპის დაწყების მაჩვენებელია. თვისებრივად ახალი ნიშნები უნდა შეჯერდეს სტრატეგიციური ძეგლების მონაცემებთან და მხოლოდ ამგვარი შედარების შედეგად მოხდეს ქრონოლოგიური კომპლექსების გამოყოფა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება საზოგადოების ისტორიული განვითარების ეტაპობრივი შესწავლა. მაგალითად: სტრატეგრაფიულად დასაბუთდა, რომ რიყის ქვის უხეში (გაპრიალებული-გაუხეხავი) იარაღების გამოყენება გვიანმეზოლითს ემთხვევა (ცივი მღვიმე, დარკვეთი, ჩოხი II—I, სოსრუკო II—I), ხოლო ქვის ინდუს-

სტრიის მეორე სიახლე — ქვის სხვადასხვა ქანებისაგან გახეხილ-გაპრიალებული იარაღების (ცულეების, სათლელების და სხვ.) დამზადება ადრენეოლითში (ცივი-მღვიმის ზედა ფენა, ღარკვეთი **IV**) იწყება. თვისებრივ ახალ ნიშნად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კერამიკის გაჩენა ან მწარმოებლური მეურნეობის მაჩვენებელი სხვა რომელიმე ნიშანი და სხვ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ეტაპის წამყვანი და დამათარილებელი ნიშნების გამოყოფას.

გვიანმეზოლითური კულტურის დახასიათებასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ეძანის ეხის თარიღს. როგორც ცნობილია, იგი მ. გაბუნიას მიერ განვითარებული მეზოლითითა დათარიღებული<sup>24</sup>.

ვიდრე, ეძანის მასალისა და კავკასიის ზედაპალეოლითური და მეზოლითური ძეგლების ტიპოლოგიურ შედარებაზე ვადავიდოდე, მინდა შევეხო ეხის სტრატოგრაფიულ მონაცემებს.

ეძანის ეხის წინა ნაწილი გათხრების დაწყებისათვის თითქმის მთლიანად დანგრეული დახვდა ექსპედიციას. მ. გაბუნიას ნაშრომიდან<sup>25</sup> კარგად ჩანს, რომ ეძანის ეხში დიდი ადგილი სჭერია ფენების გადარეცხვასა და გადაადგილებას, რის შედეგადაც ეხის შიდა ფართობზე (D 2—3, E 2—3, და F<sub>3</sub> კვადრატებში) არ იყო შემორჩენილი კულტურული ფენები, ხოლო ეხის იატაკს უშუალოდ ზემოდან ედო 2—3 სმ სისქის კორდოვანი ფენა. მ. გაბუნია ვარაუდობს, რომ ეხის ამ ნაწილში კულტურული ფენა საერთოდ არ უნდა არსებულებო, იმის გამო, რომ ეხი დაბალია და იქ ადამიანს გაუჭირდებოდა ცხოვრება. ეს ვარაუდი არ მიგვაჩნია გამართლებულად, რადგან კავკასიისა და ყირიმის მთელ რიგ მღვიმეებსა და ეხების უკანა კედელთან (სადაც სიმაღლე ზმირად მცირეა) მოწყობილი იყო თავისებური საკუჭნაოები, ხაროები სურსათსანოვავისა და იარაღის დასამზადებელი ნედლეულის შესანახად (ამის კარგი მაგალითია შანყობას ეხი). ასეთ ადგილებში ეხების უკანა კედელთან, ე. წ. თავისებურ „ჯიბეებში“ თითქმის ყოველთვის არის კულტურული ფენები, ეს აქ მით უმეტეს საგულისხმებელია, რადგან ეძანი არ იყო ღრმა ეხი, ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კულტურული ფენები აქ უნდა ყოფილიყო.

მ. გაბუნიას მეორე ვარაუდი<sup>26</sup>, რომ აქედან კულტურული ფენა გამოირეცხა, უფრო სწორი უნდა იყოს. უკანასკნელი ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ კულტურული ფენები არ იყო ნაპოვნი ეხის C 4, 5, 6; D 4, 5, 6; G 5, 6; H 4, 5 და U 4, 5, 6 კვადრატებში. ეს კვადრატები დღეს ეხის წინა ფართობზე მდებარეობენ, ეხის ჩამოქცევამდე კი ისინი ეხის წინა ნაწილში ექცეოდნენ, სადაც ყველაზე მძლავრი ფენები იყო სავარაუდებელი. გათხრების დროს ამ კვადრატებში ნაშთები არ აღმოჩნდა, ხოლო მის ქვემოთ, ფერდის დაქანების მატებასთან ერთად იზრდება კულტურული ფენის სიმძლავრე და მასში მოპოვებული ნაშთების რაოდენობაც. ეხიდან 6—7 მეტრის დაშორებით კულტურული ფენის სიმძლავრე 40 სმ-ს აღწევდა<sup>27</sup>. კულტურული ფენების განლაგებისა და ნაშთების პოვნის ზემოთ აღწერილი სურათი ამკარად მოწმობს, რომ ეძანის ეხში დიდი ადგილი სჭერია ფენების გადაადგილების პროცესს. ეხის ჩამოქცევის შემდეგ მისი წინა ნაწილი, რომელიც ღია ცის ქვეშ დარჩენილია, აღარ იყო დაცული ფიზიკური ფაქტორე-

<sup>24</sup> მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976, გვ. 82.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>27</sup> მ. გაბუნია, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

ბის ზემოქმედებისაგან, რამაც განაპირობა ეხის ამ ნაწილიდან ფენების გადარეცხვა ფერდის დაქანების მიმართულებით და ეხიდან 6—7 მეტრისა და უფრო შორს, მისი მეორედ გადალექვა.

ამგვარად, ეძანის ეხის სტრატოგრაფიული მონაცემები და სავლელ დაკვირვება ექვს გარეშე გაფიქრებინებს, რომ ეძანის ეხში ადგილი ჰქონდა ფენების ინტენსიურ გადარეცხვას, მათ გადაადგილებას და მეორედ გადალექვას.

აღნიშნულ დასკვნას ასაბუთებს აგრეთვე ის, რომ ეძანის ეხში თითქმის არაა ნაპოვნი ძვლის იარაღები (ერთადერთი იარაღია მხოლოდ) და ძალიან ცოტაა ფაუნის ნაშთები.

ძვლის იარაღების უქონლობისა და ფაუნის მასალის სიმცირის მიზეზი უნდა იყოს ფენების გადარეცხვა — გადაადგილება, რაც ხელს უშლიდა ოსტეოლოგიური მასალის შენახვას.

აღნიშნულ დასკვნას დამაჯერებლობას მატებს ეძანის ეხის ქვის ინდუსტრიის ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზის შედეგები.

ეძანის ეხის განათხარი მასალის შესწავლა ამჟამად გვიჩვენებს, რომ ეს კომპლექსი ერთდროული არ არის და სხვადასხვა ეპოქის ნაშთებისაგან შედგება.

ეძანის კოლექციაში არის მკაფიო გვიანმეზოლითური კომპლექსი, მაგრამ იგი შეადგენს მხოლოდ ეძანის მრავალრიცხოვანი კოლექციის ერთ ნაწილს, ამასთანავე აქ არის მკაფიოდ წარმოდგენილი გვიანმეზოლითურ უფრო ადრეული და უფრო მოგვიანო კომპლექსები. ისინი არ უნდა ავურიოთ გადმონაშთებში და არც ახალ ელემენტებში.

გადმონაშთის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა იარაღების დაუდგარი კეთება, დამუშავების ტექნიკის დაცემა, ფორმების გადაგვარება და, რაც მთავარია, სიმცირე. გადმონაშთური ელემენტები არასოდეს არ არის წარმოდგენილი მკაფიოდ და ჭარბად. აქ წარმოდგენილი ზედაპალეოლითურ-ადრემეზოლითური მასალები გადმონაშთს არ წარმოადგენენ. ყოველივე ეს კარგად ჩანს მასალის ანალიზის დროს.

ეძანის ეხის მრავალრიცხოვანი საფხეკების (369 ცალი) განხილვა ამჟამად გვიჩვენებს, რომ აქ არის გვიანზედაპალეოლით-ადრემეზოლითისათვის დამახასიათებელი ვიწრო ლამელებისა და ლამელისებურ ანატაკეცებზე დამზადებული წაგრძელებული კიდურა საფხეკები, ოვალური ან სწორი სამუშაო პირით. ამგვარი საფხეკები დამახასიათებელია კავკასიის გვიანზედაპალეოლითური — ადრემეზოლითური ძეგლებისათვის (ქვაჭარა, ჭახათი, ჩოხი, სუსრუყო). ეს იარაღები ეძანში გადმონაშთის სახით კი არ არის, წარმოდგენილი, არამედ აქ გვაქვს მათი საკმაოდ დიდი, მკაფიო და დახვეწილი კოლექცია.

ლამელებზე დამზადებული ოვალურსამუშაოპირიანი, თავირბრეტუმიანი და თავსწორრეტუმიანი საფხეკების (164 ცალი) დიდი უმრავლესობა ადრემეზოლითური იერისაა. ადრეული იერის საფხეკების განსხვავება გვიანმეზოლითური და ნეოლითური ფორმებისაგან შეუმჩნეველი არ დარჩენია მ. გაბუნისა და მას თავის ნაშრომში ცალ-ცალკე ტაბულაზე მოუთავსებია ადრეული და მოგვიანო ეპოქების საფხეკები<sup>28</sup>. ამას გარდა, ნაშრომში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ აქ არის ადრენეოლითისათვის დამახასიათებელი

<sup>28</sup> მ. გაბუნია. დასახ. ნაშრ., ტაბ. II და III.

ბელი საფხეკები. ეძანის კოლექციაში მკაფიოდაა წარმოდგენილი მოკლე ლამელისებურ ანატკეცებზე ან მოკლე თხელანატკეცებზე დამზადებული ოვალურ სამუშაოპირიანი (გვერდებზე რეტუსით), მომრგვალო გვიანმეზოლითური საფხეკები.

ამავე კოლექციაში რელიეფურად გამოიყოფა ნეოლითური იერის საფხეკები, განსაკუთრებით მიკროლითური და მომრგვალო ფორმისანი. ეს იარაღები არ არის კომპლექსებში ახალი ელემენტების გაჩენის მაუწყებელი. მათ კარგად ჩამოყალიბებული, სრულყოფილი ფორმა აქვთ და ანასეული I-ის ცალების ზუსტ ანალოგებს წარმოადგენენ. ისინი იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთი ხელოსნის დამზადებულ იარაღებს წააგვანან.

ეძანიდან მომდინარეობს ნუკლეუსების მრავალრიცხოვანი კოლექცია (173 ც). მათში კარგად გამოიყოფა გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ფანქრისებური, კონუსური და პრიზმისებური ნუკლეუსები. საინტერესოა ჯგუფს წარმოადგენს ბრტყელი ნუკლეუსების ჯგუფი (42 ცალი). მათ მ. ვაბუნია ეძანის კოლექციის დამახასიათებლად მიიჩნევს და აღნიშნავს<sup>29</sup>, რომ ასეთი ნუკლეუსები საქართველოში უკვე გვხვდება ზედა პალეოლითიდან, უთითებს მღვიმეებს და შავ მღვიმეებს (თუმცა უკანასკნელი საქართველოში არაა) და ნაშრომის იმავე და მომდევნო გვერდზე აღნიშნავს, რომ დევისხვრელში, საკაქიაში და გვარჯილას — კლდეში ამგვარი ნუკლეუსები არ არის. ირკვევა, რომ საქართველოს არც ერთ საეტაპო ზედაპალეოლითურ ძეგლში ამგვარი ნუკლეუსები არა გვაქვს. ნაშრომში ნათქვამია, რომ ეს ნუკლეუსები მეზოლითში სრულყოფას აღწევენ და აქვე ჩამოთვლის რიგ ადრემეზოლითურ ძეგლებს — ქვაჭარა, ჭახათი, ენწერი, იაშთხვა, ქვედი, წონა და აღნიშნავს, რომ აქ ბრტყელი ნუკლეუსები არ არის. ასე, რომ გაუგებარია, რომელ მეზოლითურ ძეგლებში აღწევენ ეს ნუკლეუსები სრულყოფას. თუ ნაგულისხმევია გვიანმეზოლითური ძეგლები, მაშინ უნდა ყოფილიყო აღნიშნული. მაგრამ ამგვარი ნუკლეუსები არც გვიანმეზოლითური ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი, გამონაკლისია სოსრუკო (ყაბარდო). არ გვხვდება ბრტყელი ნუკლეუსები ჩოხის არც ერთ ფენაში, რომელშიაც კარგადაა წარმოდგენილი მეზოლითური კულტურის განვითარების საფეხურების თანმიმდევრობა. იგი არ არის ნაპოვნი აგრეთვე ცივ-მღვიმეში და დარკვეთის V ფენაში. განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ბრტყელი ნუკლეუსები არ არის დამახასიათებელი გვიანი მეზოლითისათვის. გვიანი მეზოლითის დამახასიათებელი ფორმებია ფანქრისებური, კონუსისებური და პრიზმისებური ნუკლეუსები, მიკროლამელების ატკეცვის კვალით, სჭარბობს ფანქრისებური. ვფიქრობთ, აქ ყურადღება უნდა გამახვილებულიყო კოლექციაში არსებული ადრეული იერის ნუკლეუსებზე და გამოყოფილიყო ტიპოლოგიურად ადრეული და გვიანი ჯგუფები. დისკოსებური, სოლისებური და სამფუძიანი ნუკლეუსები ადრეულ ჯგუფში უნდა გამოყოფილიყო. დისკოსებური ნუკლეუსები ითვლება ქვედაპალეოლითური ტრადიციების გადმონაშთად, რომელიც საკმაოდ ძლიერი ჩანს კავკასიის გვიანზედაპალეოლითურ და ზოგჯერ ადრე მეზოლითურ ძეგლებშიც. დისკოსებური და სოლისებური ნუკლეუსები ცნობილია სამერცხლე — კლდის ზედაპალეოლითური ფენიდან<sup>30</sup>. ჩოხის ადრემეზოლითში

<sup>29</sup> მ. ვ ა ბ უ ნ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>30</sup> მ. ნ ი ო რ ა ძ ე. სამერცხლე-კლდის მღვიმე. გვ. 45.

დისკოსებური ნუკლეუსები ნაპოვნია პრიზმისა და კონუსის ფორმის ნუკლეუსებთან ერთად. გვიანმეზოლითში ამგვარი ნუკლეუსები ან არ არის, ან თითო ოროლაა და ისიც საჩეხ იარაღად გადაკეთებული (ჩოხი I—II, დარკვეთი V). სოლისებური და სამფუძიანი ნუკლეუსები გვხვდება ზედა პალეოლითში და მის ბოლოს. გადმონაშთის სახით იგი შეიძლება შეგვხვდეს ადრემეზოლითში. გვიანმეზოლითში ამგვარი გადმონაშთები ცნობილი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ნუკლეუსების ეს ადრეული ჯგუფი დამახასიათებელი იყო ეძანის გვიანზედაპალეოლითური თუ ადრე მეზოლითური ფენისათვის. ზედა პალეოლითურ და ადრემეზოლითურ კომპლექსებს შორის ზღვარის დადგენა საკმაოდ ძნელია. ხშირად ამ კომპლექსებში მეორდება ანალოგიური იარაღთა ტიპები.

ეძანის კომპლექსის არაერთგვაროვნებაზე მეტყველებს აგრეთვე მიკროლითური ნაწარმი. კავკასიის არც ერთი სტრატოფიციკრებული ძეგლის გვიანმეზოლითურ კომპლექსში არ გვხვდება მიკროლითური ნაწარმის ისეთი შერწყმა, როგორც ეძანშია. აქ თავმოყრილია აშკარად სხვადასხვა ეპოქებისათვის დამახასიათებელი მიკროლითური იარაღი.

ეძანის კოლექციაში გამოიყოფა მიკრონაწარმის ადრეული ჯგუფი, რომელიც დამახასიათებელია გვიანი ზედაპალეოლითისათვის, ადრემეზოლითისათვის და მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება გვიანმეზოლითში. ეს იარაღები წარმოდგენილია ბლაგვზურგა, ბლაგვერდა, გრავეტისებური თუ შეტელპერონის ტიპის წვეტანებისა თუ ბლაგვერდა დანების სახით, ასიმეტრიული სამკუთხედებით და ზოგ შემთხვევაში უხეში ტრაპეციებიტა და ღიდი ზომის სეგმენტისებური იარაღებით. ეძანის ადრეული ჯგუფის მიკროიარაღების დამზადების ხარისხი, ფორმების მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება გვიჩვენებს, რომ იარაღების ეს მკაფიო ჯგუფი გადმონაშთს არ წარმოადგენს, არამედ იგი ეძანის კოლექციის დანარჩენ, ზემოთ აღნიშნულ ადრეულ იარაღებთან და ნუკლეუსებთან ერთად ქმნის ერთი გარკვეული ეპოქის, კერძოდ, გვიანზედაპალეოლით — ადრემეზოლითისათვის დამახასიათებელ კომპლექსს. შესაძლოა ამავე ჯგუფს ეკუთვნოდეს ისრისპირები, რომლებიც კავკასიის გვიანმეზოლითში ჯერჯერობით არ ჩანს.

ეძანის კოლექციაში გვიანმეზოლითურთან ერთად ადრემეზოლითური კომპლექსის უდავო არსებობაზე მიუთითებს ის მრავალრიცხოვანი პარალელები, რომლებიც ეძანის ადრეული ჯგუფის მასალას მოეპოვება კავკასიისა და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითურ და ადრემეზოლითურ ძეგლებში, ეს ანალოგები აქ არ მოგვაქვს იმის გამო, რომ ისინი საკმაოდ მრავლად მოტანილი აქვს მ. გაბუნიას თავის ნაშრომში<sup>31</sup>.

მიკროლითების აშკარად გვიანდელ ჯგუფს ქმნის დახვეწილი ფორმის ორფერდამუშავებული და სამფერდამუშავებული ტრაპეციები და რკალდაბლაგვებული მცირე ზომის სეგმენტები.

იარაღების ამ ჯგუფს შესაბამისი მასალა მოეძებნება ეძანის კოლექციაში ზემოთ ჩამოთვლილი ნუკლეუსებისა და საფხეკების გვიანდელი ჯგუფების სახით. ამავე კოლექციას უნდა ეკუთვნოდეს მიკროდანა.

ამგვარად, ეძანის ეხის სტრატოგრაფიული მონაცემებისა და კოლექციის წამყვანი და დამათარილებელი ელემენტების დეტალური ანალიზი

<sup>31</sup> მ. გაბუნიას. დასახ. ნაშრ., გვ. 75—76, 80.

ცხადყოფს, რომ ეძანში მოქმედი გარეგანი ფაქტორების წყალობით დიდი ადგილი ჰქონია კულტურული ფენების გადაარცხვასა და გადაადგილებას, რის შედეგადაც აქ მეორად დანალექ მდგომარეობაში იქნა მოპოვებული არაერთდროული კოლექცია, რომელიც შეიცავს გვიანი ზედა პალეოლით — ადრემეზოლითის, გვიანი მეზოლითის და ადრენეოლითის კულტურულ ნაშთებს.

ეძანის ეხის მასალის არაერთგვაროვნების კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია პატარა კოლექცია, რომელიც ეძანის ეხის მახლობლად იყო ნაპოვნი ე. წ. „ეძანის გაწყვეტილ ფენაში“. აღნიშნულ კოლექციას მ. გაბუნია ეძანის ეხის კომპლექსს უკავშირებს, მის ორგანულ ნაწილად მიიჩნევს და ეხის თარიღის შესაბამისად მასაც განვითარებული მეზოლითით ათარიღებს<sup>32</sup>. მაგრამ კოლექცია ისევე, როგორც ეძანის მთლიანი მასალა არაერთგვაროვნების შესანიშნავი ნიმუშია. იგი, მართალია, მცირერიცხოვანია, მაგრამ შეიცავს მეტად ტიპურ, დამათარიღებელ ფორმებს, რომლებიც მკაფიოდ გვიჩვენებს სხვადასხვა დროის მასალის ერთად მოხვედრას. კოლექციის ასეთ მთავარ ფორმად მიგვაჩნია დიდი ზომის კონუსური ნუკლეუსი, რომლის სიგრძე 12,5 სმ-ია, სიგანე — 6 სმ, ფუძის დიამეტრი 5,5 სმ და გრძელი სამფერდამუშავებული ტრაპეციები. აღნიშნულ ნუკლეუსს არაფერი საერთო არა აქვს ეძანის ეხთან, როგორც ტიპოლოგიურად ისე სტრატეგრაფიულად. ამ ნუკლეუსიდან ატკეცილი ლამელების ნეგატივები და ზომა მოწმობს მისგან მაკროლამელების ატკეცვას. მაკროლამელები დამახასიათებელი არ არის არა მარტო საქართველოსა და კავკასიის მეზოლითისათვის, არამედ იმდემდე ცნობილი მეზოლითისათვის საერთოდ. პირიქით, მეზოლითის მთავარი და ძირითადი თავისებურება, მისი ეპოქალური ნიშანი ყველგან, ყველა ქვეყნის მეზოლითურ ინდუსტრიებში არის მიკროლითურობა. ამასვე მოწმობს ეძანის ეხის მრავალრიცხოვანი (173 ცალი) ნუკლეუსები, რომელთა ზომები 1,5—6,5 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1,7—4 სმ შორის. მათში არ არის არც ერთი მსგავსი ნუკლეუსი, რომელიც მაკროლამელების ატკეცვის კვალს ატარებს. ჭერჭერობით კავკასიის, ყირიმისა და შუა აზიის მეზოლითურ ძეგლებში არ არის ნაპოვნი არც ერთი ანალოგიური ნუკლეუსი მაკროლამელების ატკეცვის კვალით.

სამაგიეროდ, ანალოგიური ნუკლეუსები დიდი რაოდენობითაა ცნობილი იმავე ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებიდან. „გაწყვეტილი ფენის“ ნუკლეუსი ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს შულავერის ნამოსახლარის I ჰორიზონტის ნუკლეუსებისა; ამგვარივე ნუკლეუსები ცნობილია არუხლო I, II, — ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებიდან. ანალოგიური ნუკლეუსები დამახასიათებელია შომუთ-თეფეს კულტურისათვის და ნაპოვნია ქიულთეფეს ქვედა ფენაში. ეს ნუკლეუსი იმდენად, ტიპურია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის (ენეოლითი) და იმდენად განსხვავებულია მეზოლითის ქვის დამუშავების ტექნიკისაგან, რომ იგი ეძანის ეხშიც რომ გვეპოვა, არ გვექნებოდა საფუძველი მისი მეზოლითურად მიჩნევისა. ამ ნუკლეუსის ეძანის ეხში პოვნის შემთხვევაშიც კი იგი იქნებოდა მხოლოდ ეძანის ეხში მოგვიანო ფენის არსებობის მანიშნებელი. „გაწყვეტილი ფენის“ ქრონოლოგიურ არაერთგვაროვნებას მოწმობს აგრეთვე სამფერდამუშავებული გრძელი სწორკუთხედიები, რომლებიც დამახასიათებელია კავკასიის მეზოლითის

<sup>32</sup> მ. გაბუნია, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV, ნახ. 1 და ტაბ. XIV, ნახ. 2—3.

ადრეული ეპოქისათვის. მაკროკონუნუსური ნუკლეუსისა და აღნიშნული სწორ-  
კუთხედების ერთად პოვნა პირველი ნიშანია ამ მასალების სხვადასხვა ფენე-  
ბიდან მიმდინარეობისა.

აქ უფრო დეტალურად შეიძლება ეძანის მრავალრიცხოვანი კოლექ-  
ციის არაერთგვაროვნების დასაბუთება მასალის უფრო დაწვრილებითი  
ანალიზის საფუძველზე; მაგრამ ნაშრომის მოცულობა და მიზანდასახულობა  
არ იძლევა ამის საშუალებას. ვფიქრობთ, მოტანილი მონაცემები სრულიად  
საკმარისია ეძანის კოლექციის ქრონოლოგიური არაერთგვაროვნების საჩვენე-  
ლად.

ეძანის ეხის კომპლექსის არაერთგვაროვნებაზე იმიტომ შევჩერდით  
ასე დეტალურად, რომ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება ეძანის  
„მეზოლითური“ ნუკლეუსის საფუძველზე გაკეთებული არასწორი დასკვნები<sup>33</sup>,  
ხოლო თვით მ. გაბუნიას ნაშრომში ეძანის კომპლექსის ერთგვაროვნებაზე  
დაყრდნობით „გადაწყვეტილია“ თრიალეთის მეზოლითური კულტურის  
გენეზისის საკითხი<sup>34</sup>.

აქვე მინდა შევეხო თრიალეთის მეზოლითური კულტურის გენეზისის  
საკითხს. აღნიშნულ ნაშრომში მ. გაბუნიას მიღებული აქვს დასკვნა, რომ  
თრიალეთის მეზოლითური კულტურა გენეტიკურად უკავშირდება დასავლეთ  
საქართველოს ზედა პალეოლითს<sup>35</sup>.

ამ დებულების დასამტკიცებლად მოტანილი არგუმენტების განხილვიდან  
ჩანს, რომ არასწორი დასკვნების საფუძველი არის ეძანის ეხის კომპლექსის  
მოჩვენებითი ერთგვაროვნება.

მიუხედავად იმისა, რომ მ. გაბუნია კარგად ხედავს და საგანგებოდ უსვამს  
ხაზს, რომ „ამ ქვის ინვენტარში (იგულისხმება ეძანი ლ. ნ.) საკმაო ადგილი  
უკავია ისეთ იარაღებს, რომლებიც დამუშავების დონითა და საერთო ხასიათით  
უკავშირდება უფრო ნეოლითური დროის ტექნიკურსა და სამეურნეო შესაძლე-  
ბლობებს, ვიდრე პალეოლითურისას“<sup>36</sup>, იგი მაინც არ გამოპოყფს ცალკე ამ  
კომპლექსს ეძანის კოლექციის საერთო მასიდან. ასევე კარგად ხედავს იგი  
და ხაზს უსვამს აქ გვიანზედაპალეოლითთან ახლო მდგომ მასალებს. ყოველივე  
ამის მიუხედავად, ეძანის მასალების ტიპოლოგიურ მონაცემებს იგი არ  
უკავშირებდა ეძანის იმ სტრატეგრაფიულ სურათს, რომელიც აღწერილია ნა-  
შრომში. სტრატეგრაფიული მონაცემები უბრალოდ მაინც რომ შეჯერებულიყო  
ტიპოლოგიურთან, აუცილებლად გამოჩნდებოდა საჭიროება ეძანის დიდ  
კოლექციაში სხვადასხვა დროის კომპლექსების გამოყოფისა.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, მ. გაბუნია ეძანის მთელ კოლექციას ერთ-  
დროულად მიიჩნევს და მასში არსებულ ადრენეოლითურ კომპლექსს ეძანის  
კოლექციის პროგრესიულ ელემენტებად მიიჩნევს<sup>37</sup>. ამასთან დაკავშირებით,  
აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ კომპლექსში თუ ფენაში გაჩენილი პროგრე-  
სიული ელემენტები არასოდეს არ არის ტიპური და სრულყოფილი, ისეთი  
როგორც შემდგომ ეპოქას ახასიათებს. პირიქით, მათი მთავარი ნიშანია

<sup>33</sup> თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პე-  
რიოდიზაცია. თბ., 1976, გვ. 50.

<sup>34</sup> მ. გა ბ უ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 69—79.

<sup>35</sup> ი ქ ვ ე, გვ. 81.

<sup>36</sup> მ. გა ბ უ ნ ი ა დასახ. ნაშრ., ტაბ. XII, სურ. 6.

<sup>37</sup> ი ქ ვ ე, გვ. 80.

ფორმების პრიმიტიულობა და მათი ჩანასახის სახით წარმოდგენა. ეძანში ჩვენ ამგვარი სურათი არა გვაქვს. ეძანის ნეოლითური იარაღები ტიპურია, დახვეწილია, როგორც ფორმა ისე დამუშავების ტექნიკა. ისინი ზუსტ ანალოგებს წარმოადგენენ ადრენეოლითური იარაღებისა. თავისი მოსაზრების შესამაგრებლად მ. გაბუნია იშველიებს სტატისტიკურ მეთოდს<sup>38</sup> და ასკვნის, რომ ეს პროგრესული ელემენტები კოლექციაში ცოტაა, დაახ. 7,5%. საქმე იმაშია, რომ ნეოლითური ფენა ეძანის ეხში, რა თქმა უნდა, იდო მეზოლითური ფენის თავზე, ამიტომ გადარეცხვის პროცესების მოქმედება ყველაზე მძლავრად სწორედ მას უნდა განეცადა, რის გამოც მასალის დიდი ნაწილი განადგურდა. არ არის გამორიცხული, რომ ეძანის ეხში ენეოლითური ფენაც იყო. თუ ეძანის კუფტინისეულ კოლექციაში არსებული ორმხრივდამუშავებული შუბისპირები<sup>39</sup> ნამდვილად ამ ეხშია ნაპოვნი (უნდა ვიფიქროთ, რომ აქედანაა, რადგან ბ. კუფტინი სხვაგან ნაპოვნ მასალებს არ მიუჩვენებდა ეხის მასალებს), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეხში ენეოლითური ფენაც ყოფილა, რომელიც კიდევ უფრო პირწმინდად გადარეცხილა. ორმხრივდამუშავებული შუბისპირები, დიდი ზომის კონუსური ნუკლეუსი ენეოლითური ეპოქის დამატარებელი ფორმაა. მსგავსი იარაღები მეზოლითსა და ადრენეოლითს არ ახასიათებს.

თრიალეთის მეზოლითური კულტურისა და დასავლეთი საქართველოს ზედაპალეოლითის გენეტიკური კავშირის მაჩვენებლად მ. გაბუნიას მიაჩნია ეძანისა და გვარჯილას-კლდის ზოგიერთი საერთო ნიშანი<sup>40</sup>. კერძოდ: ასიმეტრიული სამკუთხედების სიჭარბე, „ანეკისებური იარაღი“, მიკროდანა და ისრისპირები. აი იარაღები, რომელთა ფორმების მსგავსების საფუძველზე დადგენილია ეძანის გენეტიკური კავშირი გვარჯილას — კლდესთან და გადაწყვეტილია თრიალეთის მეზოლითური კულტურის გენეზისის საკითხი.

განვიხილოთ ეს მსგავსი ნიშნები; მთავარ ნიშნად დასახელებულია ასიმეტრიული სამკუთხედების სიჭარბე, რომელიც ახასიათებს როგორც ეძანს, ისე თითქოს გვარჯილას-კლდეს. აქვე იგი აღნიშნავს, რომ ეს ნიშანი (ე. ი. ასიმეტრიული სამკუთხედების სიჭარბე) განასხვავებს გვარჯილას-კლდეს დას. საქართველოს ადრემეზოლითური ძეგლებისაგან და აახლოებს ეძანთან<sup>41</sup>. ვნახოთ, როგორია ფაქტიური ვითარება. რამდენად სწორია ის წინაძღვრები, რაზედაც გაკეთებულია დასკვნა. ამის შესამოწმებლად მივმართოთ თვით მ. გაბუნიას მიერ შედგენილ ცხრილს<sup>42</sup> ეძანისა და გვარჯილას — კლდისათვის. ამ ცხრილის მიხედვით, ეძანის ასიმეტრიული სამკუთხედები მასალის საერთო რაოდენობის 18,4%-ს შეადგენენ (სულ 353 ცალი სამკუთხედი); ხოლო გვარჯილას-კლდეში 0,897%-ს (სულ 19 ცალი სამკუთხედი). ე. ი. მასალის საერთო რაოდენობის 1 პროცენტზე კი არ არის. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, არავითარი სიჭარბე ასიმეტრიული სამკუთხედებისა გვარჯილას-კლდეს არ ახასიათებს და, რა თქმა უნდა, ამ ნიშნით არც ემსგავსება იგი ეძანს. როგორც

<sup>38</sup> მ. გაბუნია. დასახ. ნაშრ., ტაბ. XII, სურ. 6. გვ. 18, 19.

<sup>39</sup> მ. გაბუნია. იქვე, ტაბ. XII, სურ. 6.

<sup>40</sup> იქვე. გვ. 76.

<sup>41</sup> იქვე. გვ. 76.

<sup>42</sup> მ. გაბუნია. დასახ. ნაშრ., 60.

ვხედავთ, ეძანისა და გვარჯილას-კლდის მთავარი მსგავსება დამყარებულია მცდარ ფაქტიურ მონაცემებზე.

მ. გაბუნისა დასკვნა<sup>43</sup> რომ გვარჯილას — კლდე, რომელიც ძალიან ახლოს დგას დას. საქართველოს ადრემეზოლითურ ძეგლებთან, განსხვავდება მათგან ასიმეტრიული სამკუთხედების სიჭარბით, არ არის სწორი. ვნახოთ, რა ფაქტიური მონაცემები ქვაჭარაში. ლ. წერეთლის ნაშრომში არსებობს ამ ძეგლზე მოპოვებული იარაღების პროცენტული შეფარდების ცხრილი მასალის საერთო რაოდენობასთან. ქვაჭარის მასალის ცხრილიდან ირკვევა, რომ ასიმეტრიული სამკუთხედები მასალის საერთო რაოდენობის 1%-ს შეადგენენ (იხ. ცხრილი)<sup>44</sup>. როგორც ვხედავთ, ქვაჭარის ასიმეტრიული სამკუთხედების პროცენტული შეფარდება ახლოსაა სწორედ გვარჯილას-კლდესთან და სწორედ ამ ნიშნითაც გვარჯილას-კლდე უფრო ახლოსაა ქვაჭარასთან, ვიდრე ეძანთან.

როგორც მასალის მოტანილი ანალიზიდან ჩანს, გვარჯილას-კლდესა და ეძანის გენეტიკურ დაკავშირებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. კიდევ უფრო არაფრის მოქმედია გენეტიკური კავშირის დადგენის თვალსაზრისით იმ რამდენიმე იარაღის მსგავსება, რომელსაც ეყრდნობოდა ავტორი, კერძოდ, „ანკესისებური“ იარაღი<sup>45</sup>. იგი სამართლიანადაა თვით გაბუნისა მიერ წინ-წყლებში ჩასმული. მას არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს ანკესთან არც ტიპოლოგიურად, არც პრაქტიკულად. ამგვარი საეჭვო იარაღის გამოყოფა სხვა კომპლექსებშიაც მოხერხდებოდა. მიკროდანების აღნიშნული ტიპი სერიულად დამახასიათებელია ნეოლითისათვის. თუმცა მისი აღმოჩენის ცალკეული შემთხვევები ცნობილია უფრო ადრეული ძეგლებიდანაც, ეს იარაღი არ არის ტიპური ზედაპალეოლითისა და მეზოლითისათვის. ამიტომ მისი აქ პოვნის ფაქტი საინტერესოა თვით ამ იარაღის გენეზისისათვის. რაც შეეხება ისრის-წვერს, ის სწორედ კარგი მაჩვენებელია ეძანის კოლექციის ადრეული წგუფის მასალის ეპოქალური სიახლოვისა გვარჯილას-კლდესთან.

როგორც ვხედავთ, ეძანისა და გვარჯილას-კლდის რამდენიმე იარაღის მსგავსება არ იძლევა საფუძველს მათი გენეტიკური კავშირის სამტკიცებლად. რაც შეეხება ეძანის კოლექციის ადრეული კომპლექსის მსგავსებას კავკასიის გვიანზედაპალეოლითთან და ადრემეზოლითთან (რის შესახებაც ზემოთ საგანგებოდ გვქონდა ლაპარაკი), ის ეპოქალური ხასიათისაა და ამ კომპლექსების ქრონოლოგიურ სიახლოვეზე მეტყველებს.

დასასრულ, გვინდა შევნიშნოთ, რომ თრიალეთის მეზოლითური კულტურის გენეზისის საკითხის გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

კულტურის გენეზისის საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა პირველ რიგში ამ კულტურის შესწავლა უფრო სრულფასოვანი ძეგლების საფუძველზე.

<sup>43</sup> ი ქ ვ ე. გვ. 76.

<sup>44</sup> ლ. წ ე რ ე თ ლ ი. მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1973.

გვ. 62.

<sup>45</sup> მ. გა ბ უ ნ ი ა. დასახ. ნაშრ., ტ. XII, სურ. 22.

ადრენეოლითი

უკანასკნელ წლებში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იმატა კავკასიის ადრენეოლითური ძეგლების რიცხვმა. ამ ათიოდე წლის წინათ თუ მათი რაოდენობა დასავლეთ ამიერკავკასიაში მხოლოდ ანასეული I-თა და მასთან ქრონოლოგიურად ახლო მდგომი კინტრიშის ნამოსახლარებით (ქობულეთი, ხუცუბანი) განისაზღვრებოდა, ახლა დასავლეთ ამიერკავკასიაში უკვე გვაქვს მრავალფენიანი ძეგლი (დარკვეთის ეხი), რომელშიც დატულია მეზოლით — ნეოლითის უძრავი ფენები. ამასთანავე, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ცივი მღვიმის ზედა ფენის (B)<sup>1</sup> ადრენეოლითური თარიღი. ასე, რომ თუ აქამდე ადრენეოლითი გამოიყოფოდა ნეოლითური ძეგლების ტიპოლოგიური ანალიზისა და მათი შედარებითი შესწავლის საფუძველზე, ახლა უკვე სრული უფლება გვაქვს სტრატოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვყოთ, როგორც გვიანმეზოლითი ისე ადრენეოლითი. იმის გამო, რომ ადრენეოლითი მჭიდროდ უკავშირდება გვიანმეზოლითს და აგრძელებს მის ტრადიციებს, ადრენეოლითის ნივთიერი მასალა ძალიან ახლოსაა გვიანმეზოლითურთან, ამიტომ ხშირად ჭირს ამ კომპლექსების გამოყოფა.

მრავალფენიანი ძეგლების სუსტი შესწავლის გამო განსაკუთრებით ჭირს ადრენეოლითის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა მის წინა და მომდევნო ეტაპთან. დარკვეთის მრავალფენიანი ეხის შესწავლის შემდეგ მოგვეცა საშუალება ადრენეოლითის ქვედა საზღვრის დადგენისა, რადგან ამ ეხში გვიანმეზოლითურ ფენას სცვლის ადრენეოლითური — შუალედური სტერილური ფენით. სწორედ ამ სტერილურმა ფენამ შეუწყო ხელი კომპლექსების მკაფიო გამოყოფას.

ფენათა მკაფიო მონაცვლეობა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენის საშუალებას იძლევა.

დარკვეთის ეხისა და ცივი მღვიმის სტრატოგრაფიული მონაცემები, ასევე კავკასიის გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლების ტიპოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითის ქვედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ წინა თავში განხილული ძეგლები, რომლებსაც ახასიათებს შემდეგი მთავარი ნიშნები: 1. მიკროჩასართების ტექნიკის განვითარება, 2. რიყის ქვის უხეში იარაღების გამოყენების დასაწყისი, 3. ფანქრისებური და მიკროკონუსური ნუკლეუსები, მათზე ვიწრო, სწორწახნაგა მიკროლამელების ატაკეცის კვალით, 4. ასიმეტრიული სამკუთხედები, 5. კიდურა, ოვალურსამუშაობიანი საფხეკები, დამზადებული მოკლე, განიერ ანატაკეცებზე, 6. გადატეხელი ლამელის კუთხეზე დამზადებული ცალმხრივი და ორმხრივი მარტივი საჭრისები.

7. საჩეხისებური იარაღი. ფაუნისტური მასალა ამ კომპლექსებში ძირითადად წარმოდგენილია: კეთილშობილი ირმით, შვლით, გარეული ტახით, გარეული ცხვრით, გარეული თხით და მურა დათვით.

ცხადია, აღნიშნული ნიშნები სხვადასხვა ძეგლებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სიმკვეთრით და ურთიერთშეფარდებით. ძირითადად კი ჯერჯერობით სტრატოციკრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ამგვარი (და მასთან ახლოს მდგომი) კომპლექსები უნდა მივიჩნიოთ ნეოლითის ქვედა საზღვრად.

განსაკუთრებით ჭირს ადრენეოლითის ზედა საზღვრის დადგენა. დარკვეთის ეხი ამის საშუალებას არ იძლევა. არ იძლევა ამის საშუალებას ჯერჯერობით კავკასიის არც ერთი სტრატოციკრაფიული ძეგლი. ამიტომ ზედა საზღვრის გამოყოფა ჯერჯერობით ისევ ტიპოლოგიურ ანალიზს ემყარება. შუა ნეოლითის კომპლექსების სიმცირის გამო ვიდრე ახალი ძეგლები აღმოჩნდებოდეს, ადრენეოლითის ზედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ ხორშის ტიპის ძეგლები. ხორშის კომპლექსს გ. გრიგოლია შუა ნეოლითით ათარიღებს<sup>1</sup>. ამ ნამოსახლარს, ისევე, როგორც ადრენეოლითურს, კერამიკა არ ახასიათებს. გეომეტრიული მიკროლითებიდან აქ მხოლოდ ტრაპეციები გვხვდება, ისევე როგორც ჩვენთვის ცნობილ ადრენეოლითურ ძეგლებზე. ამასთანავე საინტერესოა, რომ აქ, ადრენეოლითური ძეგლების მსგავსად (ანასეული I, დარკვეთი I), არა გვაქვს ტრაპეციების სიჭარბე. ეს ნიშნები თითქოს აახლოვებს ხორშის სადგომის მასალებს ადრენეოლითთან, მაგრამ ამ ძეგლს აქვს ისეთი განმასხვავებელი ნიშანი, რაც ამ კომპლექსისა და ადრენეოლითური ძეგლების ქრონოლოგიურ დაშორებაზე მეტყველებს. ეს არის რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალეებული იარაღების სიჭარბე ადრენეოლითთან შედარებით, თუმცა იგი ადრენეოლითთან შედარებით მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. აღნიშნული ძეგლი შესწავლის პროცესშია, გამოქვეყნებულია მხოლოდ მოკლე ანგარიშები, ამიტომ უფრო ფართოდ მისი მონაცემების გამოყენება ჯერჯერობით შეუძლებელია.

ამ ძეგლზე უფრო მოგვიანოდ გამოიყურება შუა ნეოლითით დათარიღებული ლუმურიშის ნეოლითური ნამოსახლარი<sup>2</sup>. აქ ფართო განვითარებას აღწევს რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალეებული იარაღები, შეინიშნება მათი მრავალფეროვნება. რიყის ქვის იარაღებზე (ცულები, სათლევლები) აქ უკვე დამახასიათებელია გვერდითი წახნაგების გაჩენა. განვითარების უფრო მაღალ ხარისხს აღწევს მიკროლითური ტექნიკა. აქ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სწორი დანისებური ლამელები, რომელთა შორის ბევრია მიკროლითური და გეომეტრიული ფორმის ჩასართები. ტრაპეციებთან ერთად გამოიყენებოდა სეგმენტებიც. მათი ფორმები საკმაოდ დახვეწილია, ხოლო დამუშავების ტექნიკაში გვხვდება სიახლე — სეგმენტები ორმხრივდამუშავებული რკალით. ტრაპეციებში გვხვდება, როგორც ორფერდამუშავებული, ისე სამფერდამუშავებულებიც. ლუმურიშის კომპლექსი რიგი ნიშნებით განსხვავდება გვიანი ნეოლითის ძეგლებისაგან. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი

<sup>1</sup> Г. К. Григолия, Г. И. Мирцхулава. Итоги работ археологической экспедиции по изучению каменного века мегрелии. Полевые археологические исследования в 1974 году (краткие сообщения), т. 1976, с. 11.

<sup>2</sup> კ. კალანდაძე. ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები. მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 132.

ნიშანია კერამიკის უქონლობა. ამით იგი უახლოვდება ადრენეოლითისა და შუა ნეოლითის (ხორში) ძეგლებს.

ნეოლითის შუა საფეხურის ძეგლები კავკასიაში ჯერჯერობით უცნობია. ამიტომ დღეისათვის ადრენეოლითის ზედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ ხორშის ტიპის ძეგლები.

ამიერ-კავკასიის ადრენეოლითურ ნამოსახლარებს სხვადასხვა ტოპოგრაფიული მდებარეობა აქვს. ისინი ღია ნამოსახლარების სახით გვხვდება კასპიისზღვისპირეთში (ტარნაირი), შავიზღვისპირეთის მთისწინა ბორცვოვან ზოლში, მდინარეთა ხეობების ეხებსა თუ მღვიმეებში, იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი პირობები იძლეოდა საშუალებას, ადამიანი ბუნებრივ თავშესაფარს უფრო ეტანებოდა.

კავკასიის ღია ნამოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობის მკაფიო კვალი არ შემორჩენილა. მხოლოდ ფრაგმენტული სახით გვაქვს მისი მანიშნებელი ცალკეული ნაშთები, რაც საშუალებას იძლევა დაახლოებით წარმოვიდგინოთ საცხოვრებელი ნაგებობის ხასიათი.

ქობულეთის ნამოსახლარზე უძრავ კულტურულ ფენაში ნაპოვნი იყო ბოძების საყრდენი ფოსოები<sup>3</sup>. მათი განლაგების საფუძველზე ს. გოგითიძე ფიქრობს, რომ ქობულეთის ნამოსახლარზე საცხოვრებელ ნაგებობას ოთხკუთხა ფორმა უნდა ჰქონოდა<sup>4</sup>. დარკვეთის ეხის IV ფენის მოტყეპნილ იატაკზე აღმოჩენილია სარ-ლასტის საყრდენი პატარა მრგვალი ფოსოები. მათი სწორხაზოვანი განლაგება მოწმობს იმას, რომ ეხში უნდა ყოფილიყო მოწესული ნაგებობა, რომელსაც სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა. ხორშის ნამოსახლარზე (შუა ნეოლითი)<sup>5</sup> აღმოჩენილი იყო ბოძების საყრდენი 12 ცილინდრული ორმო, რომელთა დიამეტრი მერყეობდა 12—50 სმ, ხოლო სიღრმე 15—30 სმ შორის. თითქმის ყველა ორმოში ნაპოვნი იყო რიყის ქვები, რამდენიმეში კი შემორჩენილი იყო ქვების თავდაპირველი წყობა. აქვე ნაპოვნი იყო თიხატყეპნილი იატაკის ფრაგმენტი. ანასეული I-ის ნამოსახლარზე ლასტის ანაბეჭდიანი ბათქაშის პოვნა იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ აქ უნდა არსებებოდა თიხით შელესილი მსუბუქი, კარვის ტიპის წნული ნაგებობა, რომელსაც (თუ დავეყრდნობით ქობულეთისა და დარკვეთის მასალებს) ოთხკუთხა ან სწორკუთხა ფორმა ჰქონდა.

დარკვეთის ეხის ადრენეოლითურ ფენაში ერთი დიდი კერის პოვნა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ პატარა ეხში ცხოვრობდა ერთი გვაროვნული ჯგუფი, რომელსაც საერთო კერა აკავშირებდა.

კულტურული ფენების სისქე ადრენეოლითურ ნამოსახლარებზე დიდი არ არის. საშუალოდ მისი სისქე 40—50 სმ-ია. მასალების სიმცირის პირობებში ჯერჯერობით ნაადრევია კავკასიის ადრენეოლითური ფენების სითხელის ახსნა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მას გარკვეული კავშირი ჰქონდეს მეურნეობის თავისებურებასთან.

<sup>3</sup> С. И. Гогитидзе. Неолитическая культура Юговосточного Причерноморья. Автореферат кандидатской диссертации. 1975, с. 7.

<sup>4</sup> С. И. Гогитидзе, იქვე.

<sup>5</sup> Г. Григолия, Г. Мирцхулава. Итоги работ археологической экспедиции по изучению каменного века Мегрелии.

ა) კავკასიის ადრენეოლითური ძეგლების რიცხვი დიდი არ არის. განსაკუთრებით ცოტაა სუფთა კომპლექსები და კიდევ უფრო ნაკლებია კარგი სტრატოგრაფიის მქონე ძეგლები. ასეთი ძეგლების რიცხვს მიეკუთვნება ცივი — მღვიმე (B<sub>1</sub> ფენა), დარკვეთის ეხი (IV ფენა), აპიანჩა, ანასეული I, ბუინასკვი. ბევრია ეძანისა (თრიალეთი) და ტარნაირის (დაღესტანი) მაკეარი, ნარევი კომპლექსების შემცველი ძეგლები.

ადრენეოლითური კულტურის დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით ზემოთ აღნიშნულ სუფთა კომპლექსებს.

აღნიშნული ძეგლების ქვის ინდუსტრიების განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად კვლავინდებურად რჩება მიკროლითური ტექნიკა, განუჩევლად იმისა, თუ კავკასიის რომელ რეგიონში მდებარეობს. ესა თუ ის ძეგლი: კავკასიის შავიზღვისპირეთის მთისწინა ბორცვოვან ზოლში, ყვირილის ხეობის შუა წელზე თუ მთიან დაღესტანში.

თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს დასავლეთი საქართველოს მთიანი ზოლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლები — პალური I, II (სამეგრელო), ლენჯერი (სვანეთი), ნაგუთნი I, ჯიჯოეთი, ზურაანო (შიდა ქართლი)<sup>6</sup>.

აღნიშნული ძეგლების მასალები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, ამიტომ ჭირს მათი თარიღის შესახებ მსჯელობა. ცნობილია მხოლოდ გ. გრიგოლიასი და ა. კალანდაძის თეზისები. როგორც მისი ავტორები აღნიშნავენ, ეს ძეგლები თავისებურად გამოიყურება. მათ არ ახასიათებთ მიკროლითური ტექნიკა, ხოლო ქვის გახეხვა-გაპრიალების ტექნიკა ჩანასახ მდგომარეობაშია. ამ ნიშნებით ეს კომპლექსები ქრონოლოგიურად უახლოვდება ადრენეოლითურ ძეგლებს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ქვის დამუშავებას საფუძვლად უდევს ნაშაღები ამორფული ანატექციებისა, მაშინ როდესაც ბარის ადრენეოლითურ ძეგლებში ნაშაღის ძირითადი სახეა სწორწახნაგა დანისებური ლამელები. არის განსხვავება იარაღთა ტიპოლოგიაშიც. ავტორებს შესაძლებლად მიიჩნიათ, რომ დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში ადრენეოლითში არსებობდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული „ზონალური“ კულტურა<sup>7</sup>.

ადრენეოლითური ქვის ინდუსტრიის მეორე ნიშანი არის ლამელაჩასართების დიდი განვითარება და ამ ტექნიკის უპირატესობა სხვა სახის მიკროიარაღებთან. ჩასართების ტექნიკა უშუალოდ ემყარებოდა სწორწახნაგა დანისებური ლამელების წარმოების გაფართოებას. ჩასართების მთავარ ტიპს წარმოადგენს სწორწახნაგა, თავ-ბოლო გადატეხილი ლამელა, რომელიც, როგორც ჩანს, ჩასართების ყველაზე რენტაბელურ სახეს წარმოადგენდა მისი მარტივი დამზადების ხერხისა და დაკარგული და გაცვეთილი ნაწილების ადვილად შეცვლის გამო. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი ადრენეოლითურ კომპლექსებში სწორწახნაგა ლამელების, განსაკუთრებით კი თავ-ბოლო და თავგადამტვრეული ცალების სიჭარბისა. ჩასართებად შესაძლოა გამოყენებულიყო აგრეთვე დარტყმის ბურცობათილი ლამელების თავები, რაც არც თუ ისე ცოტაა ამ კომპლექსებში. სწორწახნაგა დანისებური ლამელების

<sup>6</sup> Г. К. Григолия, А. Н. Каландадзе. О зональном характере неолита Западной Грузии. Тезисы докладов совещания — Каменный век Средней Азии и Казахстан. Ташкент, 1972, с. 72.

<sup>7</sup> Г. К. Григолия, А. Н. Каландадзе. დასახ. ნაშრ., გვ. 73.

როლის ზრდამ განაპირობა მათი ატკეცვის ხარისხისა და ნუკლეუსების მომზადების ტექნიკის გაუმჯობესება.

როგორც საქართველოს ქვის ხანის ძეგლების მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების ანალიზმა გვიჩვენა<sup>8</sup>, ჩასართების ტექნიკა მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგებს ემსახურებოდა. ამიტომ შესაძლოა, მითვისებითი მეურნეობის დიდი განვითარებით ყოფილიყო განაპირობებული ლამელა-ჩასართების განსაკუთრებული როლი. მისი სიჭარბე კანონზომიერი უნდა ყოფილიყო შავიზღვისპირეთში, სადაც მითვისებით მეურნეობას უფრო ფართო სარბიელი ჰქონდა.

საფიქრებელია, რომ სწორწახნაგა ლამელა-ჩასართების უპირატესობამ სხვა ფორმის ჩასართებთან, განაპირობა გეომეტრიული ფორმის მიკროლითების შედარებითი სიმცირე და ერთფეროვნება ადრენეოლითში. ლამელა — ჩასართების ასეთივე უპირატესობა შენიშნულია დაღესტნის ადრენეოლითშიც<sup>9</sup>. ანალოგიური მდგომარეობაა კინტრიშის ნამოსახლარებზე. იქ განსაკუთრებული სიმრავლეა ლამელა-ჩასართებისა, მაშინ, როდესაც გეომეტრიული მიკროლითები ნაპოვნი არ არის. როგორც ჩანს, ლამელა — ჩასართებისათვის უპირატესობის მინიჭება საერთო მოვლენა იყო კავკასიის ადრენეოლითისათვის. აღსანიშნავია, რომ ადრენეოლითის ძეგლებს გეომეტრიული ფორმებიდან მხოლოდ ტრაპეციები ახასიათებს. ესეც ერთ-ერთი თავისებურებაა კავკასიის ადრენეოლითისა.

გვიანმეზოლითურ ძეგლებთან შედარებით მათი რაოდენობა მატულობს. ცხადია, აქ იგულისხმება ის ძეგლები, რომლებშიაც საერთოდ ჩნდება გეომეტრიული მიკროლითების ეს სახე. ფორმები შესამჩნევად იხვეწება. ანასეული I და დარკვეთის (IV) ტრაპეციები გამოირჩევა სიმეტრიულობით, მცირე ზომებით და წვრილი რეტუშით. ამგვარივე თავისებურებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ასიმეტრიული სამკუთხედების საყოველთაო გაქრობა ადრენეოლითში. აღნიშნულ ძეგლებში გადმონაშთის სახით გვხვდება თითო-ორი ბლავგზურგა მიკროლამელა.

კავკასიის ადრენეოლითის საერთო, ეპოქალური თავისებურებათა რიცხვს ეკუთვნის საჭრისების სიმრავლე. საჭრისების უჩვეულო სიჭარბე დამახასიათებელია საერთოდ კავკასიის ქვის ხანის ძეგლებისათვის. ეს ნიშანი განასხვავებს მას მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის რეგიონების კულტურებისაგან. საჭრისების სიჭარბე განაპირობებული უნდა ყოფილიყო ძვლისა და ხის დამუშავების გაზრდილი მოთხოვნილებით, რაც თავის მხრივ უკავშირდებოდა ჩასართების ტექნიკის საჭიროებას. პირდაპირი კავშირი უნდა იყოს საჭრისების სიმრავლესა და ჩასართების ტექნიკის განვითარებას შორის. საჭრისები უპირატესად ლამელაზე მზადდებოდა. ზმარებიდან გამოდის მრავალფაქტიანი და შუალა საჭრისები.

კავკასიის ადრენეოლითის ახასიათებს საფხეკეების სიმრავლე და ფორმების მრავალგვარობა. აქ გვხვდება კიდურა ოვალურსამუშაობიანი საფხეკეები, დამზადებული მოკლე ანატკეცებსა და ლამელისებურ ანატკეცებზე, მომრგვალო ან ოვალური საფხეკეები. ხშირად მიკროლითური. ხშირია ამ საფხეკეებზე

<sup>8</sup> ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. „მაცნე“, 4.

<sup>9</sup> В. Г. Котович. დასახ. ნაშრ., გვ. 157.

მაღალი მცოცავი რეტუში. საფხეკების სიმრავლე პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ნადირობისა და მესაქონლეობის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტის, ტყავების დამუშავებასთან. ადრენეოლითური საფხეკების დიდ ნაწილს (კიდურა და მომრგვალო) პროტოტიპები გვიანმეზოლითში მოეძებნება.

კაყის დამუშავების ტექნიკაში ჩნდება ახალი ხერხები, უმჯობესდება იარაღების მეორადი დამუშავების ხარისხი, ვითარდება და იხვეწება იარაღთა ფორმები. ძველ გვიანმეზოლითურ ფორმებთან ერთად ჩნდება ახალიც. იარაღების სამუშაო პირის გასაფორმებლად ფართოდ იყენებენ წნევით რეტუშს.

ეპოქალური ნიშნებიდან არსებითია იარაღების დასამზადებლად ქვის სხვადასხვა ქანების გამოყენება (არგელიტი, ბაზალტი) და მათგან გახეხილ-გაპრიალებული იარაღების დამზადება. ეს კავკასიის ადრენეოლითის თვისებრივი სიახლეა და განასხვავებს მას გვიანმეზოლითისაგან. ყირიმის სინქრონულ ძეგლებში საჩეხი იარაღები ჯერ ისევ კაყისაგან კეთდებოდა.

ადრენეოლითში, წინა ეპოქისთან შედარებით, მატულობს რიყის ქვისაგან დამზადებული გაუხეხავ-გაუპრიალებელი იარაღების რაოდენობა. მათი ასორტიმენტიც იზრდება. აქ გვხვდება შურდულის ქვები, საჩეხები, სანაყები, ხელჩაქუჩები, სალესები, ხელსაფქვავეები (ცივი-მღვიმის B<sub>1</sub> ფენა; დარკვეთი IV). ადრენეოლითში ჩნდება რიყის ქვის სათლელი ცულების სახე-საპრიალებელი (ანასეული I). იწყება რიყის ქვის იარაღების გახეხვა-გაპრიალება — ადრენეოლითის ქვის დამუშავების ტექნიკის მთავარი თავისებურება.

ადრენეოლითში ცულის გაჩენა სრულიად სამართლიანად ითვლება ორი ისტორიული ეპოქის მეზოლითისა და ნეოლითის არქეოლოგიური კულტურების მკვეთრ გამიჯნავ მოვლენად<sup>10</sup>. ცულის გაჩენა ადრენეოლითის მეურნეობაში და საოჯახო ყოფაში მომხდარი ცვლილებების მკაფიო მაჩვენებელია.

როგორც ყოველი სიახლე, ადრენეოლითურ ძეგლებში გახეხილ-გაპრიალებული იარაღების რაოდენობა დიდი არ არის. მათში გვხვდება თითო-ოროლა ცულ-სათლელი. ეს სრულიად ბუნებრივია. ტექნიკის ეს ახალი მიღწევა საკმაოდ შრომატევად პროცესთან იყო დაკავშირებული, ხოლო მისი დამზადება დიდ დროს მოითხოვდა. ამის გამო მისი გაჩენის ადრეულ საფეხურზე მათი რაოდენობა მცირე იყო, ამასთანავე მას ძალიან უფროსხილდებოდნენ და ადვილად არ ელეოდნენ.

რიყის ქვის ცულებისა და სათლელების გაჩენა მიუთითებს ხე-ტყის დამუშავების როლის ზრდაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ხე-ტყის საჩეხი დასამუშავებელი იარაღები უეცრად არ გაჩენილა. იგივე სამუშაოს გვიანმეზოლითში ასრულებდნენ კაყის საჩეხი იარაღები, რომლებიც ფუნქციონნალურად ნეოლითური ცულების პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს (დარკვეთი V, ჩოხი II—I).

ადრენეოლითური ქვის ინდუსტრიის დახასიათებიდან მკაფიოდ ჩანს მისი სიახლოვე გვიანმეზოლითურთან. კარგად ჩანს, რომ ამ ორ კულტურას აქვს რიგი საერთო ნიშნების, რომლებიც მთავარი და წამყვანია, როგორც ერთისა, ისე მეორისათვის. განსხვავება მათ შორის უკანასკნელის განვითარებასა და სრულყოფაშია. მაგრამ ამ განვითარებად ნიშნებთან ერთად არის აგრეთვე არსებითი ზასიათის ცვლილებებიც, რომელთა შორის არის თვისებრივი სიახლეც. აღნიშნული ცვლილებები განპირობებული უნდა ყოფილიყო მეურნე-

<sup>10</sup> Д. А. Крайнов. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

ობაში მომხდარი ძვრებით, წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის დასაწყისით ადრენეოლითური და გვიანმეზოლითური ქვის ინვენტარის შედარება გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითური იარაღების ფორმები და მათი დამუშავების ტექნიკა მჭიდროდ უკავშირდება გვიანმეზოლითურს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ცივი მღვიმის B<sub>1</sub> და B<sub>2</sub> ფენებისა და დარკვეთის ეხის IV და V ფენების შედარებიდან. კარგად ჩანს, რომ გვიანმეზოლითში ჩანასახში მყოფი რიყისქვის იარაღების დამუშავება შემდგომ განვითარებას აღწევს ადრენეოლითში. გვიანმეზოლითურ უხეშ და დიდი ზომის ტრაპეციებთან შედარებით იხვეწება და მატულობს ადრენეოლითური ტრაპეციების რაოდენობა. აქ უკვე გვაქვს ორფერდდამუშავებული, მინიატურული ცალეები. ადრენეოლითში გრძელდება გვიანმეზოლითში დაწყებული ფანქრისებური ნუკლეუსების გამოყენება. მაგრამ ამ ძველ ფორმებთან ერთად გვხვდება და სკარბობს კიდევაც პრიზმისებური ნუკლეუსები, მიკროსწორწახნაგა ლამელების ატკეცვის კვალით. როგორც ჩანს, ლამელა-ჩასართების ტექნიკის განვითარების მზარდ მოთხოვნილებას უფრო აკმაყოფილებდა პრიზმისებური ნუკლეუსები.

ანალოგიური სურათი ჩანს დასავლეთ ამიერკავკასიის გვიან მეზოლით-ადრენეოლითის ღია ნამოსახლარების-ანასეულ 1-სა, კინტრიმისა და კვირიკეს ჭგუფის ძეგლების შედარებისას. აქ კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ადრენეოლითური კულტურის გენეტიკური კავშირი გვიანმეზოლითთან.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითური ძეგლების კაჟის ნაწარმის შესწავლა და შედარება წინა საფეხურების ძეგლებთან გვიჩვენებს, რომ ადრენეოლითური კულტურა თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება გვიანმეზოლითურს, აგრძელებს და ავითარებს ქვის დამუშავების ტექნიკისა და კულტურულ მიღწევათა ტრადიციებს.

კავკასიის ადრენეოლითურ ძეგლებში თავისებური ასახვა პოვა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესმა. უკანასკნელ ხანებამდე კავკასიის ადრენეოლითურ ძეგლებში არ იყო მწარმოებლური მეურნეობის მანიშნებელი პირდაპირი მასალები. მიუხედავად ამისა, ჩემ მიერ გამოთქმული იყო ვარაუდი<sup>11</sup>, რომ ანასეული 1-ის მცხოვრებნი, მითვისებითი მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, პრიმიტიულ მეცხოველეობასაც მისდევდნენ, რასთან დაკავშირებითაც მათ გარკვეული ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ობსიდიანით მდიდარ რაიონებთან. აღნიშნული ვარაუდი პირველ რიგში წარმოადგენდა იმ ფაქტის ახსნის ცდას, რომელიც დადასტურებული იყო ანასეულის ნეოლითურ ნამოსახლარებზე. კერძოდ: ანასეული I-ის მცხოვრებნი იარაღების დასამზადებელ მასალად უპირატესად ობსიდიანს იყენებდნენ. მაშინ, როდესაც ობსიდიანი დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება. ზოლო იმავე ანასეულის (II) მცხოვრებნი გვიანნეოლითში იარაღებს ძირითადად კაჟისაგან ამზადებდნენ.

აღნიშნულ ფაქტს შესაძლოა ორგვარი ახსნა მოეპოვებოდეს: 1. ანასეული I-ის მცხოვრებნი მოსულნი არიან ობსიდიანით მდიდარი რაიონებიდან, სადაც იარაღებს ძირითადად ობსიდიანისაგან ამზადებდნენ და ამ ტრადიციას აგრძელებენ ახალ საცხოვრისზე<sup>12</sup>. ან 2. ანასეული I-ის მცხოვრებლებს დიდი ურთიერთობა ჰქონდათ ობსიდიანით მდიდარ რაიონებთან.

<sup>11</sup> ლ. ნ ე ბ ი რ ი ძ ე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, გვ. 53.

<sup>12</sup> დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. რეცენზია ლ. ნებეირიძის ნაშრომზე „დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი“, 1967, ხელნაბეჭდი.

რომელი ახსნაც არ უნდა იყოს სწორი, ერთი ცხადია, რომ ანასეულ I-ში დადასტურებული ფაქტი მაჩვენებელია ან ტომების მოძრაობისა, ან ურთიერთობისა საკმაოდ მოშორებულ რეგიონებთან. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი, რამ გამოიწვია ამ ტომების წამოსვლა თავისი ძველი ადგილსამყოფელიდან, ან რამ აიძულა ანასეულის მცხოვრებლები ურთიერთობა ჰქონოდათ საკმაოდ შორ მანძილზე მდებარე ობსიდიანით მდიდარ რაიონებთან? მაშინ, როდესაც აქვეა საკმაოდ მაღალხარისხოვანი კაჟის საბადოები, რომლებსაც ანასეული II-ის მცხოვრებნი წარმატებით იყენებდნენ კიდევაც. დასავლეთ საქართველოს ადრემეზოლითური და პალეოლითურ ძეგლებშიც იარაღებს ძირითადად კაჟისაგან ამზადებდნენ.

ჩვენთვის ერთი უეჭველად ცხადია, რომ ამგვარი მოძრაობისა თუ ურთიერთობის მიზეზი უნდა ყოფილიყო მეურნეობის ახალი ფორმები, რასაც, როგორც ჩანს, ადრე ეხიარნენ ეს ტომები. ახალი მეურნეობისათვის საჭირო ასპარეზის ძიებამ ან მისმა საჭიროებამ ისინი შესაძლოა მოიყვანა კინტრიშის ხეობასა თუ ანასეულის მიდამოებში, ან პირიქით, აიძულა კინტრიშისა თუ ანასეულის მცხოვრებნი კონტაქტი ჰქონოდათ ობსიდიანით მდიდარ შორეულ რაიონებთან ან ყოველ შემთხვევაში ისეთ რაიონებთან, საიდანაც გაცვლის წესით იღებდნენ ობსიდიანს. არ არის გამორიცხული, რომ ტომების ამგვარი შეხვედრის ადგილი ყოფილიყო აჭარის ქედის წყალგამყოფები. მასალების სიმცირის გამო ძნელია ამ ტომების ურთიერთობების მიმართულებისა და გზების დადგენა. საფიქრებელია, რომ ეს ურთიერთობა თუ მოძრაობა ხორციელდებოდა აჭარა-გურუის ქედის გადასასვლელებით, უფრო სავარაუდოა გოდერძის უღელტეხილით ან ზღვისპირითაც. ყოველ შემთხვევაში თითქმის არ გვებარება ეჭვი, რომ ეს მოძრაობა და ურთიერთობა განპირობებული იყო მწარმოებლური მეურნეობის ახალი დარგებით, მისი მოთხოვნილებით. მწარმოებლური მეურნეობის ახალი დარგებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ამ ტომების მიერ მთისწინა ბორცვოვანი ზოლისა თუ მდინარეთა ხეობების ნაყოფიერი ტერასების ათვისება.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში, რომლებშიც ობსიდიანი ფართოდ იყო გამოყენებული, შეიმჩნევა ობსიდიანის რაოდენობის მატება გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამის მკაფიო მაჩვენებელია ამ ძეგლების კაჟისა და ობსიდიანის მასალის % შეფარდების ცხრილი:

ძ ე გ ლ ე ბ ი	მასალის საერთო რაოდენობა	ობსიდიანი	კაჟი	% % შეფარდება
კვირიკე გვ. მეზოლითი	294	107	187	36,4
ქობულეთი გარდამავალი	5261	2473	2788	47
ანასეული I ადრ. ნეოლ.	3955	2892	1063	73,12
ანასეულ. II გვ. ნეოლ.	8342	1090	7252	13,7

იგი ამკარად გვიჩვენებს, რომ ობსიდიანის ფართოდ გამოყენების დასაწყისი გვიანმეზოლითოს ემთხვევა (კვირიკე). მეზოლითიდან-ნეოლითზე გარდამავალ ხანაში (ქობულეთი) მისი რაოდენობა თანდათან მატულობდა, ხოლო ადრენეოლითში განსაკუთრებული სიჭარბისათვის მიუღწევია (ანასეული I). გვიან-ნეოლითში კი ობსიდიანის როლი ეცემა.

აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ საოცარი მსგავსება შეინიშნება კინტრიშისა და ანასეული I-ის ნამოსახლარების მასალებისა ეძანის ადრენეოლითურ კომპლექსებთან შედარებისას. მასალის სიმცირის გამო ეს ფაქტი ჭერჭერობით აუხსნელია.

მოტანილი ფაქტები მკაფიოდ მოწმობენ, რომ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ურთიერთობა გვიანმეზოლითიდან დაწყებული განსაკუთრებული მასშტაბისაა, და თანდათან პროგრესულობს ადრენეოლითში.

აღნიშნული კულტურული კონტაქტების მასშტაბის თანდათანობით ზრდა განპირობებული უნდა ყოფილიყო წარმოებითი მეურნეობის ჩასახვით და მისი შემდგომი ზრდით, მასთან დაკავშირებული კულტურული მიღწევების დიფუზიით. სადღესოდ მეტად მცირე მასალა გავაჩნია კულტურული მიღწევების ინფილტრაციის მიმართულების დასადგენად.

გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური ტომების ერთი ნაწილი აგრძელებს ცხოვრებას მღვიმეებსა თუ ეხებში და ეს ზღვს არ უშლის მათ დაეუფლონ მწარმოებლური მეურნეობის ახალ დარგებს.

თუმცა მღვიმეების მასალების ერთი ნაწილიდან კარგად ჩანს გვიანმეზოლითური ტომების ამოძრავება, ძველი საცხოვრისების მიტოვება და მალაღმთიანი ზონიდან უფრო დაბლა, მდინარეთა ხეობებში ჩამოსვლა. ამის შესანიშნავი მაგალითია წებელდის რაიონის მალაღმთიან ზოლში მდებარე ქვაჭარის მღვიმე. აქ აღამიანი ცხოვრობს ადრეუდაპალეოლითში და გვიანუდაპალეოლითსა თუ ადრემეზოლითში. გვიანმეზოლითში კი მასში ცხოვრება წყდება. ასეთივე მდგომარეობაა წონისა და ქვედის მალაღმთიან მღვიმეებში, აქ აღამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითიდან (წონა) იწყება, გვაქვს ადრემეზოლითური ფენები, მაგრამ გვიანმეზოლითში აქაც ცხოვრება წყდება. სამაგიეროდ იწყება მდინარეთა ხეობების, მდინარისპირა მღვიმეების, ეხების, მდინარისპირა ტერასებისა თუ მთის წინა ბორცვების უფრო ფართო ათვისება. მალაღმთიანი, მიუვალი მღვიმეებისა და ეხების მიტოვების პროცესი გვიანმეზოლითში უთანაბროა და შესაძლებელია გარკვეული გამოჩაქლისებითაც ზასიათდებოდეს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი აშკარად შეიმჩნევა. გვიანმეზოლითური ტომების ამგვარი ამოძრავება, რომელიც კარგად შეიმჩნევა როგორც ღია ნამოსახლარების, ასევე მღვიმური მასალების მაგალითზე, მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მაჩვენებელი უნდა იყოს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეურნეობის ძველი ტრადიციული დარგები (მთავისებითი მეურნეობის სახეები) ისევე ინარჩუნებს წამყვან მნიშვნელობას.

გვიანმეზოლითის მეურნეობაში უკვე შეიმჩნევა გარკვეული ძვრები, რომლებიც ირეკლება ქვის ინდუსტრიაში. ამ ცვლილებების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, აქ გვინდა მხოლოდ შევეხოთ გვიანმეზოლითურ და ადრენეოლითზე გარდამავალი ეპოქის ღია ნამოსახლარებზე გეომეტრიული მიკროლითების როლის დროებითი შემცირების საკითხს. როგორც ცნობილია, კვირიკეს, ხუცუბნისა და ქობულეთის ნამოსახლარების განვითარებულ მიკროინდუსტრიაში ქრება გეომეტრიული მიკროლითი, ხოლო ადრენეოლითში ისევ ხდება მათი მნიშვნელობის აღდგენა. ეს აღიარებული კანონზომიერებაა, რომელიც რიგ მკვლევართა მიერ შემჩნეული იყო სამხრეთის

ქვეყნების (შუა აზია, კავკასია, წინა აზია) სტრატეფიცირებულ ძეგლებში. ეს მოვლენა ჯერჯერობით ახსნილი არ არის. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გვიანმეზოლითში მომხდარმა ძვრებმა დროებით დაარღვია წონასწორობა მეურნეობის იმ დარგებისა, რომლებსაც მიკროლითები ემსახურებოდა. როგორც ანასეული I-ის მასალები გვიჩვენებენ, ადრენეოლითში ისევ ხდება ამ წონასწორობის აღდგენა. ანასეულ I-ში ისევ ჩნდება გეომეტრიული მიკროლითები. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფაქტი ქვის ინდუსტრიაში იყოს ანარეკლი ცდისა გეომეტრიული მიკროლითების შეცვლისა სწორწახნაგა მიკროლამელებით, რისი ტენდენციაც საერთოდ შეიმჩნევა კავკასიის მეზოლით-ნეოლითის ეპოქის ძეგლებში. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ეს ცვლილებები ქვის ინდუსტრიაში მეურნეობაში მომხდარი ძვრების ანარეკლი უნდა იყოს.

უკანასკნელ ხანებამდე ამიერკავკასიაში არ იყო აღმოჩენილი ძეგლები, რომლებზედაც დამოწმებული იქნებოდა წარმოებითი მეურნეობის ჩასახვისა და მასზე გადასვლის პროცესი. შავიზღვისპირეთის ადრენეოლითურ ნაშრომ-სახლარებზე არ იყო მიკვლეული წარმოებითი მეურნეობისა და მეცხოველეობის მაჩვენებელი პირდაპირი მასალა. არაპირდაპირი მონაცემები კი საშუალებას იძლეოდა მხოლოდ ვარაუდის გამოთქმისა.

პირველი ნეოლითური ძეგლი, რომელმაც კავკასიის მესაქონლეობის დამადისტურებული საბუთი მოგვცა, იყო კამენომისტსკაიას მღვიმე. აქ უძრავ ნეოლითურ ფენაში გარეული ცხოველების — კეთილშობილი ირმის, შვლის, დათვის, და სხვ. ძვლებთან ერთად ნაპოვნი იყო შინაური ცხოველების — ხარის, თხისა თუ ცხვრის, ღორისა და ძაღლის ძვლები<sup>13</sup>. ამით ამოიწურებოდა ჩვენი ცოდნა კავკასიის მწარმოებლური მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის შესახებ.

დასავლეთ ამიერკავკასიის მესაქონლეობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო მასალები იქნა მოპოვებული ზემო იმერეთის მღვიმეებში. კერძოდ, დარკვეთის მრავალფენიანი ეხის ადრენეოლითურ ფენაში (IV ფენა) გარეული ცხოველების მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად (კეთილშობილი ირემი, შველი, დათვი, გარეული ტახი და სხვ) აღმოჩენილ იქნა შინაური ცხოველების ძვლები — ღორი, ცხვარი, ძროხა, ძაღლი. ახალი ოსტეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ დარკვეთის მცხოვრებლებს უკვე ადრენეოლითში მოშინაურებული ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძროხა), ასევე წვრილფეხა რქოსანი საქონელი (ცხვარი). შინაურ ცხოველებს შორის უპირატესობა ღორს ენიჭებოდა. ამის მაჩვენებელია ოსტეოლოგიურ მასალაში მათი ძვლების სიმრავლე. ეს სრულიად ბუნებრივი ჩანს მესაქონლეობის განვითარების ადრეულ სტადიაზე. ამ ცხოველს მისი სასარგებლო თვისებების გამო (ადვილად მოსაშინაურებელია სხვა ცხოველებთან შედარებით<sup>14</sup>, ამასთანავე იოლი გამოსაკვება და აქვს დიდი ნაშატი) — გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში კარგად განვითარებულია ტყის მასივები, რომლებშიც განსაკუთრებული სიჭარბე შეიმჩნეოდა წიფლისა და მუხის ჯიშებისა, ცხადი ხდება, რომ მათი მოშენება განსაკუთრებით რენტაბელური უნდა ყოფილიყო. ღორის კოლტების

<sup>13</sup> А. А. Формозов. Каменный век и энеолит прикубанья. 1965, гл. 57.

<sup>14</sup> Г. П. Адлерберг, К вопросу о происхождении домашних свиней. «Труды лаборатории инс-та геотехники АКСР», вып. I, А. 1933.

გამოსაკვებად სრულიად საკმარისი იქნებოდა ნამოსახლარების მიკრორაიონებში არსებული ტყის მასივები და მდინარეთა ტალღები. რაც შეეხება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს, მათთვის შესანიშნავი საკვები ბაზა უნდა მოეცა სადგომების მიკრორაიონებში (ზემო იმერეთი) მდებარე ღარკვეთ-ზოდისა და ითხვისის მთისძირა პლატოების საძოვრებს. ამ ვრცელ პლატოებს მტკიცე სამეურნეო ბაზის შექმნა შეეძლო წარმოებითი მეურნეობის საწყის საფეხურზე, როგორც მესაქონლეობისათვის ისე მიწათმოქმედებისათვის. შემდგომ, წარმოებითი მეურნეობის გაფართოებასა და, კერძოდ, მიწათმოქმედების დაწინაურებასთან ერთად ირღვევა მეურნეობის დარგების ძველი წონასწორობა, იცვლება მათი ხვედრითი წონის თანაფარობა (წარმოებით მეურნეობაში წამყვან როლს მიწათმოქმედება იჭერს). მაგრამ ეს ხდება ნეოლითის შემდგომ ეპოქაში; სადღეისოდ არსებულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში წარმოებითი მეურნეობა განვითარების ადრეულ ეტაპზე ემყარებოდა, როგორც მესაქონლეობას, ისე მიწათმოქმედებას.

აღნიშნული მოსაზრება (მესაქონლეობასთან დაკავშირებით) ვარაუდის სახით მქონდა გამოთქმული ჩრდილო კავკასიურ მასალებზე (კამენომოსტესკაია) დაყრდნობით<sup>15</sup>. ახლად აღმოჩენილი მასალების საფუძველზე აღნიშნული ვარაუდი დადასტურდა. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითურ და ენეოლითურ ძეგლებზე აღმოჩნდა შინაური ცხოველების ძვლები. კერძოდ, დარკვეთის ეხის ადრენეოლითური ფენის გარდა, შინაური ცხოველების ძვლები აღმოჩნდა ამავე ეხის ენეოლითურ ფენებშიც<sup>16</sup>. შინაური ცხოველების ძვლები აღმოჩნდა აგრეთვე სამივე — კლდისა<sup>17</sup> და ძუძუანასმღვიმეების ენეოლითურ ფენებში<sup>18</sup>. სამივე ძეგლის ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრულია პალეონტოლოგ ო. ბენდუქიძის მიერ. საგვარჯილეს ენეოლითური ფენის ოსტეოლოგიურ მასალაში ნ. ბურჩაყ — აბრამოვიჩის მიერ განსაზღვრული იყო შინაური ცხოველების ძვლები<sup>19</sup>. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი იმის სამტკიცებლად, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში წარმოებითი მეურნეობა განვითარების ადრეულ საფეხურზე ეყრდნობოდა მესაქონლეობასაც, მოტანილი მასალა სრულიად საკმარისია.

ვეთანხმები ი. კიკვიძეს, რომ ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ძეგლის მონაცემებზე დაყრდნობით, დასავლეთ ამიერკავკასიაში ნეოლითის ხანაში მესაქონლეობის ვარაუდი შესაძლებელია არასწორი გამოდგარიყო, მაგრამ შეჩვენება, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა იყო მცდარობისათვის, ოსტეოლოგიური მასალების უქონლობის პირობებში მესაქონლეობის კატეგორიული უარყოფისას. ეს ასეც მოხდა.

ამგვარად, აღნიშნული ახალი მასალების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში წარმოებითი მეურნეობა-

<sup>15</sup> დ. ნ ე ბ ი რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, 1972, გვ. 107.

<sup>16</sup> ო. ბ ე ნ დ უ კ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

<sup>17</sup> ი ქ ვ ე.

<sup>18</sup> ო. ბ ე ნ დ უ კ ი ძ ე. Об остатках млекопитающих из пещеры Дзудзуана в западной Грузии. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, № 7.

<sup>19</sup> ნ. ბ უ რ ჩ ა ყ - ა ბ რ ა მ ვ ი ჩ ი. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. 1972, გვ. 9—13.

ზე გადასვლა ხდებოდა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ბაზაზე. წარმოებით მეურნეობაზე გადასვლაში მესაქონლეობის გარკვეული როლის შესახებ უკვე მოგვებოგება პირდაპირი მასალები. ახალი მონაცემების საშუალებით აგრეთვე ირკვევა, რომ ადრენეოლითელი ტომების მეურნეობაში წამყვანი ადგილი ნადირობას ეჭირა. დარკვეთის ეხის ადრენეოლითური ფენის ოსტეოლოგიურ მასალაში გარკვეული უპირატესობა ენიჭება გარეულ ფაუნას. ნადირობის მთავარი ობიექტი იყო გარეული ჩლიქოსნები — ირემი, შველი, და გარეული ტახი. აღნიშნული მასალები მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ მითვისებითი მეურნეობის წიაღში, განვითარებული მონადირეობის ბაზაზე იქმნება საფუძველი ცხოველთა მოშინაურებაზე და მესაქონლეობაზე გადასვლისა.

ამგვარად, დარკვეთის ეხის ადრენეოლითურ ფენებში მოპოვებულია მკაფიო მასალები, რომელიც მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის მაჩვენებელია.

გაირკვა რა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითში მესაქონლეობა უკვე ჩასახული იყო და გარკვეული როლი ჰქონდა მეურნეობაში, მასთან დაკავშირებით ნათელი მოეფინა რიგ საკითხებს, რომლებიც მანამდე არაპირდაპირი მასალებითა და ვარაუდებით იყო ახსნილი<sup>20</sup>. კერძოდ, ნათელი გახდა, თუ რას იყენებდნენ ნედლეულად დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომები რთვა — ქსოვისას ან რამ განაპირობა კვირისტავების სიჭარბე ენეოლითურ ძეგლებზე. ცხადია, მესაქონლეობის არსებობის პირობებში რთვა-ქსოვისათვის ნედლეულად გამოყენებული უნდა ყოფილიყო მატყლი და საქონლის ბეწვი. ხოლო რაც შეეხება ადრენეოლითურ ნამოსახლარებს, სრულიად ბუნებრივია, რომ აქ ქსოვასთან დაკავშირებული ნივთები არ ჩანს, რადგან ამ დროს რთვა-ქსოვა შეიძლება მხოლოდ ჩანასახში ყოფილიყო<sup>21</sup>.

ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება ადრენეოლითში საფხეკების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიზეზი. როგორც ცნობილია, საფხეკების ფუნქცია ტრადიციულად (პალეოლითი, მეზოლითი) უკავშირდებოდა ნანადირევის პროდუქტის — ტყავების დამუშავებას. მაგრამ ადრენეოლითში ტყავი უკვე მიიღებოდა, როგორც ნადირობის, ასევე მესაქონლეობის პროდუქტი, ხოლო ქსოვა ჩანასახში იყო ან სულ არ არსებობდა. ასეთ პირობებში გასაგები ხდება საფხეკების სიმრავლისა და მაღალი ხარისხის მიზეზი.

რთვა-ქსოვა, როგორც ჩანს, უფრო მოგვიანებით ჩნდება. მისი მანიშნებელი ნივთები ნაპოვნი არ არის არც ერთ გვიან ენეოლითურ ძეგლზე (ანასეული II, ოლიში, შილოვკა). მისი დამადასტურებელი საბუთები ჯერჯერობით მხოლოდ ენეოლითურ ნამოსახლარებზეა ნაპოვნი.

ადრენეოლითელი ტომების მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შემგროვებლობას. დასავლეთ ამიერკავკასიის გეოკლიმატური პირობები — თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, საკვებად გამოსაყენებელი მცენარეთა მრავალრიცხოვანი სახეები, მარცვლელი კულტურების ენდემური ჯიშები, ქმნიდნენ ყოველგვარ პირობებს რთული შემგროვებლობის განვითარებისათვის. ამაზე მეტყველებს ცივი — მღვიმის (B1 ფენა) ადრე-

<sup>20</sup> გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, 1971, გვ. 73; ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1967, გვ. 17.

<sup>21</sup> ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ნეოლითურ ფენაში გარეული ღომის დანახშირებული მარცვლების აღმოჩენა<sup>22</sup>. ნამოსახლარ ფენებში ამ მარცვლეულის პოვნა აქ მოსახლეთა მეურნეობაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის მაჩვენებელი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ამ მცენარის კულტივირება ადრენეოლითის ხანაზე მოდის. უნდა ვიფიქროთ, რომ ნეოლითში იგი უკვე დაწყებულია, რადგან, როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ მან მორფოლოგიური ცვლილებები განიცადოს, საჭიროა ხანგრძლივი დრო და მისი მრავალი თაობის გამოყვანა. ენეოლითში<sup>23</sup> (არუხლო I) იგი უკვე კულტივირებული ჩანს. ადრენეოლითში მის დამუშავებაზე უნდა მიუთითებდეს ცივი — მღვიმის ამავე ფენაში ნაპოვნი ხელსაფქვაეები და სახეხები<sup>24</sup>. სწორი უნდა იყოს ნ. ბერძენიშვილი<sup>24ა</sup> და ი. კიკვიძე<sup>25</sup>, რომლებიც თვლიან, რომ ღომი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი იმ კულტურათაგანი, რომელიც სათავეს უდებს მიწათმოქმედებას დასავლეთ ამიერკავკასიაში. მისი მნიშვნელობა არქეოლოგიურად მოწმდება ადრენეოლითში. ცივი მღვიმის მასალების საფუძველზე ლ. სოლოვიოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ დროს შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მიწათმოქმედების პირველ ცდებსა და რომ ამ მასალებში შეიძლება დავინახოთ მითითება მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა<sup>26</sup>.

დარკვეთის ეხში აღმოჩენილი ხელსაფქვავის ქვა და სახეხები შესაძლოა უკვე ემსახურებოდა, როგორც შემგროვებლობის, ისე პირველი სამიწათმოქმედო პროდუქტების დამუშავებას.

მიწათმოქმედების უტყუარი მოწმე უნდა იყოს გვიანნეოლითური ძეგლების მრავალრიცხოვანი სამიწათმოქმედო იარაღები და, რაც მთავარია, კისტრიკის ნეოლითური ნამოსახლარის ორმოში აღმოჩენილი დანახშირებული მარცვლები, რომლის სახეობის განსაზღვრა არ მოხერხდა<sup>27</sup>.

ამგვარად, ცივი — მღვიმისა და დარკვეთის ეხის ადრენეოლითური ფენების მასალები ასახავენ დასავლეთ ამიერკავკასიაში მითვისებითი მეურნეობის წიაღში მწარმოებლური მეურნეობის — მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების — ჩასახვისა და მასზე გადასვლის პროცესს.

<sup>22</sup> Л. Н. Соловьев. Об итогах..., с. 194.

<sup>23</sup> ტ. ჩუბინაშვილი. ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. „ძეგლის მეგობარი“, № 33, 1973, გვ. 19.

<sup>24</sup> Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

<sup>24ა</sup> ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9. 1953, გვ. 563—566.

<sup>25</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

<sup>26</sup> Л. Н. Соловьев., დასახ. ნაშრ., გვ. 194.

<sup>27</sup> Л. Н. Соловьев. Неолитические поселения черноморского побережья Кавказа. Нижне-Шиловское и Кистрик. 1967, с. 27.

ენეოლოგი

ენეოლოგიის ეპოქა — თვისებრივად ახალი მოვლენაა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში. მისი სიახლე არ მდგომარეობს მარტო მის ტრადიციულად მიჩნეულ სიახლეში — ლითონის გაჩენაში. პირველ რიგში ეს არის ეპოქა ნეოლოგიის ძირეული გარდაქმნების შედეგების დამკვიდრებისა — წარმოებითი მეურნეობის ზვედრითი წონის განუხრელი ზრდისა. ამ ეკონომიკურმა პროგრესმა, განვითარების გარკვეულმა დონემ, შეაპირობა ლითონის გაჩენა. თავის მხრივ, ეს ახალი ფაქტორი გავლენას ახდენდა საზოგადოების კულტურულ — ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს მოვლენები ერთმანეთთან ურთიერთგანპირობებულობაშია.

აღნიშნული არსებითი ცვლილებების მიუხედავად, ენეოლოგიური კომპლექსები ხშირად დიდ სიახლოვეს იჩენენ ნეოლითურთან მათი ქრონოლოგიური და კულტურული სიახლოვის გამო. ლითონი კომპლექსებში ან თითქმის არ გვხვდება, ან ძალიან იშვიათად. შრომის იარაღები კვლავინდებურად ქვისაგან მზადდებოდა. ამიტომ ნეოლითისა და ენეოლითის შესწავლის ადრეულ საფეხურზე, როდესაც გამოვლენილი ძეგლების რაოდენობა მცირე იყო, მსგავსი ნივთიერი მასალის მქონე კომპლექსებში ძნელი იყო ამ ეპოქის დამახასიათებელი და დამათარიღებელი ნიშნების გამოყოფა. ამის გამო, ჩრდილო კავკასიის (დოლინსკოე, აგუბეკოვო, ნაღჩიკის ნამოსახლარი) და დასავლეთ ამიერკავკასიის (ახშთირის ზედა ფენა, „ოჩაყნი“, თეთრამიწა და საგვარჯილე II) რიგი ენეოლოგიური ძეგლებისა ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული. ხოლო „მტკვარ-არაქსისა“ და მაიკოპის კულტურები მთლიანად მოქცეული იყო ენეოლოგიის ეპოქაში.

უკანასკნელ წლებში მიმდინარე ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად, ამიერკავკასიაში გამოვლინდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ენეოლოგიური კულტურები: შომუთეფე-შულავრის (აღმ. და ცენტრ. ამიერკავკასია) და დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლოგიური კულტურა.

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, დარკვეთის ეხის ზედა ფენები (III—II) ენეოლოგიის ეპოქას განეკუთვნება. ამავე რეგიონში არის აღმოჩენილი მისი ანალოგიური ძეგლები — სამეღე კლდე, ძუძუნა და სამერცხლე (ზედა ფენები). აღნიშნული ძეგლების სახით გამოიკვეთა მეტად თავისებური და ერთგვაროვანი კულტურა, რომელსაც მრავალრიცხოვანი პარალელები მოეძებნება, როგორც დასავლეთ ამიერკავკასიაში ისე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ამ ძეგლების რიცხვი სადღეისოდ ძალიან გაიზარდა, თუმცა მათი შესწავლისა და გამოქვეყნების ზარისხი საგრძნობლად ჩამორჩება. მათი დიდი

ნაწილი გამოუქვეყნებელია, მცირე ნაწილი კი შესწავლის პროცესშია<sup>1</sup>. კულტურის დახასიათებისა და თავისებურების გამოვლენის მიზნით, შევეცდებით ზოგადად მიმოვიხილოთ ეს ძეგლები, ზოგ შემთხვევაში კი ჩამოთვლითაც დაგვკმაყოფილდეთ.

აღნიშნული კულტურის პირველი ძეგლი იყო თეთრამიწა, რომელიც 1924 წელს ადგილობრივი მხარეთმცოდნის პ. ჯაბუკიანის მიერ იქნა აღმოჩენილი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქ. ქუთაისის მიდამოებში. მის მიერ შედაპირული მასალის მრავალწლიანი (1924—1932 წწ.) შეგროვების შედეგად მოპოვებულია მრავალრიცხოვანი კოლექცია. იგი შესწავლილ და გამოქვეყნებულ იქნა ნ. ბერძენიშვილის (კილაძე) მიერ<sup>2</sup>. მასალის გამოქვეყნებამდე ძეგლზე გათხრები არ ჩატარებულა. ამიტომ მისი სტრატეგრაფია გაურკვეველი იყო; თეთრამიწის კოლექციის მასალა აშკარად მოწმობს, რომ ძეგლი მრავალფენიანია და შეიცავს სხვადასხვა ეპოქის მასალებს (მუსტიედან — ანტიკურ ხანამდე). მიუხედავად ძეგლის მრავალფენიანობისა, გამოქვეყნებული კოლექცია ძირითადად ერთგვაროვანია და ენეოლითის ეპოქის დამახასიათებელ მასალას შეიცავს. იგი წარმოდგენილია შრომის მრავალრიცხოვანი იარაღებით. მათ დასამზადებლად გამოიყენებოდა ძირითადად კაჟისა და ქვის სხვა ქანები. შედარებით ნაკლებად იყენებდნენ ობსიდიანს. კოლექციაში მზა იარაღების გარდა წარმოდგენილია ნამზადები, ნახევარფაბრიკატები და წარმოების ნარჩენები — ნუკლეუსებისა, ლამელებისა და ანატეცე-ანატეხების სახით. კაჟის ნაწარმში უპირატესობა ენიჭება მასიურ ანატეცეებსა და ლამელისებურ ანატეცეებზე დამზადებულ კიდურა საფხეკებს ოვალური ან ირიბი სამუშაო პირით<sup>3</sup>. შედარებით მცირე რაოდენობითაა საჭრისები, სახვრეტები და კომბინირებული იარაღები. გეომეტრიული ფორმის იარაღები და მიკროლითური ტექნიკა ამ კომპლექსისათვის დამახასიათებელი არ არის. ყველაზე მკაფიოდ მასში წარმოდგენილია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები<sup>4</sup>. პირფართო და წვერწამახული დიდი ზომის წერაქვისებური და თოხისებური მაკროლითები მიწის სათხრელ იარაღებს უნდა წარმოადგენდნენ. აქვე გვხვდება თოხი „სოჭი — ადღერის“ ტიპისა. მისი გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარი ჯერჯერობით თეთრამიწაა. განსაკუთრებული სიჭარბეა ზელსაფქვაებისა (30 ფრაგმენტი). ისინი მოგრძო, ოვალური ფორმისაა, ბრტყელი, ნახეხი შედაპირით. ნაპოვნია ქვიჩები, საბეგველები და ცალპირა, დაკბილული ნამგლის ჩასართები. აღნიშნული მასალა მეტყველი საბუთია მიწათმოქმედების განსაკუთრებული როლისა ამ ტომების მეურნეობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა სჭეროდა აგრეთვე ნადირობას. კოლექციაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შუბისა და ისრისპირები (34 ცალი). მათში გამოიყოფა ყუნწიანი, სწორფრთიანი და ფრთაამოღებული ცალები, არის სამკუთხა მოყვანილობის ფუძემოლარული შუბისპირებიც<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სამეცნიერ-კლდისა და ძეგლის მღვიმეების ზედა ფენების მასალები ისწავლება საქ. სახ. მუზეუმის უმცროსი მეცნ. თანამშრომლის ლ. ყორეკაშვილის მიერ.

<sup>2</sup> ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29. 1951.

<sup>3</sup> ნ. კილაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. I.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 246. სურ. 7; ტაბ. VI, VIII.

<sup>5</sup> იქვე. ტაბ. IX, X.

ქვის იარაღებიდან ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი გახეხილ-გაპრი-  
ლებული იარაღები — სოლისებური ცულები, სათლელ-საჭრეთლები და  
სატეხები<sup>6</sup>.

სამკაულები წარმოდგენილია მუქი, ნაცრისფერი ფიქალისაგან დამ-  
ზადებული სამაჯურის ფრაგმენტებით. მათში ვხვდებით ნახევარწრიული,  
მოგრძო, ოვალური და სამკუთხა განივკვეთის მქონე ცალებს<sup>7</sup>.

ნ. ბერძენიშვილის (კილაძე) მიერ გამოთქმული იყო ეჭვი ამ სამაჯურების  
ძირითადი კომპლექსისადმი კუთვნილების შესახებ.<sup>8</sup> მაშინ ანალოგიური  
კომპლექსები საქართველოდან უცნობი იყო. უკანასკნელ წლებში ახალი  
ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, სადაც სამაჯურები თანაარსებობენ ზემოთ  
მოტანილ ქვის ინვენტართან ერთად, მათი კუთვნილება ამ კომპლექსისადმი  
ეჭვს აღარ იწვევს.

კერამიკა კოლექციაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც  
იმდენად ფრაგმენტული სახით, რომ არ ხერხდება მსჯელობა მათ ფორმებზე.  
ნატეხებიდან ჩანს, რომ იგი უხეში, სქელკეციანი და ცუდად გამომწვარი  
ყოფილა. თიხა შეიცავდა კვარცის მინარევებს.

კომპლექსის დახასიათებიდან ჩანს, რომ მისი სახით საქმე გვაქვს  
ნეოლითის შემდგომ ეპოქასთან, თუმცა კავშირი ნეოლითთან ძალიან მჭიდროა.  
ამავე კულტურის ანალოგიური ძეგლი გათხრილ იქნა ნ. ბერძენიშვილის  
(კილაძე) მიერ მდ. ძვერულას მარცხენა ნაპირზე მდებარე საგვარჯილეს  
მღვიმეში (II ფენა).<sup>9</sup> აქ კაყისა, ქვისა და ძელის იარაღებთან ერთად დიდი  
რაოდენობით იყო მოპოვებული კერამიკა. საგვარჯილეს კაყის მასალა წარმო-  
დგენილია მრავალრიცხოვანი საფხეკებით, საჭრისებით, სახგრეტებით და  
კომბინირებული იარაღებით. კაყის ინდუსტრიას თეთრამიწის მსგავსად  
მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები არ ახასიათებს. დიდი  
რაოდენობითაა აქ წარმოდგენილი ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული  
გახეხილ-გაპრილებული სოლისებური ცულები, ტრაპეციის მოყვანილობის  
სათლელ-საჭრეთლები და სატეხები. საყურადღებოა ქვისა და თიხის სხვადა-  
სხვა მოყვანილობის და განივკვეთის მქონე სამაჯურის ნატეხები. დიდი რაო-  
დენობითაა ნაპოვნი კაყის სხვადასხვა სახის ყუნწიანი და უყუნწო შუბისპირები.  
ჭარბადაა ძვლისა (ნემსები, სადგისები, საპრილებლები და სხვა) და რქის  
იარაღები. რქის იარაღების დიდ ნაწილს ნ. ბერძენიშვილი მიწათმოქმედებას  
უკავშირებს<sup>10</sup>.

კერამიკა აქ ძირითადად ორი განსხვავებული ჯგუფითაა წარმოდგენილი.  
მონაცრისფროდ გამომწვარი, ბრტყელძირა, მუცელგამობერილი, ძაბრისებურ-  
ყელიანი ჭურჭლებით და წითელპირილა, მრგვალძირიანი, სფერულმუცლიანი,  
დაბალყელიანი ჭურჭლებით. ბევრია კვირისტაყები.

თეთრამიწისა და საგვარჯილეს კომპლექსების შედარებისას პირველ რიგში  
თვალში საცემია თეთრამიწაზე სამიწათმოქმედო იარაღების სიმრავლე, რაც

<sup>6</sup> ი ქ ვ ე. ტაბ. IV, V; გვ. 245; სურ. 5—6, სურ. 8.

<sup>7</sup> ნ. კ ი ლ ა ძ ე (ბერძენიშვილი), დასახ. ნაშრ., ტაბ. II.

<sup>8</sup> ი ქ ვ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 260.

<sup>9</sup> ნ. კ ი ლ ა ძ ე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. საქ. მეცნ. აკად. მოაზრე, ტ. 14, 9, 1953, გვ. 56.

<sup>10</sup> ნ. კ ი ლ ა ძ ე (ბერძენიშვილი), დასახ. ნაშრ., გვ. 57. მ ი ს ი ვ ე. პირველყოფილი მი-  
წათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 275.

შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი საგვარჯილში და, პირიქით, თეთრამიწაზე არ არის კვირისტავეები. ეს მეტად არსებითი თავისებურებაა ამ ძეგლებისა. საგვარჯილეს II ფენაში ნაპოვნია ლითონის ნივთები: ბრინჯაოსა თუ სპილენძის ღერო (1,60 მ. სიღრმეზე), ლითონის ნემსი (2,25 მ. სიღრმეზე) და ორი პატარა ანკესი (2,20—2,60 მ. სიღრმეზე). საგვარჯილეს II ფენაში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ფაუნის ნაშთები. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის<sup>11</sup> მიერ ოსტეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ძვალთა საერთო რაოდენობის 56% ეკუთვნის გარეულ ფაუნას, ხოლო 34% — შინაური ცხოველების ძვლებს.

„საგვარჯილეს“ ოსტეოლოგიურ მასალაში შინაური ცხოველების ძვლების აღმოჩენა მნიშვნელოვანი ფაქტია, იგი მკაფიოდ მეტყველებს ენეოლითელი ტომების მეურნეობაში მესაქონლეობის განსაკუთრებულ როლზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეაღმოჩენილი თითქმის ყველა ენეოლითური ძეგლი ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული. ასეთი ძეგლების რიცხვს ეკუთვნოდა ახშთირი I, „ოჩაქნი“, თეთრამიწა, საგვარჯილე, სადგომები „სოჭი—აღლერის“ ტიპის თოხებით და სხვა. აღნიშნული ძეგლების თარიღის გამო დავა დიდხანს გრძელდებოდა. დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა კი ხასიათდებოდა ბრინჯაოს ხანის მასალებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზემო იმერეთში უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ მღვიმურ ენეოლითს. აქ გათხრილ იქნა საგვარჯილეს (II) ანალოგიური სტრატეფიცირებული ძეგლები დაურღვეველი ფენებით (ძუძუანა, სამერცხლე—კლდე, დარკვეთი) და სამეღე—კლდე ნაწილობრივ დარღვეული ფენებით. მათგან შედარებით არქაულ მასალას სამეღე—კლდე შეიცავდა. აქ დადგენილი იყო სამი ჰორიზონტი. ფენების საერთო სიმაღლე 3,5 მ უდრიდა. გ. ჯავახიშვილი<sup>12</sup> ამ ჰორიზონტებს ერთ კულტურულ ფენას აკუთვნებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეღე—კლდის ფენების დიდი ნაწილი დარღვეულია. უძრავ მდგომარეობაში გადარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი. მასალას ჰორიზონტების მიხედვით დავახასიათებთ დაურღვეველი ღონეების მიხედვით.

I ჰორიზონტის (ზედა) ქვის ინვენტარი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის ნუკლეუსებით (პრიზმული, კონუსური), ანატეც-ანატეხებით, დანისებური ლამელებით, ორმხრივდამუშავებული შუბისპირებით, კიდურა საფხეცებით, ცალმხრივ და ორმხრივლესილი სათლელებით და სატეხებით. ნაპოვნია ხელსაფქვავეები. ძვლის იარაღები წარმოდგენილია მახათებით, სადგისებით და რქის იარაღებით.

ბევრია უორნამენტო და ორნამენტირებული კვირისტავეები. ორნამენტი წარმოდგენილია წერტილებიანი, წიწვიანი და სხვისებური ჭდეებით. ეს ჰორიზონტი კერამიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლების მთლიანი აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ ფორმის წარმოდგენა შესაძლებელია. ჭურჭელი ძირითადად ქილისებურია, თიხა უხეშადაა ნაზელი, შეიცავს ქარსისა და

<sup>11</sup> ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. სპელოლოგია X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი, 1972, გვ. 9—13.

<sup>12</sup> გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათომოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. 1971, თბ., გვ. 50.

კვარცის წვრილ მინარევებს. გვხვდება ოდნავ გამოხერხილმუცლიანებიც. ყურადღებას იქცევს დაჭდეულპირიანი, პირთან ნაჩგრეტებშემოვლებული, ბრტყელძირა და აგრეთვე მრგვალძირა ჭურჭლის ნატეხები. გვხვდება, ბრტყელძირა, დაბალქუსლიანი ჭურჭლის ძირებიც, ოდნავ გადაშლილპირიანი, მომრგვალო ძირიანი დერგისებური ჭურჭლის ნატეხები. არის სქელკეციანი, სარჩულიანი და ასევე თხელკეციანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. გვხვდება გაპრიალებულიც. პირველი ჰორიზონტი იწყება ნული ხაზიდან 1,3 მ-დან და გრძელდება 2,25 მ-მდე. მისი ქვედა დონე წარმოდგენილი იყო ბუნარევი, გადალესილი, საკმაოდ მკვრივი, 7—8 სმ-ის სისქის თიხის იატაკით.

II ჰორიზონტი იწყება დაახლ. 2,25 მ და გრძელდებოდა 3,1 მ-მდე. პირველთან შედარებით აქ გაცილებით მეტია კაჟის, ქვისა, ძვლის, რქისა და კერამიკული მასალა. კლებულობს კვირისტავების რაოდენობა.

კაჟის იარაღები წარმოდგენილია ლამელებით, კიდურა საფხეკებით და წარმოების ნარჩენებით (ნუკლეუსებით და ანატეც-ანატეხებით). საყურადღებოა აქ გეომეტრიული მიკროლითების — ტრაპეციების პოვნა. ეს ჰორიზონტი ხასიათდება ორმხრივდამუშავებული ყუნწიანი შუბისპირებით. მრავალადა ძვლის იარაღები — სადგისები, მახათები, სახვრეტები, საპრიალებლები, რქისაგან ნაკეთებია — მრავალნაირი მიწის საჩიჩქნები.

ამ ჰორიზონტის კერამიკული მასალა ანალოგიურია I ჰორიზონტისა იმ განსხვავებით, რომ აქ მეტია თხელკეციანი წითელპირიან სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, ქარსის მინარევებით. აქ გვხვდება მომრგვალო ძირიანი და ქუსლიანი ჭურჭლებიც. ჭურჭლისპირი ხშირ შემთხვევაში სწორია, იშვიათად გადაშლილი. გვხვდება ჭურჭლისპირის დაჭდვის შემთხვევები ტეხილზოლიანი ორნამენტით.

ამავე ჰორიზონტში 2,60 მ-ს სიღრმეზე აღმოჩნდა ტიგელი (?), ხოლო 2,50 მ სპილენძის ოთხკუთხა განაკვეთის ისრისპირი. II ჰორიზონტის ქვედა დონე პირველის მსგავსად წარმოდგენილია თიხით მოლესილი იატაკით.

III ჰორიზონტი (3,1—3,5 მ) სტრუქტურულად არ განსხვავდება მეორისაგან. აქ განსაკუთრებული სიჭარბეა კაჟისა და ძვლის მასალის. ზელსაფტკავები და კვირისტავები თითქმის ქრება. ეს დონე არქაული მასალის შემცველია, მასში ვხვდებით ქვედა ფენის მასალეშსაც. კაჟის მასალა აქ ზედა ფენის ანალოგიურია და ემატება ტრაპეციები და ბლაგვზურგა ლამელები. ქვის მასალა წარმოდგენილია სოლისებური იარაღით. ძვლის იარაღებიდან გვხვდება სადგისები, რქისა და ძვლისღარიანი იარაღები. კერამიკა ხასიათდება დაბალქუსლიანი, ბრტყელძირიანი ქილისებური ჭურჭლის ფრაგმენტებით. სამეღე — კლდის სამივე ჰორიზონტში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ფაუნისტური მასალა. პალეონტოლოგ ო. ბენდუქიძის განსაზღვრით, მათი ნაწილი ეკუთვნოდა შინაური ცხოველების ძვლებს (იხ. ცხრილი).

სამეღე — კლდის I ჰორიზონტს გ. ჯავახიშვილი ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებს, სულ ქვედა მესამეს კი ნეოლითიდან ადრეენეოლითზე გარდამავალ ხანას<sup>13</sup>.

ამავე კულტურის ძეგლი ნაპოვნი იყო ძუძუნას მღვიმეში ს. მღვიმევის მახლობლად (ჭიათურის რ-ნი), ნიკრისის ღელის კანიონის მარჯვენა მხარეს.

<sup>13</sup> გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 96.

მღვიმე კარსტულია და მრავალფენიანი, მისი პირველი ფენა ენეოლით-ადრებრინჯაოს მასალებს შეიცავს<sup>14</sup>.

ძუძუნას ზედა ფენაში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟისა და ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული იარაღ-ხელსაწყოები. აღნიშნული მასალები გარკვეულ სიახლოვეს იჩენს დარკვეთის ზედა ფენების (III—II) მასალებთან.

ძუძუნას კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ორი განსხვავებული ჯგუფის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. სქარბობს გაუპრიალებელი, ცილინდრულყელიანი, მრგვალძირიანი ჭურჭლის ნატეხები, ორნამენტის ერთადერთი სახეა „მეჭეჭები“, ერთ შემთხვევაში შეინიშნება რელიეფური მინაძერწი ვიწრო ზოლის სახით. მეჭეჭიანი ორნამენტით შემკული ჭურჭლები გაპრიალებული ყოფილა. ამ ნიშნით ეს კერამიკა ჰგავს დარკვეთისა და სამერცხლეკლდის კერამიკას. ძუძუნას მეჭეჭიანი ორნამენტის მქონე ზოგიერთ ნატეხს ჭარბად ურევია ქარსი.

მეჭეჭიანი ორნამენტი გაცილებით უფრო ხშირია ძუძუნაში, ვიდრე დარკვეთში. დარკვეთის III ფენაში სულ სამი შემთხვევაა მეჭეჭიანი ორნამენტისა, დარკვეთის II ფენაში კი მეჭეჭები საერთოდ არ გვხვდება.

საინტერესო ფაქტია ნეოლითური ტრადიციის გადმონაშთი — ჭურჭლისპირის დაჭდევა, რომლის შემთხვევები ძუძუნაში უფრო ხშირია, ვიდრე დარკვეთში. დარკვეთის III ფენაში ოთხიოდე ამგვარი შემთხვევა გვაქვს, II ფენაში კი ერთადერთი. აღსანიშნავია ძუძუნაში პირის დაჭდევისა და მეჭეჭიანი ორნამენტის შერწყმის შემთხვევები. ამგვარი ჭურჭლები გაპრიალებული ყოფილა. ძირების უმეტესობა მრგვალია ან მომრგვალო-მომრტყელო. იშვიათია ბრტყელი ძირები, ისინი მრგვალად გადადის კედლებზე. ძირები, მკაფიო კუთხოვანი გადასვლით კედლებზე, თითქმის არ არის. ჭურჭლების აღნიშნულ ჯგუფზე გვხვდება ამოკაწრული ორნამენტი და ღრუტელებისამგვარი ნაჭდევები.

კერამიკის მეორე ჯგუფი ეყუთვნოდა წითელპირილა, თხელკეციან ჭურჭლებს დაბალი გადაშლილი ყელით, მრგვალი ძირითა და გამოზერული მუცლით.

ძუძუნას წითელპირილა ჭურჭლებიდან აღსანიშნავია სურისებური ჭურჭელი. ერთადერთი მთელი ჭურჭელი მრგვალი ძირით, მაღალი ცილინდრული ყელით და მომრგვალო მუცლით. მეორე წითელპირილა ჭურჭელი წარმოდგენილია დაბალი ცილინდრული ყელით და საკმაოდ სწორად გაშლილი მხრებით.

ძუძუნას კერამიკაზე შეიმჩნევა ანგობის კვალი. აქ ამგვარი შემთხვევები გაცილებით მეტია. მაგრამ ანგობა აქ უფრო ცუდი ხარისხისაა და უარესადაა შენახული. შესაძლოა ეს აქ მოქმედი კარსტის ბრალიც იყოს. ანგობა უმეტესად შეიმჩნევა ვარდისფრად გამომწვარ შავსარჩულიან ჭურჭლებზე. თუმცა არის აგრეთვე მთლიანად მოყვითალო ჭურჭლების ანგობიანობის შემთხვევებიც. ანგობა მოყვითალო-მოთეთროა.

დარკვეთის მსგავსად აქაც ჭურჭლებს შიგნიდან ხშირად წითელი საღებავის კვალი აქვს. არის აგრეთვე ჭურჭლის ორივე მხრიდან წითლად შეღებვის შემთხვევები.

<sup>14</sup> დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, ტ. I, II, III, IV, V, 1969—1977 წწ.

ძუძუნაში დიდი სიჭარბეა ქვის იარაღებისა. ისინი ძირითადად დამზადებულია ბაზალტისა და სერპანტინისაგან. ეს იარაღები ძირითადად წარმოადგენილია ცალპირალესილი, ტრაპეციისა ან სამკუთხა განივკვეთის მქონე ცულებითა და სათლელ-სატეხებით. იარაღები კარგადაა გახეხილ-გაპრიალე-ბული. მათში კარგად გამოირჩევა დიდი ზომის, ცალპირალესილი სათლელები და მცირე ზომის, მინიატურული, ტრაპეციის განივკვეთის მქონე სათლელები. სათლელებს მუცლის მხარე ბრტყელი აქვს, ზურგი კი ამობურცული. ეს იარაღები ჰგვანან დარკვეთის სათლელებს. ძუძუნას შუბისპირები ორმხრივ დამუშავებულია, დამზადებული ანატეცებზე, მათი ძირითადი ფორმა ფოთლისებური მოყვანილობის ყუნწიანი შუბისპირებია. არის აგრეთვე სამკუთხედის-მაგვარი ყუნწიანი შუბისპირები, ფუძე ამოდარული, სწორფუძიანი და გვერდებამოდარული ცალებიც.

ძუძუნას საფხეკები წარმოადგენენ მასიურ იარაღებს, რომლებიც დამზადებულია განიერ ლამელისებურ ანატეცებზე. სამუშაო პირები დამუშავებულია მსხვილფაცვეტიანი რეტუშით. ევენდება დანისებური იარაღები მოგრძოლამელებზე დამზადებული, არის ერთი კირქვის მაკროლითი. ცოტაა ძელოვანი მასალა. სჭარბობს სადვისები. სამაჭურები ოდნავ უფრო მასიურია და განიერია ვიდრე დარკვეთისა. აქ არ არის ნაპოვნი მათი ნახევარფაბრიკატები. კვირისტაეები აქ უფრო უხეშია. ძუძუნას ზედა ფენაში მრავლად იყო ნაპოვნი ოსტეოლოგიური მასალა. იგი განსაზღვრა პალეონტოლოგმა ო. ბენდუქიძემ<sup>15</sup>, მის მიერ ძელოვან მასალაში გამოყოფილი იყო როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველების ძვლები (იხ. ცხრილი 3).

სამერცხლე — კლდე მდებარეობს მდ. ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირზე, ქვემო ზოდის მახლობლად. სამერცხლე — კლდის ზედა ფენა ახლო მსგავსებას ამჟღავნებს იმერეთის მღვიმეების ენეოლითურ ძეგლებთან.

სამერცხლე — კლდის ზედა ფენაში აღმოჩენილ იქნა მრავალრიცხოვანი კერამიკისა, ქვისა და ძვლის იარაღები<sup>15ა</sup>.

კერამიკაში ძირითადად ორი მკაფიო ჯგუფი გამოიყოფა: 1) წითელპირილა, თხელკეციანი. მუცელგამობერილი, მრგვალძირიანი. ძაბრისებურყელიანი ჭურჭლები, რომლებიც მიაკობის ჭურჭლებთან გარკვეულ მსგავსებას იჩენენ და ბრტყელძირა, ცილინდრულყელიანი ჭურჭლები მოშავო-მონაცისფროდ გამოიწვარი.

სამერცხლე — კლდის ფიალისებური თუ ჯამისებური, მრგვალძირიანი ჭურჭელი მსგავსებას ბოჟლობს კამენომოსტკოეს მღვიმის ჭურჭელთან. სამერცხლე — კლდის ჭურჭლებზე არ შეიმჩნევა ყურები. პირის დაჭდევის სამი შემთხვევაა დადასტურებული. არის ხვრელიანი ფრაგმენტები, პირის ნატეხზე (ბადის?) დატანებულია ორი ნახვრეტი. ალბათ საკიდად იყო გამოყენებული. ჭურჭლების უმრავლესობა ბრტყელძირაა, ძირიდან კედლებზე კუთხიანი გადასვლით. ძირებზე შეიმჩნევა სპირალისებური წითელი ხაზების ანაბეჭდები. ორნამენტიდან აღსანიშნავია მეჭეჭები, მათი რაოდენობა აქ გაცილებით მეტია, ვიდრე დარკვეთში და სამელე — კლდეში. ფაქტიურად ეს

<sup>15</sup> Бендукидзе О. Г. Об остатках млекопитающих из пещеры Дзудзуана и западной Грузии. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, № 7.

15ა. იხ. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდები.

კერამიკა ემსგავსება დარკვეთისა და ძუძუანას კერამიკას. ჭურჭლების ნაწილი ანგობირებული ყოფილა. სამერცხლე — კლდის მასალებში დიდი ადგილი უჭირავს ქვის სხვადასხვა ქანისაგან დამზადებულ ცულებს, სათლელებსა და სატეხებს. იარაღები კარგადაა გახეხილ-გაპრიალებული. ისინი განივკვეთში ან ტრაპეციის მაგვარია ან ოვალური. აქვე ნაპოვნია მათი ნახევარ-ფაბრიკატები. იარაღებიდან სჭარბობს კაყის ორმხრივდამუშავებული შუბისპირები, ზომით ისინი უფრო დიდია, ვიდრე ძუძუანასი, უმრავლესობის ფორმა წაგრძელებულ სამკუთხედს უახლოვდება. შუბისპირები ყუნწიანია. არის უყუნწო, სამკუთხედის მოყვანილობის, ორმხრივდამუშავებული. ჩნდება ფუძემოლარული დიდი ზომის შუბისპირიც. ფორმებით ესენი უფრო მოგვიანოა, ვიდრე ძუძუანის და დარკვეთის.

კვირისტავეები აქ ცოტაა, უორნამენტოა და დიდი ზომისაა. ამ მასალებში არის მასიურ ანატეკეებზე ჩამოყალიბებული ბოლოკიდურა საფხეკები. არ არის გამოირიცხული ამ ფენაში ქვედა ფენიდან მათი შემორთვის შესაძლებლობა.

მიკროლითური ტექნიკა მთლიანად წყვეტს აქ არსებობას. სამერცხლეს ზედა ფენაში აღმოჩნდა ტიგელი და ყალიბი. ფაუნისტური მასალა ჭერჭერობით განსაზღვრული არ არის.

ენეოლითური კულტურის ნაშთები აღმოჩენილია გალის რაიონშიც, მდ. ოქუმის კანიონის მარჯვენა მხარეს, კასტრულ მღვიმეში, ღუმურის ნეოლითური ნამოსახლარის მახლობლად. გათხრებს ოქუმის მღვიმეში აწარმოებდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. კლდოვან იატაკამდე დაყვანილ საძიებო თხრილში დადგინდა 1,5 მ სისქის კულტურული ფენები, რომლებშიც გამოიყო 8 ჰორიზონტი. ზედაპალეოლითური ფენის თავზე აქ აღმოჩნდა ბრეჭჩიის ორ ფენას შორის მოქცეული უძრავი ენეოლითური ფენა. იგი წარმოდგენილია ჰუმუსოვანი ფენით და ენეოლითის ნაშთებს შეიცავს. მისი სისქე დაახლოებით 10—20 სმ-ია და მღვიმეში ნაწილობრივია შემორჩენილი. ოქუმის მღვიმის ენეოლითური ფენის მასალა მცირერიცხოვანია, მაგრამ იგი საინტერესოა სტრატოგრაფიული თვალსაზრისით. აქ გვაქვს უძრავი, სუფთა ფენა. ოქუმის ენეოლითური ფენის მასალები შესწავლილია გ. ფხაკაძის მიერ<sup>16</sup>.

მასალა ძირითადად წარმოდგენილია კაყის ინდუსტრიით და მცირეოდენი კერამიკის ფრაგმენტებით. რიყის ქვის იარაღები აქ თითქმის არ არის. ნაპოვნია მხოლოდ საპრიალებელი და სათლელის ნაშაღი. კაყის მასალა წარმოდგენილია პრიზმული ნუკლეუსით, უხეშ და უწესო ანატეკეებზე დამზადებული არატიპური საფხეკებით, ორმაგი საფხეკებით და კომბინირებული იარაღით. მთელი სერიაა ლამელებისა, მათ შორის არის თავსწორი და თავიორბეტუშირებულიც. მიკროლითური ტექნიკის ნაწარმი წარმოდგენილია ორი ტრაპეციით, მათგან ერთი სამფერდამუშავებულია, ერთისეგმენტით და ერთი ბლაგვეკერდა ლამელით. აღნიშნული კაყის მასალაში გვხვდება მუსტიეური იერის მასალა. ფენათა არევა აქ გამოირიცხულია. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ეს ფენა ბრეჭჩიებს შორის იყო ჩაკირული, მეორეც იმის გამო, რომ ამ ფენას ქვეშ ზედაპალეოლითური ფენა უძევს და არა მუსტიეური. სწორი უნდა იყოს

<sup>16</sup> გ. ფხაკაძე. ოქუმის მღვიმის ენეოლითური ნაშთები.

გ. ფხაკაძის დასკვნა, რომ ეს მასალა თავით ენეოლითელი ადამიანის მიერ იყო მოტანილი უფრო ადრეული ძეგლებიდან.

კერამიკის ერთი ნაწილი წარმოდგენილია უხეში, მსხვილკეციანი ფრაგმენტებით, რომლებსაც ჭარბად ურევია ქარსისა და კვარცის მინარევები, ასევე სილა. ნატეხების მეორე ჯგუფი თხელკეციანია, თიხა უკეთესადაა ნაზელი და ურევია ქარსი და სილა. თიხის ჭურჭლების უმეტესობა, როგორც ჩანს, მოვარდისფროდ ყოფილა გამომწვარი. მცირე რაოდენობითაა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები. გვხვდება, როგორც ვარდისფერი, ისე მონაცრისფროსარჩულიანი ნატეხები. კეცის გადანატეხში შეიმჩნევა რამდენიმე ფენა. კერამიკა სუსტადაა გამომწვარი, ფხვიერია, კარგად შეიმჩნევა ანგობა და გაპრიალების კვალიც. ზოგჯერ ზედაპირს მოლესვის კვალიც ეტყობა. ფორმების აღდგენა ჭირს. სულ რამდენიმე ძირისა და ყელ-პირის ნატეხია. ძირები ბრტყელია, კედლებზე ქუსლიანი გადასვლით. ჭურჭლების ყელი ცილინდრული უნდა ყოფილიყო. ორნამენტი ამოკაწრულია, ქმნის წიწვისებურ სახეს, არის წერტილოვანიც. თიხის ცომის შემადგენლობით, ფორმით და ორნამენტით (წიწვისებურ-ამოლარული და ღრმულებიანი სახეები) ემსგავსება იმერეთისა და აფხაზეთის მღვიმეების ენეოლითური ფენების მასალებს (ახშითირი I, დარკვეთი, სამელე-კლდე)<sup>17</sup>.

აღნიშნული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მღვიმე „ოჩაყნი“. იგი მდებარეობს ადღერის რაიონში მდ. კუდეშსტას სათავეებთან, ვორონცოვის ორიარუსიანი მღვიმის ქვედა მწკრივში. მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, სიახლოვეთ ბელორეჩენსკის უღელტეხილთან და მისი ახლო ანალოგებით კავკასიონის გადაღმა, მდ. ბელაიას სათავეებთან მდებარე ძეგლებთან. მღვიმე „ოჩაყნი“ ითხრებოდა 1953—1954 წწ. ლ. სოლოვიოვის მიერ<sup>18</sup>.

ვორონცოვის მღვიმის კომპლექსებს შორის „ოჩაყნი“ ყველაზე არქაულია. ამავე კულტურის უფრო მოგვიანო ეტაპის ძეგლები „კოლოკოლნი“ და „ზალოყენი“ მდებარეობენ ვორონცოვის მღვიმის მეორე იარუსში.

„ოჩაყნის“ ქვის კომპლექსი ხასიათდება კაქისყუნწიანი ისრისპირებით, საფხეკებით, ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ — გაპრიალებული ცულებით, სათლელებით და სატეხებით, ქვის სამაჯურებით, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები კომპლექსს არ ახასიათებს.

კერამიკა მრგვალძირიანია, ძაბრისებურყელიანი, კვერცხისებური ფორმის, მკვეთრად გადმოლუნული პირით. ჭურჭელი სქელკეციანია, გაუპრიალებელი. ამ კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტს აქვს მეჭეჭებიანი ორნამენტი. აქვე არის ყელის ფრაგმენტები ღრმულიანი ორნამენტით.

„ოჩაყნის“ სამაჯურები ანალოგებს პოულობენ მეშოკოს, ისენოვა პოლიანასა, ვესიოლისა და სკალას ნამოსახლარებზე.<sup>19</sup>

<sup>17</sup> გ. ფხაკაძე, დასკვნა, ნაშრ.

<sup>18</sup> Л. Н. Соловьев. Новый памятник Культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху Неолита и бронзы-стоянки Воронцовской пещеры. Труды Абх. ИЯЛИ, т. XXIX, Сухуми, 1958.

<sup>19</sup> ი ქვე, ტ. I, II, V.

„ოჩაყნიში“ დარკვეთის მსგავსად მეჭეჭიანი ორნამენტი ცოტაა და ამასთანავე იგი განლაგებულია ჭურჭლის ყელზე და არა მხრებზე, როგორც ეს ახასიათებს მდ. ბელაიას ნამოსახლარების ანალოგიურ კერამიკას. აღნიშნულ განსხვავებას ა. ფორმოზოვი ლოკალურ თავისებურებად მიიჩნევს და ამ ძეგლებს სინქრონულად თვლის<sup>20</sup>. მეჭეჭიანი ორნამენტი ჭურჭლის ყელზეა განლაგებული აგრეთვე სამერცხლე — კლდისა და ძუძუანის ჭურჭლებზეც. ამავე ძეგლებში, ისევე, როგორც „ოჩაყნიში“, ბევრია ქვის იარაღი. როგორც ფენდათ, კერამიკის და ქვის ინვენტარის ზოგი თავისებურებით „ოჩაყნი“ მეტსიახლოვეს იჩენს დასავლეთ საქართველოს ძეგლებთან, კერძოდ დარკვეთთან, სამერცხლე — კლდესა და ძუძუანას ზედა ფენებთან. განსხვავება იმაშია, რომ ამ უკანასკნელებში ჩნდება უკვე გაპრიალებული კერამიკა და „წითელბრიალა“ ე. წ. იმპორტული კერამიკა. ანალოგიური კერამიკა ჩნდება ვორონცოვის მღვიმის მოგვიანო ძეგლებშიც — კოლოკოლნისა და ზალოყენის მღვიმეებში. ეს, რა თქმა უნდა, ქრონოლოგიური ნიშანია, რის გამოც „ოჩაყნის“ ძირითად ფენას ი. სოლოვიოვი ნეოლითურად მიიჩნევდა. შემდეგ ა. ფორმოზოვმა მდ. ბელაიაზე ჩატარებული გათხრების საფუძველზე იგი გადასათარიღა და ადრემიოკოპის ეტაპს მიაკუთვნა<sup>21</sup>. იგი თვლის, რომ „ოჩაყნის“ ძირითადი ფენა, მიუხედავად იმისა, რომ მასში მეჭეჭიანი ორნამენტი ცოტაა, მეშოკოს ზედა ფენისა და სკალას თანადროულია. ა. ფორმოზოვი ამ ძეგლებს ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, კერძოდ შუა ჯგუფში ათავსებს. „ოჩაყნის“ ზედა ფენაში ნაპოვნია ოქროს სპირალისებური საკიდი, მას ა. ფორმოზოვი ნოვოსვობოდნისა და კოსტრომსკაის საკიდებს უკავშირებს. ამ უკანასკნელებთან ერთად იგი „ოჩაყნის“ ზედა ფენას მაიკოპის კულტურის პერიოდიზაციის მესამე ჯგუფში ათავსებს.

აღნიშნულ კულტურას ეკუთვნის მდ. მზიმთას ნაპირზე, ახშტირის მღვიმეში აღმოჩენილი ნასახლარი. გათხრილია 1938 წ. ს. ზამიატინის მიერ<sup>22</sup> ახშტირში სამი ფენა იქნა დადასტურებული, ზედა ფენა ს. ზამიატინის მიერ ჯერ ნეოლითურად იყო მიჩნეული, ხოლო შემდეგ მის მიერვე იყო ენეოლითურად გადათარიღებული<sup>23</sup>. ზედა ფენა მეშოკოს ზედა ჰორიზონტის ასაკისაა, ქვედა კი უფრო ადრეული და შესაძლოა ენეოლითის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნებოდეს. ქვის მასალა ამ ფენაში უფრო არქაულია, გვხვდება ტრაპეციები, თავრეტუშირებელი ლამელები და წარმოების ნარჩენები. კერამიკაზე ორნამენტი-ამოკაწრული წიწვისებური სახეებია დადასტურებული. ეს მასალა გამოუქვეყნებელია და ამიტომ ჭირს მასზე მსჯელობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე, მდ. ოცხეს მარჯვენა პირველ ტერასზე, ყანობილის მთის ძირში აღმოჩენილი ნამოსახლარი<sup>24</sup>, რომელიც აღნიშნულ კულტურას უნდა ეკუთვნოდეს. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1300 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. სადღეისოდ კულტურული ფენები აქ ძალიან ღრმად, 2 მ-ის სისქის ნალექების ქვეშაა მოქცეული. აქ იყო დადასტურებული ნაშალი კლდისაგან ნაგები (მშრალი წყობა) მოგრძო,

<sup>20</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 83.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>22</sup> ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის კოლექციები № 4699, 5580.

<sup>23</sup> МАЭ-ს ამავე კოლექციის დაფორები და ჭრილი.

<sup>24</sup> კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურის ნაშთები აბასთუმანში, საისტორიო კრებული, V, 1976, გვ. 371—381.

სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი, დამწვარი ძელების ანაბეჭდიანი ბათქაშით. კ. კალანდაძე ვარაუდობს, რომ ამ ნაგებობას ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა. ნაგებობის ცენტრში ნაპოვნი იყო კერის ნაშთი. მასალა წარმოდგენილი იყო კაყის, ქვისა და ძვლის იარაღებითა და კერამიკით. ნაპოვნი იყო მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფქვავეი, ყუნწიანი და ფოთლის ფორმის ორმხრივდამუშავებული ისრისპირები, საფხეკი, დანები, სახოკები, დანა-სახოკები, სახვრეტები, დაკბილული იარაღები, დისკოსებური საჩენი იარაღი (ბაზალტისა), რიყის ქვის საჩიჩქნი იარაღი, არგელიტის სათლელ-სატეხი ტრაპეციის ფორმის, შურდულის ქვა<sup>25</sup> და სხვ. ნასახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (642 ფრ.). ისინი წარმოდგენილია ქილისებური, ქოთნისებური, დერგისებური, ჯამისებური და სხვ. ფორმებით. ჭურჭელი მორუხო-მონაცრისფროა, ცუდადაა გამომწვარი, შეიცავს ქვიშის, კვარცისა და ქარსის მინარეგებს, ზოგჯერ ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი. ჭარბობს ბრტყელია ჭურჭლები ძირიდან კედლებზე კუთხოვანი გადასვლით. იშვიათია ქუსლიანძირიანი და მრგვალძირიანი ჭურჭლები. მათში არის სწორპირიანი, პირმოყრილი და პირგადაშლილი ჭურჭლებიც. ორნამენტი არ გვხვდება. ჭურჭლების უმეტესობა დაბალყელიანია, გამოჩაკლისია ერთი ცილინდრულყელიანი<sup>26</sup>.

განსხვავებულად გამოიყურება სფერულტანიანი, მრგვალძირიანი, წითელპრილა, თხელკეციანი, კარგად გამომწვარი, დაბალყელიანი და პირგადაშლილი ჭურჭელი. მსგავსი ჭურჭლები ცნობილია დარკვეთის, სამელე-კლდის, სამერცხლე-კლდის და ძუძუანას ზედა ფენებიდან<sup>27</sup>.

ამგვარად, დეახასიათეთ რა ეს ძეგლები ცალ-ცალკე, ნათლად გამოჩნდა, რომ მათი კომპლექსების შემადგენელი ელემენტები ძირითადად ერთგვაროვანია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურას ახასიათებს საკმაოდ მკაფიო და მყარი ნიშნები. მისი მატერიალური კულტურა ზოგადად ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული (სერპანტინი, ბაზალტი) გახეხილ-ვაპრიალებული, ტრაპეციის ფორმისა და განივკვეთის ბრტყელი ცულებით, სათლელ-სატეხებით, რომლებშიაც აგრეთვე სჭარბობენ ტრაპეციის ფორმისანი, იარაღები უმეტეს შემთხვევაში მაღალ ხარისხშია ნაპრიალები. ზომებში დიდი ვარიაციებია.

საბრძოლო-სანადირო იარაღები წარმოდგენილია კაყის ორმხრივდამუშავებული შუბისპირებითა და ისრისპირებით, მათ ფორმების საოცარი მრავალფეროვნება ახასიათებს. აქ გვხვდება ძირითადად ყუნწიანი და უყუნწო, სწორფრთიანი, მრავალფრთიანი, ფრთადაშვებული, ფრთაამოღარული შუბისა და ისრისპირები, იარაღის ღერო მრავალნაირი ფორმებით ხასიათდება. ხშირია გვერდამოღარულები. საკმაოდ ბევრია უყუნწო სამკუთხედის ფორმის სწორფრთიანი და ფუძემოღებული ცალები.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით იარაღები წარმოდგენილია მოგრძო, ოვალური ხელსაფქვავეებით. ღია ნამოსახლარებზე გვხვდება მაკროლითები, მღვიმეებში კი ძვლისა და რქის იარაღები, რომლებსაც მიწათმოქმედებას

<sup>25</sup> კ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 375—376.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 374.

<sup>27</sup> იქვე.

უკავშირებენ. ნამგლის ჩასართები — შესაძლოა მეურნეობის ორივე დარგს მიწათმოქმედებას და მესაქონლობასაც უკავშირდებოდეს.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული მასალა (ოსტეოლოგიურის გარდა) წარმოდგენილია კვირისტაგებით. ძეგლებში ისინი ათეულობითაა ნაპოვნი.

სამკაულების ყველაზე გავრცელებული სახეა ფიქალისაგან დამზადებული სამაჭურები, იშვიათად გვხვდება ქვის სხვა ქანისაგან დამზადებულებიც.

აღნიშნულ ძეგლებში კაყის ნაწარმი და მისი დამუშავების ტექნიკა საკმაოდ დეგრადირებულია. გვხვდება საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, კომბინირებული იარაღები, რეტუმორები, დანები და სხვა იარაღები. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები კაყის ინდუსტრიას აღარ ახასიათებს. მხოლოდ ზოგჯერ გადმონაშთის სახით გვხვდება ერთეული გეომეტრიული მაკროლითები. კომპლექსებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ძვლისა და რქის იარაღები (სადგისები, მახათები, სახვრეტები, საპრიალებლები, მიწის საჩიჩქნები და სხვა).

ქვის დანარჩენი იარაღი წარმოდგენილია შურდულის ქვებით, ჩაქუჩებით, უროებით, ქრდემლებით და სხვ.

განსაკუთრებული, მეტად მკაფიო სახე აქვს კერამიკას. ამ ძეგლებში იგი წარმოდგენილია ორი განსხვავებული ჯგუფით: 1 მოვარდისფრო-მონაცრისფროდ გამოიწვევარი, სქელეცვიანი, უხეში, კვარცისა და ქარსის ჭარბი მინარევებით, ბრტყელძირა, ძაბრისებურყელიანი, პირგადაშლილი და მუცელგაბერილი თიხის ჭურჭლები და 2. თხელეცვიანი, წითელპირილა, მრგვალძირიანი, სფერულმუცლიანი, დაბალყელიანი, პირგადაშლილი ჭურჭლები. თიხა უკეთესადაა ნაზელი და შეიცავს ქარსისა და მდინარის სილის მინარევებს.

ზემოთ ჩამოთვლილი კულტურის ელემენტებს თითქმის საყოველთაოდ გავრცელება აქვს ამ ძეგლებში.

ძეგლების დახასიათებიდან ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო მეტად მკაფიო და ერთგვაროვანი კულტურა. მისი გავრცელების საზღვრები საკმაოდ ფართოა. მართალია, იგი ჯერ კარგად არაა შესწავლილი, მაგრამ არსებული მასალები აშკარად მოწმობენ, რომ მისი გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი ებჯინება ლიხის ქედს, ჯერჯერობით მისი უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარია ჭიათურა-საჩხერის რაიონები (თუმცა სწორედ ამ რაიონებიდან არის მოსალოდნელი მისი გავრცელება შიდა ქართლში). იგი მოიცავს მთელ ზემო იმერეთს (თერჯოლის, წყალტუბოს, ქუთაისის რაიონები), მისი კულტურის ძეგლები აღმოჩენილია კოლხეთის დაბლობზე ღია ნასახლარების სახით, ვრცელდება შავიზღვისპირეთში (სოჭი-ადლერის რაიონები). უკანასკნელ ხანებში აღნიშნული კულტურის ძეგლი აღმოჩნდა ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ნოვოროსიისკის მახლობლად (მისხაკო). ამავე კულტურის ძეგლი აღმოჩენილ იქნა მესხეთ-ჯავახეთში (აბასთუმანი). ამგვარად, აღნიშნული კულტურა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან მოყოლებული ვრცელდებოდა მთელს დასავლეთ ამიერკავკასიაში და მოიცავდა სამხრეთ საქართველოს რაიონებს.

დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს (ადრეული ეტაპი) კულტურისა და მაიკოპის კულტურის ძეგლების დეტალურმა შედარებამ საყურადღებო შედეგები მოგვცა. ნაშრომის მოცულობის სიმცირისა და მიზანდასახულობის გამო აქ არ ხერხდება ამ მასალების ანალიზის მთლიანი მოტანა. ეს ცალკე ნაშრომის საგანი იქნება. აქ მხოლოდ დასავლეთ ამიერკავკასიის

ენეოლითური კულტურის დახასიათებასთან დაკავშირებით მიიღო მოვიტანო აღნიშნული ანალიზის შედეგები: 1. კერძოდ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს (ადრეული ეტაპი) კულტურა და მაიკოპის კულტურა ძირითადად მსგავსია და ერთგვაროვანია (ა.ფორმოზოვი, დ. თუმბრაშიშვილი). თუმცა ამ ერთგვაროვნების შიგნით მათ ივანჩია ლოკალური თავისებურებები.

2. დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში (ადრეული ეტაპი) გავრცელებული ყოფილა ერთიანი, მეტად თავისებური არქეოლოგიური კულტურა, რომლის ლოკალური ვარიანტები წარმოდგენილია მაიკოპისა და დასავლეთ ამიერკავკასიური კულტურის სახით.

3. დასავლეთ კავკასიური ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კულტურა მოიცავს მთელ დასავლეთ ამიერკავკასიას, სამხრეთ საქართველოს (არ არის გამორიცხული მისი კულტურის ძეგლების უფრო სამხრეთით აღმოჩენა) და მთლიანად მაიკოპის კულტურის არეალად მიჩნეულ ტერიტორიას, ე. ი. ჩრდ. დასავლეთ კავკასიას, მათ შორის შავიზღვისპირა რაიონებს, ყაბარდოსა და ჩეჩენთ-ინგუშეთს (მაიკოპის კულტურის არეალი რ. მუნჩაევის მიხედვით), ტამანის ნახევარკუნძულიდან დაღესტნამდე<sup>28</sup>.

მაიკოპის კულტურის ძეგლების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. განსაკუთრებით გაცხოველდა იგი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ამ კულტურას მიეძღვნა რიგი მონოგრაფიებისა, რომლებშიაც იგი ამომწურავადაა დახასიათებული და მოცემულია მისი ძეგლების პერიოდიზაცია. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაიკოპის კულტურის მრავალი საკითხი ჯერჯერობით მაინც ბუნდოვანია. კერძოდ, მისი ყველაზე მთავარი საკითხი — წარმომავლობის საკითხი გადაუჭრელია.

რაც შეეხება დასავლეთ ამიერკავკასიის აღნიშნულ კულტურას, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მისი შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება.

დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმეებში აღმოჩენილი ენეოლითური ნასახლარების მეურნეობის საკითხი დიდხანს ბუნდოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კულტურის ძეგლები უკვე კარგა ხანია, რაც აღმოჩენილია. უკანასკნელს ართულებდა ამ ნამოსახლარებზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური ნაშთების შეუსწავლელობა. სამეღე-კლდიდან თავდაპირველად განსაზღვრული იყო მხოლოდ საცდელი გათხრის დროს მოპოვებული მცირერიცხოვანი მასალა, რომელშიც შემთხვევით გარეული ფაუნა და მხოლოდ ერთი შინაური საქონლის ძვალი მოხვდა. ეს მასალა გამოქვეყნებული იყო ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩისა და ო. ბენდუქიძის მიერ<sup>29</sup>. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ყურადღებას იქცევს სამეღე-კლდის მასალაში თითქმის სრული არარსებობა შინაური ცხოველების ძვლებისა. თუმცა გამოთქვამდნენ იმედს, რომ მღვიმის შემდგომი გათხრისას მოსალოდნელი იყო შინაური ცხოველების ოსტეოლოგიური მასალის მომატება და ცხოველთა სახეების საბოლოო დადგენა. აღნიშნულ სტატიაზე დაყრდნობით სამეღე-

<sup>28</sup> Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, 1975, с. 199.

<sup>29</sup> Н. И. Бурчак-Абрамович, О. Г. Бендукидзе. К изучению фауны позвоночных раннего энеолита, найденных в пещере Самеле-Клде. Сб. Метн. акад. моабш, ტ. 53, № 2, 1969, გვ. 493.

კლდეში მცხოვრებ ტომთა მეურნეობიდან გამოირიცხა მესაქონლეობა. მათი მეურნეობის ძირითად დარგად მიჩნეულ იქნა მიწათმოქმედება და ნადირობა<sup>30</sup>. ეს მოსახრება უკანასკნელ ხანებამდე ძალაში იყო. მასზე დაყრდნობით ი. კიკვიძემ კატეგორიულად უარყო მესაქონლეობა დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომების მეურნეობაში<sup>31</sup>. სამეღე-კლდის შემდგომი გათხრების შედეგად მართლაც აღმოჩენილი იყო შინაური ცხოველების ძვლები<sup>32</sup>.

შინაური ცხოველების ძვლები აღმოჩენილ იქნა სამეღე-კლდის შემდეგ გათხრილ ძეგლებში — დარკვეთის ეხის ნეოლითისა და ენეოლითის ფენებში, ძუძუანის<sup>33</sup> მღვიმის ენეოლითურ ფენებში. აღმოჩენილ მღვიმეებში დადასტურდა, როგორც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ისე წვრილფეხა რქოსანი საქონლის არსებობა. დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი შინაური ღორის ძვლები. მათი რაოდენობა სჭარბობდა ყველა დანარჩენი ცხოველების ძვლებს ცალკე აღებულს (იხ. ცხრილი 3). ნაპოვნი იყო აგრეთვე ძაღლის ძვლები.

უკანასკნელ წლებში დამუშავდა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის<sup>34</sup> მიერ საგვარჯილეს მღვიმის ენეოლითურ ფენებში მოპოვებული მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური კოლექცია. მისი მონაცემების თანახმად, საგვარჯილეს ნეოლით-ენეოლითური ფენის (II ფენა) ოსტეოლოგიურ მასალაში ძვალთა საერთო რაოდენობის 56% -ს შეადგენს გარეული ფაუნის წარმომადგენლები, ხოლო 34% ეკუთვნის შინაური ცხოველების ძვლებს, 10% გაურკვეველია. ველური ფაუნის ინდივიდთა შესაძლებელი მინიმალური რიცხვია 69, შინაურისა — 40 (იხ. ცხრილი 3). სანადირო მნიშვნელობის ცხოველთა შემადგენლობაში სჭარბობენ გარეული ჩლიქოსნები: მაგ., ღორს გარეული ცხოველების ძვლების რაოდენობის 32,5% ეკუთვნის და ძვლების საერთო რაოდენობის 18,4%; კეთილშობილ ირემს — 28,1%, 16,8%; კავკასიის შველს — 10%, 6,2%; კავკასიურ დომბას 3,6%, 2%. კავკასიურ ჭიხვს 2,3%, 1,3% და სხვ. ამგვარად, ნადირობის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ჩლიქოსანთა სამი სახე — ღორი, ირემი და შველი, რომელთა ძვლებიც, ძვალთა საერთო რაოდენობის 41,1% შეადგენდნენ, ხოლო გარეული ფაუნის საერთო რაოდენობის 72%-ს<sup>35</sup>. სხვა ცხოველები — დათვი, ჭიხვი და დომბა, როგორც ჩანს, დიდი ნადირობის საგანს არ წარმოადგენდნენ. შინაურ ცხოველთაგან უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ჰქონდა. მათ ეკუთვნოდა შინაურ ცხოველთა ძვლების 49,8%, ცხოველებს საერთო რაოდენობის 26,5%. ძვლების რაოდენობით იგი სჭარბობდა ცალკე აღებულ შინაურ და გარეულ ცხოველთა რაოდენობას. მაგრამ სანადირო მნიშვნელობის გარეულ ჩლიქოსანთა სამი სახე (ღორი, ირემი, შველი) სჭარბობდა მას<sup>36</sup>.

<sup>30</sup> გ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71—75.

<sup>31</sup> ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16, 17.

<sup>32</sup> О. Г. Бендукидзе. Голоценовая фауна позвоночных из пещеры Западной Грузии (рукопись).

<sup>33</sup> О. Г. Бендукидзе. Об остатках млекопитающих из пещеры дзудзуана в западной Грузии. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, № 7.

<sup>34</sup> ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი. დასახ. ნაშრ., გვ. 10—12.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 10—12.

<sup>36</sup> ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი. დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.

ამგვარად, მოტანილი მონაცემები ცხადად მოწმობენ, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომების მეურნეობაში უკვე გარკვეული როლი ეკუთვნოდა მესაქონლეობას. თუმცა მეურნეობის ტრადიციულ დარგს, ნადირობას ჯერ კიდევ დიდი როლი ეჭირა. მას ენეოლითელი ტომების მეურნეობაში საკმაოდ დიდი ზეედრითი წონა ჰქონდა.

გაირკვა რა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომების მეურნეობაში დიდი ადგილი ეჭირა ნადირობას, და მესაქონლეობას, ნაწილობრივ გასაგები ხდება მათი მღვიმური დასახლების ხასიათი. საფიქრებელია, რომ სწორედ მეურნეობის ამ თავისებურებამ განაპირობა მათი დასახლება მღვიმეებში.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას ამ ტომების მეურნეობაში, მას მესაქონლეობასა და ნადირობასთან შედარებით ნაკლები ზეედრითი წონა უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, ამ ტომების მიერ მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ზემო იმერეთის გეოკლიმატური პირობები. სამეღვ-კლდისა და სავგარჯილეში აღმოჩენილი მიწის საჩიჩქნი იარაღები, შესაძლოა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფდნენ აქ მოსახლე ტომების საარსებო საშუალებებს. დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითის ხანის ღია ნამოსახლარები (თეთრამიწა) გვაფარაულებინებენ, რომ ამ კულტურის მატარებელ ტომებში მეურნეობის თავალსაზრისითი არსებობდა გარკვეული დიფერენციაცია. კერძოდ, ამავე კულტურის ღია ნამოსახლარებზე მიწათმოქმედებას უფრო დიდი ზეედრითი წონა უნდა ჰქონოდა, ხოლო მღვიმეებში მცხოვრებთა მეურნეობაში შედარებით ნაკლები. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ამ ძეგლების კომპლექსებში წარმოდგენილი მასალა. თეთრამიწის ნამოსახლარზე განსაკუთრებული სიჭარბე შეიმჩნევა სამიწათმოქმედო იარაღებისა. 30 ხელსაფუქავის ფრაგმენტი — ძალიან დიდი რიცხვით ამ დროის ძეგლებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ უკვე გვაქვს დაკბილული ნამგლის ჩასართები. მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა მაკროლითები და „სოკო-ადღურის“ ტიპის თოხებიც კი. ამგვარი რამ არ შეიმჩნევა მღვიმურ დასახლებებში. სამაგიეროდ, აქ თვალში საცემია კვირის-ტაფებისა, ძვლისა და რქის იარაღების სიმრავლე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მღვიმეების ენეოლითურ ფენებში მოპოვებული ლითონის ნაწარმი (ოთხწახნაგა სადგისები, ანკესი, ხვია) და მის დამუშავებასთან დაკავშირებული ნივთები — ტიგელი, ყალიბი. როგორც ჩანს, დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითელი ტომები უკვე დაუფლებულები იყვნენ ლითონის დამუშავებას. ლითონის წარმოებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მრავალი საკითხი ბუნდოვანია და შემდგომ კვლევას მოითხოვს. არსებული მასალები გვაფიქრებინებს, რომ შემთხვევითი არ არის, რომ ზემო იმერეთის ამ რეგიონის ტომთა კულტურაში ასეთ ადრეულ ხანაში უკვე გვხვდება ლითონის ნაწარმი და, რაც მთავარია, ეს ლითონის ნივთები გარედან შემოტანილი არ უნდა ყოფილიყო, მისი წარმოება ადგილზე უნდა არსებუ-ლიყო, რაზედაც მიუთითებს მის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები. საფიქრებელია, რომ ლითონის წარმოება იყო აგრეთვე ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა მღვიმეებში ცხოვრებას. უნდა ვიფიქროთ, რომ მეურნეობის ძირითადმა დარგებმა — ნადირობამ, მესაქონლეობამ და მასთან ერთად ლითონის წარმოებამ განაპირობა ამ ტომების დასახლება მღვიმეებში. არ არის გამორიცხული ამავე კულტურის ღია ნამოსახლარების აღმოჩენა

დარკვეთ-ზოდისა და ითხვისის პლატობზე, რომელთა მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა მიწათმოქმედებას.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ნამოსახლარების მეურნეობა ძირითადად ემყარებოდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მეურნეობის ეს დარგები ერთნაირ თანაფარდობაში არ იყვნენ. კერძოდ, ღია ნამოსახლარებზე მიწათმოქმედებას უფრო დიდი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა, ვიდრე მესაქონლეობას. ხოლო მღვიმური დასახლებების მეურნეობაში, როგორც ჩანს, სჭარბობდა მესაქონლეობის ხვედრითი წონა. რაც შეეხება მეურნეობის ტრადიციულ დარგს — ნადირობას, მას ორივე ტიპის ნამოსახლარების მეურნეობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეოდა.

ამგვარად, დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური ტომების მეურნეობა თავისი ხასიათით შერეული იყო. მასში, წარმოებითი მეურნეობის განვითარების მიუხედავად, საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა გააჩნდა მითვისებით მეურნეობასაც.

დარკვეთის ეხი წარმოადგენს დასავლეთ ამიერკავკასიის პირველ გამოქვეყნებულ მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს, რომელშიც გამოვლინდა ოთხი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ფენები დაწყებული გვიანი მეზოლითიდან — ადრებრინჯაოს ხანის ჩათვლით. ამასთანავე ენეოლითური ფენა აქ ორი პორიზონტითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ძეგლის შესწავლამ და უკვე არსებულ ძეგლთა მონაცემების შეჯერებამ მომავალში მყარი საფუძველი უნდა შექმნას ნეოლით-ენეოლითური ხანის კულტურების პერიოდიზაციისათვის.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური კულტურული ფენების მასალა მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და მასზე გადასვლის ეპოქის ხასიათის გასაგებად. გვიანმეზოლით-ადრენეოლითური ფენებიდან მომდინარე ნაშთებმა საშუალება მოგვცა თვალი გვედევნებინა მითვისებითი მეურნეობის წიაღში მწარმოებლური მერნეობის ჩასახვისა და განვითარების პროცესისათვის, კერძოდ, დას. ამიერკავკასიაში მანამდე უცნობი, მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგზე — ცხოველთა მოშინაურობაზე და მეცხოველეობაზე გადასვლისათვის.

დას. ამიერკავკასიის პალეონტოლოგიური მონაცემების და დარკვეთის ეხის მეზოლით-ენეოლითური ფენის ფაუნის შეჯერებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითელი ტომები უკვე მისდევდნენ ცხოველთა მოშინაურობას და პრიმიტიულ მეცხოველეობას. რომ მეცხოველეობა, როგორც მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთი დარგი წარმოიშვა და განვითარდა გვიანმეზოლითის განვითარებული მონადირეობის წიაღში, დას. ამიერკავკასიის ცხოველთა ენდემური ჯიშების ბაზაზე. განვითარების ადრეულ ეტაპზე მეცხოველეობა დამყარებული იყო ძირითადად მელორობასა და მსხვილფეხა საქონლის მოშენებაზე.

დარკვეთის ეხის მასალები გვიჩვენებენ, რომ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა ხდებოდა პრიმიტიული მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ბაზაზე, მითვისებითი მეურნეობის დარგების (ნადირობა, შემგროვებლობა, მეთევზეობა) დიდი ხვედრითი წონის პირობებში.

დარკვეთის ეხის ენეოლითური ფენების შესწავლამ დას. ამიერკავკასიის ენეოლითურ ძეგლებთან კავშირში გამოავლინა მეტად თავისებური და ერთგვაროვანი ენეოლითური კულტურა, რომელიც დიდ სიახლოვეს იჩენს მაიკოპის კულტურის ძეგლებთან. აღნიშნული კულტურის ძეგლების შედარების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ დას. კავკასიაში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული ყოფილა დიდი, მეტად თავისებური არქეოლოგიური კულტურა, რომლის ლოკალურ ვარიანტებს უნდა წარმოადგენდეს მაიკოპისა და დასავლეთ ამიერკავკასიური კულტურები. აქვე უნდა

აღვნიშნოთ, რომ მოსალოდნელია დას. ამიერკავკასიური და მაიკოპის კულტურების დეტალურმა შესწავლამ გამოაგლინოს ლოკალური ვარიანტები თვით ამ კულტურის შიგნით.

